ალექსეი ტოლსტოი

414-ე

გამომცემლობა
„საბჭოთა საქართველო“
თბილისი — 1966

Გ (C) 27
48 (47) „1941 : 1945“ (0 : 8)
Გ 27

ფაშისტურ გერმანიაზე საბჭოთა ხალხის გამარჯვების ოცი წლისთავის აღსანიშნავად ქ. ქუთაისის მშრომელთა დელეგაციამ იმოგზაურა ანაპის წითელდროშოვანი 414-ე ქართული დივიზიის ნაკვალევზე, მოიარა ჩრდილო კავკასია, ქ. ანაპა, ტამანის ნახევარკუნძული, ქერჩი, სევასტოპოლი, მოინახულა საძმო საფლავები.

ნარკვევი მოგვითხრობს ამ საინტერესო მოგზაურობის შესახებ, გადმოგვცემს 414-ე ქართული დივიზიის ცალკეულ საბრძოლო ეპიზოდებს.

ნარკვევი განკუთვნილია მკითხველთა ფართო მასიებისათვის.

-12—2
66 ადგ

ჰეი, თქვენ, ძმებო, ქართველებო,
არაგვისძენო,
არ შემიძლია
თქვენი სახე არ გავიხსენო.

მ ი ხ ე ი ლ ლ უ კ ო ნ ი ნ ი

ის, რაც დიდ სამამულო ომში ხალხმა განიცადა, ახლაც ცოცხალია მის ხსოვნაში და არც არასოდეს წაიშლება. ფაშისტურ გერმანიაზე დიადი გამარჯვების ოცი წლისთავის ზეიმზე საბჭოთა ადამიანებმა ერთხელ კიდევ გაიხსენეს დიდი სამამულო ომის მღელვარე დღეები, უაღრესად ძნელი წლები, ავბედი ანარეკლი მისი ხანძრებისა და წკრიალა ექო გამარჯვების სალუტებისა, გაიხსენეს ყოფილმა ჯარისკაცებმა და ზურგის მამაცმა ადამიანებმა, იმათაც, რომლებმაც წარსული დროის ამბავი მხოლოდ უფროსი ძმებისა და ადრე გაჭაღარავებული მამების ნაამბობით იციან.

გავიხსენეთ და ერთხელ კიდევ თვალწინ წარმოგვიდგა მთელი სიდიადე გამარჯვებისა, რომელიც ხალხმა მოიპოვა საბრძოლო დროშების ქვეშ, კომუნისტების წინამძღოლობით.

გავიხსენეთ და ცეცხლოვანი წლების მოგონებამ კვლავ დიადი საქმეებისათვის მოგვიწოდა, მოგვიწოდა იმისათვის, რომ ფხიზლად ვადევნოთ თვალყური დასავლეთის იმ წრეების ხრიკებს, რომელთაც სურთ წაშალონ წარსული, ახალი, გამანადგურებელი ომის ხანძარში გახვიონ მსოფლიო.

*

ეს აზრი პირველად საქალაქო გაზეთ „ქუთაისის" რედაქციაში დაიბადა: დიადი გამარჯვების ოცი წლისთავის წინასადღესასწაულო დღეებში რედაქციის კოლექტივი გაზეთის ფურცლებზე გამარჯვების აღსანიშნავ ღონისძიებათა შემუშავებისათვის შეიკრიბა. საქმიანი სჯა-ბაასი გაიმართა ჟურნალისტებს შორის, განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ერთმა წინადადებამ.

ქართველმა ვაჟკაცებმა დიდებით მოსილი საბძოლო ფურცლები ჩაწერეს დიდი სამამულო ომის გმირულ მატიანეში. ისინი თავდადებით იბრძოდნენ ბალტიისპირეთსა და მოსკოვთან, ბელორუსიასა და უკრაინაში, სტალინგრადთან და ყირიმში, ჩრდილო კავკასიაში.

უქრობი შარავანდედითაა გაცისკროვნებული სახელგანთქმული 414-ე ქართული მსროლელი დივიზიის საბრძოლო გზა. დივიზიას ანაპის, ხოლო მის ორ პოლკს გმირი ქალაქის სევასტოპოლის სახელწოდებები მიენიჭათ. მთავრობის მიერ მისი განსაკუთრებული დამსახურება საბძოლო წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვებაში გამოიხატა. მან ხომ საბჭოთა არმიის სხვა ნაწილებთან ერთად დაამსხვრია ფაშისტური „ედელვაისის გეგმა", რომელიც მიზნად ისახავდა ჩრდილო კავკასიისა და ამიერკავკასიის დამონებას.

— შევისწავლოთ დივიზიის საბძოლო გზა, მოვინახულოთ ქართველ გმირთა საფლავები, პატივი ვცეთ მათ ხსოვნას, — აი წინადადება, რომელიც ერთხმად მიიღო რედაქციის მუშაკთა მორიგმა სხდომამ.

ამ წინადადებას მხარი დაუჭირა პარტიის საქალაქო კომიტეტმა, რომლის უშუალო ხელმძღვანელობით შედგა ქუთაისის მშრომელთა დელეგაცია ყოფილი ფრონტელების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და ჟურნალისტთა მონაწილეობით.

დელეგაციაში შევიდნენ: დივიზიის ყოფილი მებრძოლები — პოლკის უფროსის მოადგილე პოლიტიკურ ნაწილში, ამჟამად პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი პოლიკარპე ჯაჯანიძე, პოლკის კომორგი, იურისტი შიო გვეტაძე, მზვერავთა ოცეულის მეთაური მუშა-ახალგაზრდობის მე-6 საშუალო სკოლის დირექტორი სერგო გოშხეთელიანი, ბატარეიის მეთაური მაიორი გიორგი ცინცაძე, ბატალიონის უფროსი, თადარიგის კაპიტანი პავლე სარალიძე, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები—გრამიტონ ჯანელიძე, კუკური ხანუმოვი და ოთარ სილაგაძე, მწერალი ოტია ოსელიანი, ფოტოკორესპონდენტი ბონდო მაღლაფერიძე, კინოოპერატორი ოთარ ტეტელაშვილი და ამ სტრიქონების ავტორი.

ქუთაისის ტურისტულმა კლუბმა ტურიზმის რესპუბლიკური საბჭოს დახმარებით შეიმუშავა ღონისძიებანი დელეგაციის შეუფერხებელი მოგზაურობისათვის.

და აი, 1965 წლის 26 აპრილს ქალაქის ცენტრალური მოედნიდან სამი ავტომანქანა „ვოლგა“, რომელთაც ამშვენებდათ წარწერა: „ანაპის წითელდროშოვანი 414-ე ქართული მსროლელი დივიზიის ნაკვალევზე“ — გაემართა მარშრუტით: ქუთაისი — ფასანაური — ორჯონიკიძე — მოზდოკი — იშჩორსკაია — პრახლადნაია — ბაქსანი — პიატიგორსკი — ნევინომინსკი — არმავირი — კროპოტკინი — კრასნოდარი —

ყუბანის სლავიანსკი — ჩერნოერკოვსკაია — ანაპა — ტამანის ნახევარკუნძული — ქერჩი — სიმფეროპოლი — სევასტოპოლი — ქუთაისი.

ქუთაისის მშრომელთა დელეგაცია გაეცნო 414-ე დივიზიის საბრძოლო გზასა და პუნქტებს, მოინახულა ძმათა სასაფლაოები, შეხვდა ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების წარმომადგენლებს, მშრომელებს და მდიდარი შთაბეჭდილებებით დაბრუნდა ქუთაისში 6 მაისს.

ქუთაისის საქალაქო გაზეთ „ქუთაისის" ფურცლებზე გამოქვეყნდა ნარკვევები მოგზაურობის შესახებ, ხოლო საქართველოს ტელევიზიამ 13 მაისს სპეციალურ გადაცემაში მაყურებელს უჩვენა ეს მოგზაურობა. მშრომელთა თხოვნით იგივე გადაცემა, ამჯერად რუსულ ენაზე, განმეორებულ იქნა მომდევნო დღეებში.

ამ ნარკვევის მიზანია მკითხველთ გავუზიაროთ მოგზაურობის შთაბეჭდილებანი, გავაცნოთ 414-ე ქართული დივიზიის მებრძოლთა საძმო საფლავების ნაწილი, რომლებიც არის ჩრდილო კავკასიაში, ქ. ანაპაში, ტამანის ნახევარკუნძულზე, ქერჩსა და სევასტოპოლში.

ავტორი

გზებსა და გზაჯვარედინებზე

ქუთაისის ცენტრალურ მოედანზე თავი მოიყარეს მშრომელებმა, 414-ე ქართული დივიზიის ნაკვალევზე მიემგზავრებაო ქუთაისის მშრომელთა დელეგაცია.

მოდიან ოცი წლის მანძილზე თალხმოუშორებელი დედები, მამები, დები, ძმები, შვილები, შვილები, რომელთაც მამის ალერსი არ განუცდიათ.

ზოგს წერილები მოაქვს, ზოგს—სურათი, მიწა, მშობლიური, წინაპართა სისხლით გაპოხიერებული მიწა. ზოგი იცრემლება, ზოგი იხვეწება, ზოგი გვერდზე დგას და ხმას არ იღებს, ზოგსაც გული წყდება...

...ქუთაისიდან არც ისე შორსაა ხვამლი, ჯაჭვის ხიდს გაცდები თუ არა, ჭომის გავლით „ქვატაფას“ თვალს გაუსწორებ და თქვენს წინ წამოიმართება მისი „უდიდებულესობა“, გადმოცემით ქართველ მეფეთა განძსაცავი, რომლის გადაღმა მთებში ლეჩხუმის სოფლები არწივის ბუდეებივითაა გაბნეული.

— ჩემი მშობლიური სოფელი ცხუკუშერია, — ჰყვება ვიღაცა, ქამარში ჩატანებულ სახელოს მარცხენა ხელით ისწორებს და დაბეჯითებით ამტკიცებს, — იქიდან გამიწვიეს არმიაში, თვრამეტი წლისა ვიყავი, დედაჩემი სამწყემსურს მარტო არ მანდობდა და უცებ ფრონტზე ამოვყავი თავი.

ცხუკუშერში ვინც ყოფილხართ, დამემოწმებით, ელიას გორაზე უკეთესი ადგილი ლეჩხუმში არ მოიძებნება. არა, სხვაც ბევრია კარგი ადგილი, მაგრამ ელიას გორა მაინც ერთადერთია.

თვით სახელწოდებაც მიანიშნებს მის ბუნებრივ სიმშვენიერეს. ადრე აქ, თურმე, ელიობის დღესასწაულს მართავდნენ და წმიდა ელიას ვინ შებედავდა ცუდ ადგილს!

ელიას გორაზე რომ ახვალთ, ღრუბლებს ხელით დაიჭერთ, თუ მოწმენდილია, ხედებიანი საფოსტო ბარათივით მოჩანს მთელი ლეჩხუმი.

აქ, ასწლოვანი ცაცხვების ძირში, გადავწყვიტეთ თავი შეგვეყარა ახალწვეულებს, ომში წასვლის წინ ღვინით მოგვესინჯა სიჭაბუკე.

მოვსინჯეთ, არ მახსოვს რა ვთქვით, ერთმანეთი ვკოცნეთ, ცრემლი მოგვერია კიდეც და წავედით...

მე ცალხელა დავბრუნდი ორმოცდაოთხის ზაფხულში, ბევრი არ დაბრუნებულა.

ჩამოსვლიდან რამდენიმე დღის შემდეგ საოცრად მომინდა ელიას გორაზე ასვლა, იმ ადგილის მონახულება, საიდანაც პირზე წვერახალამოღინღლული წავედი და თითქმის ჭაღარა დავბრუნდი.

შუა სმიდან გავეპარე ბიძაშვილს, ჰოსპიტლიდან გამოსულმა და ღვინომოძალებულმა ძლივს ავაღწიე ელიას გორამდე. მშობლიურმა ჰაერმა გამომაფხიზლა, იმ ცაცხვის ძირს მივატანე, სადაც ტოლებს დავცილდი.

ცაცხვი ისევ ისე იდგა, ტანმაღალი და მხრებგაშლი-

ლი, კვლავინდებურად საამოდ შრიალებდნენ მისი ფოთლები, მაგრამ არ იყვნენ ისინი, ჩემი სიყრმის მეგობრები.

ცოცხალ არსებასავით მივუალერსე ხეს. მანაც თითქოს მითანაგრძნო, შეიშრიალა და საამო ნიავით დამატკბო. გარს შემოვუარე, მივესათუთე მის კორძებდაყრილ ტანს და გავოცდი — „მაქსიმე“ — ამოვიკითხე წარწერა.

ჩემი თანატოლი მაქსიმე დედისერთა ბიჭი იყო. მამა ადრე გარდაეცვალა, ობლობაში წამოიჩიტა დედის იმედი, უთქმელი, შრომისმოყვარე და გულწრფელი. ვუყვარდით და გვიყვარდა, პატივს ვცემდით და გვაფასებდა, ერთი სიტყვით, თვალში რომ ჩაგვარდნოდა, ხელს არ ამოვისვამდით.

მაქსიმეც ჩვენთან ერთად წავიდა, მაგრამ ცოტა ხანიც და ასავალ-დასავალი ვერ გაეგოთ, მხოლოდ ერთხელ მოიწერაო წერილი, მას შემდეგ აღარაფერი აღარ ისმისო, დედუკა, — მომაქვითინა ბედდამწვარმა დედამ.

— მაქსიმე, ბიჭო! — შევძახე გრძნობამოჭარბებულმა და სიყრმის მეგობრის ნაწერს ვაკოცე.

მას შემდეგ ორ ათეულ წელზე მეტი გავიდა. ქუთაისში სამუშაოდ გადმოვედი და ელიას გორაზე არ ავსულვარ, ვინც ჩამოსასვლელი იყო, ჩამოვიდა, ვინც არა და...

შარშან კიდევ მოვინახულე საყვარელი ადგილი, მოვინახულე და ნეტავ არ წავსულიყავი...

მაქსიმეს დედა ყოველ წელიწადს დადიოდა თურმე ელიას გორაზე, ცაცხვზე შვილის ნაწერს დახედავდა და გულმოხებული უკანვე ბრუნდებოდა.

იმ დღეს ერთი ფეხით მომასწრო, ვიღაც ურჯულოს ბებერი ცაცხვი ძირში მოეჭრა, ბუნებრივია, წარწერაც თან გა-

ეყოლებია, და პირგამეხებული დედა სახეს უმოწყალოდ იხოკავდა.

— ვაიმე, ჩემო ნუგეშო, ვიღას მივაკითხო აწი, ვიღა დავიტირო აწი, ჩემო უსაფლავო შვილო, ჩემო ერთავ, ჩემო გამხარებელო! — მოთქვამდა იგი და ახლოს მისვლა ვერ გავბედე, ვერ დავამშვიდე აქვითინებული ქალი.

ასეა, ჩემო ძმაო, ადამიანისათვის ახლობლის საფლავი კი არა, მისი მოსაგონარი ცოტა რაღაც ძვირფასია, — დაამთავრა თხრობა ცალხელამ.

—კი, მაგრამ ვერ გაიგეთ ვინ მოჭრა ხე? — შეეკითხა ერთ-ერთი დაინტერესებული მსმენელი.

— რათ გინდა მერე, მოჭრილს რაღა ეშველებოდა, წარწერას ვინღა აღადგენდა. თუმცა ერთი კია — მოჭრილი ცაცხვი ისევ ამოიყრის, ძირი ჰქონდა ძლიერი დალოცვილს, ხელმოცარული მისი მომჭრელი დარჩება.

დედა, ომში დაღუპული ერთადერთი შვილის დედა, ამ გაცილებაზე ვერ მოვიდა, მაგრამ სხვები მოვიდნენ და თან შესასრულებლად ბევრი რამ გვთხოვეს.

...დელეგაციაში ჩარიცხული ომის ვეტერანები ღელავენ, ჩვენი საქმეც ულევია, ტურისტულ ტანსაცმელმორგებული მწერალი ოტია იოსელიანი გვაჩქარებს.

— თქვენ, თქვენ მიემგზავრებით ქერჩში? — მოედანზე ქალი შემორბის.

— დიახ.

— ეგებ სადმე მიმიკვლიოთ, ეგებ სადმე გამიგოთ... მეუღლე დამეღუპა, წერილებს მწერდა, მისამართი ვიცი... — სათქმელს თავს ვეღარ აბამს და ცრემლებად იღვრება.

— ჩემი გვარი? ჭელიძე, საპროექტო ინსტიტუტის ქუთაისის ფილიალში ვმუშაობ, შვილი ასპირანტია, მამა არ უნახავს, ეგებ სადმე მიაგნოთ.

სიცოცხლის ღიმილით თვალებგაბრწყინებული გვიცქერის სურათიდან ახალგაზრდა ქართველი ვაჟკაცი, მეუღლისათვის უსახსოვრებია ფრონტზე გასვლის წინ, ახალშეძენილი ვაჟის სახელიც თან წაუწერია.

— სად დაიღუპა, რომელი მიმართულებით?

— ქერჩში, ქერჩიდან მომივიდა უკანასკნელი წერილი, — გვეუბნება ქალი და წერილსაც გვაწვდის.

უბის წიგნაკში სახელდახელოდ ვინიშნავთ მისამართს, ვპირდებით: თუ მივაკვლიეთ, თუ მივაგენით, მშობლიურ მიწას ვინ ოხერი დაიშურებს.

— რა ვიცი...

კვლავ ცრემლები, ვჩქარობთ, მაგრამ მაინც გვაყოვნებენ.

ჩვენთან მშენებელმა ინჟინერმა ნინო კიკაჩეიშვილმა მოირბინა, სულს ძლივს ითქვამს.

— ჩემი ძმა, მგონი, იშჩორსკაიაში დაიღუპა, აი მისი უკანასკნელი წერილები, სურათიც. სულ ახლახან 414-ე დივიზიის პოლიტგანყოფილების ყოფილმა უფროსმა ვლადიმერ ჯანჯღავამ ცნობები მომთხოვა მის შესახებ: ამ ცნობების ერთი პირი აქა მაქვს, მიწაც მოვიტანე, ჩვენი ეზოს მიწა, სადაც იგი აღიზარდა, მის საფლავზე მომიბნიეთ, ძვირფასებო!

თბილისის ქუჩით მანქანები მცხეთისაკენ დაიძრნენ, უკან კი გვესმის ხალხის დანაბარები.

— მოკითხვა ბიჭებს, ჩვენს ბიჭებს, არ დავივიწყებთ!

ქალაქიდან გასასვლელში, მოულოდნელად, მეწინავე ავტომანქანა შეჩერდა, ჩვენც გავჩერდით.

— გრიშა, გრიშა მანაგაძე მოსულა, — წამოიძახა ერთ-ერთმა ჩვენთაგანმა.

414-ე დივიზიის პოლკის ყოფილი მეთაური გრიგოლ მანაგაძე ჩვენს დელეგაციაში შედიოდა, მაგრამ გამგზავრების წინა დღეებში ცუდად შეიქნა და ექიმებმა მგზავრობის ნება არ დართეს. სიცხიანი ავადმყოფი სახლიდან გამოპარულა და „საფიჩხიაზე“ დაგვხვდა.

— მიდიხართ? — მეტი ველარაფერი მოახერხა.

— მივდივართ...

— ანაპაში შეიართ ალბათ, ანაპსკაიაში ბევრი ვაჟკაცი დაეცა... თვალებზე ცრემლი მოადგა, პირი შეიბრუნა, მაგრამ თავი შეიკავა და ისევე მოგვიბრუნდა:

— ამას წინათ ერთი ნათესავის დაკრძალვაზე ვიყავი. მეუღლე მიცვალებულ ქმარს გულმოკლულად დასტიროდა — შენ ცოცხალი სად მიდიხარ და მე მკვდარს სად მტოვებო. სწორედ ასეა ჩემი საქმე, მაგრამ რა გაეწყობა.

დავამშვიდეთ მამაცი მეთაური, თუ მომჯობინდე, ანაპაში გადმოფრინდი და გზა ერთად განვაგრძოთ-თქო.

გრიგოლ მანაგაძემ მოგონებათა რვეული გადმოგვცა და გზა დაგვილოცა.

ავტომანქანებს გამოცდილი მძღოლები უსხედან, სწრაფი სვლით მივქრივართ წინ, დღისულ გვინდა ფასანაურში მოხვედრა, დილით კი უთენია უნდა განვაგრძოთ გზა „ტიელო დარიალაოთი“.

უკან რჩებიან იმერული ოდა სახლები, გვიან გამოზაფხუ-

ლებისთანავე შესევიან ზგსტაფონელი და ორჯონიკიძელი კოლმეურნეები ბაღ-ბოსტნებსა და ვენახებს, ყანებს. წარწერებიან მსუბუქ ავტომანქანებს თვალს გამოაყოლებენ ხოლმე და სიხარულის ნაპერწკლები ენთებათ, რაღაცას ჩაილაპარაკებენ, გვჯერა გზას გვილოცავენ.

სურამის უღელტეხილი, ხაშური, გორი...

პავლე სარალიძე იგონებს: 1942 წლის დეკემბერია. ქართული მსროლელი დივიზიის 1371-ე პოლკის მეორე ბატალიონმა სარდლობის პასუხსაგები საბრძოლო დავალება მიიღო და მოწინააღმდეგეს ეკვეთა სტანიცა იშჩორსკაიას რაიონში. ერთ-ერთი შეტაკების დროს მძიმედ დავიჭერი, ცეცხლის ხაზიდან წითელარმიელმა გოგიძემ გამომიყვანა.

შემდეგ...

ერთმანეთს დავშორდით და ორ ათეულ წელზე მეტი გავიდა, რაც ვერ მივაკვლიე ჩემს გადამრჩენს.

— სად არის გოგიძე, ცოცხალია? — ამ-ს გაგების სურვილი დიდი ხანია მოსვენებას არ მაძლევდა.

ბოლოს, როგორც იქნა, მოვიგონე — გოგიძე უფრო გორის რაიონიდან უნდა იყოს.

მაგრამ მისამართი რომ არ ვიცი! — სად, რომელ სოფელში გავგზავნო ბარათი?

და აქ დამეხმარა გორის რაიონული გაზეთის „გამარჯვების“ რედაქცია, რომელმაც მიმდინარე წლის 20 მარტს გამოაქვეყნა ჩემი შემდეგი შინაარსის წერილი:

„ძვირფასო რედაქცია!

გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით შემატყობინოთ თქვენს რაიონში მცხოვრები გოგი გოგიძის ამბავი, რომე-

ლიც ჩემთან იმყოფებოდა 414-ე მსროლელი დივიზიის 1371-ე პოლკში, სადაც მე ვიყავი ათასეულის მეთაური და მასთან ერთად ბრძოლით განვლე საკმაოდ დიდი გზა. 1942 წლის მარტიდან 1943 წლის 21 სექტემბრამდე ვიყავით ერთად. უკანასკნელად მე დავიჭერი და თანამებრძოლებზე არავითარი ცნობები არ დამრჩა.

გოგიძე იყო საშუალოზე მაღალი, წოდებით უფროსი სერჟანტი, არასრული საშუალო განათლებით, ძალიან ყოჩაღი და გაბედული მებრძოლი, ნამდვილი ქართველი ვაჟკაცი. იშჩორსკაიასთან ბრძოლებში მან ააფეთქა მტრის მიერ დაკავებული მიწური და მოჰკლა 4 ფაშისტი. ჩემი დაჭრის შემდეგ მასთან კავშირი გამიწყდა. ახლა, როცა ახლოვდება გამარჯვების ოცი წელი, დივიზიის ხელმძღვანელობა მთხოვს მასალებს ჩვენს ბიჭებზე, მაგრამ ისეთ მოწინავე მებრძოლზე, როგორიც გოგიძე იყო, ჩემს არქივში აღარაფერი აღმოჩნდა.

გთხოვთ მომიძებნოთ ფრონტელი მეგობარი და თქვენი საშუალებით გადასცეთ კეთილი სურვილები. პირადად ჩემს გადარჩენაში მას დიდი წვლილი მიუძღვის.

გთხოვთ, მასვე აცნობოთ ჩემი მისამართი: ქუთაისი, ლერმონტოვის ქ. № 7“.

სამი დღის შემდეგ, 23 მარტს, სასიხარულო დეპეშა მივიღე: „მე თქვენი წითელარმიელი გოგიძე დიმიტრი ნიკოლოზის ძე ვცხოვრობ გორის რაიონის სოფელ ზეღდულეთში. დიდი მადლობა მოგონებისათვის. გოგიძე“.

25 მარტს კი ასეთი შინაარსის წერილი მომივიდა.

„სალამი ძვირფასო პავლე! უკვე ხდება 25 წელიწადი, რაც

არ მინახიხართ, ჩემო ძვირფასო მეთაურო. ახლა კი გნახავთ, რახან გავიგე თქვენი მისამართი. რა ძალიან გამახარა თქვენმა წერილმა გაზეთში. სახელი დაგვიწყებია — მე მქვია მიტო, ანუ დიმიტრი. ყველაფერი გამახსენდა, როგორ დაიჭერი ტყვიამფრქვევის ტყვიით, რომ აგიკიდე, თან ფეხს მიწაზე მიარტყამდი ხოლმე და ყვიროდი. მაგრამ მე მაინც მიგარბენინებდი ტანკსაწინააღმდეგო არხში. გახსოვს? ფრიცის ბლინდაჟის კარებზე რომ დაგაწვინე და მეჩხუბებოდი — არ შეხვიდე, დამინული იქნება და დაიღუპებიო. თქვენ არ დაიღუპებოდით იმ ღამეს, რომ თოვლზე დამეტოვებიეთ დაჭრილი კაცი? აბა რა მექნა. მაინც გავრისკე და შევედი. ხომ გახსოვს, როგორ შეგიხვიეთ ჭრილობა, რადიოს მავთულს რომ მოვუკიდე ცეცხლი ლამპის მაგივრად და ისე გავანათე ბლინდაჟი. წყალიც ავადუღე და ჩაიც დაგალევინე. მერე როგორ კარგად დაგეძინათ მიწურში, ძალიან რომ გათბა. დილით კი კარგად გამოგისტუმრეთ, მაგრამ თქვენ ტირილი მოგერიათ, მეც ვტირიოდი და რომ დაგაწვინეს საკაცეზე და წამოგიყვანეს, სანამ მოეფარებოდით, ვიდექი და თვალს ვერ გაშორებდით. როცა გნახავთ ყველაფერს გიამბობთ, როგორ დავბრუნდი და რა გადამხდა. მე ყოველთვის გკითხულობთ, სადაც კი შემხვდება ქუთაისელი კაცი, მაგრამ მისამართი მაინც ვერ გავიგე თქვენი. ახლა კი გნახავთ. ძალიან გთხოვთ თქვენც გვინახულოთ. მე ვცხოვრობ გორის რაიონის სოფელ ზეღდულეთში, გორიდან 15 კილომეტრია. ვმუშაობ ელექტრომექანიკოსად...

რა მაინტერესებს, პავლე, ნეტავი ისევ ისეთი ხართ? ხომ არ დაბერდით? ცოტა ხნის მერე გნახავთ და ყველაფერს ვილაპარაკებთ ჩვენს წარსულზე. მე მყავს ქალ-ვაჟი. ერთი უკვე

ოცი წლისაა და ერთი თვრამეტი წლისა. პავლე, თქვენი შვილები, რა თქმა უნდა, დიდები იქნებიან:.. დეპეშასაც გიგზავნი, ველოდები პასუხს. მიტოსაგან ჩემს ძვირფას მეთაურს პავლეს"

მალე მიტო ქუთაისში მესტუმრა. ჩვენი მოსალოდნელი მოგზაურობის შესახებაც ვუამბე, გაუხარდა, აუცილებლად გამომიარეთო.

მაგრამ პავლეს და მისი თანამებრძოლის თხოვნას ვერ ვასრულებთ, წინ დიდი გზაა, შეყოვნება არ შეიძლება.

ფასანაურში დავბანაკდით, მანამდე კი ერთხელ კიდევ მადლიერების თვალით გადავხედეთ ჟინვალის მიღმა ცამდე აზიდულ მთებს, სადაც მღეროდა ვაჟა.

— საით გაგიწევიათ? — ცნობისმოყვარეობა ვერ დამალა რაჭველმა მზარეულმა, როცა ვახშამზე მივადექით.

—ჩრდილო კავკასიაში, გადავალთ?

— გაგიჭირდებათ, ჯვარის უღელტეხილზე გზა ჯერ თითქმის არ გაუწმენდიათ.

— ?!

— გადავალთ! — რწმენით წარმოთქვა ავტომანქანის მძღოლმა გრამიტონ ჯანელიძემ, რომელსაც თანხმობის ნიშნად კვერი დაუკრეს ოთარ სილაგაძემ და კუკური ხანუმოვმა.

— ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, მე გირჩევთ თავი შეიკავოთ.

მაგრამ გამარჯვების რწმენა ნახევრად გამარჯვებაა და სიხარამ დილით გზას გავუდექით.

თოვლი ჯერ ნელ-ნელა შემოგვეპარა, იმატა, იმატა და გზავრობა გაძნელდა.

თოვლმა იმატა, იმატა და მგზავრობა ერთობ გაძნელდა.

აგერ ჩანჩქერებიც მოდიდებულან და ლამის გაგვიტანონ, კინოოპერატორი ოთარ ტეტელაშვილი თან კადრებს იღებს და თან სახიფათო გზებზე გადასვლაში გვშველის. ჩვენი ფოტოკორესპონდენტი ბონდო მაღლაფერიძეც გაწამაწიაშია, ოტია იოსელიანს წარბი ჩვეულებისამებრ მოურკალავს და მაღალ მთებს შეცქერის, ფიქრობს, ვინ იცის რაზე...

განსაკუთრებით გვიჭირს მთებში გაყვანილი გვირაბების გავლა, ყინულის ფენა მეტრამდე აღწევს, ეს არაფერი. დანაპრალებულ გზაზე „ვოლგები" თახთახებენ, გვშველის წერაყინები და ფიზიკური ძალა.

დაბრკოლება დაძლეულია, მოხევეთა სოფელ კობში გზა უკვე გამშრალია და მთელი სისწრაფით მივქრივართ წინ...

და აი, ჩრდილო ოსეთში, ქალაქ ორჯონიკიძეში ვართ, შორს ჩანს ომის მძიმე წლების ნატერფალი, რომელიც მანქანათა სრბოლაში თანდათან გვიახლოვდება.

განცვიფრებული შემოგვცქერიან ორჯონიკიძელები, ავტოინსპექტორი ცნობისმოყვარეობას ვერ ფარავს, გვაჩერებს და გვეკითხება.

— როგორ? „ჯვარზე" გადმოდით? გზა გაიხსნა? კეთილი მგზავრობა, მეგობრებო!

ომის ვეტერანები რუკას ჩასჩერებიან, მაგრამ რა საჭიროა, მათ ხომ ასე კარგად იციან აქაური მიწის ყოველი მტკაველი.

საქართველოს მისადგომებთან ამაყად დგანან კავკასიონის მარადთოვლიანი მწვერვალები, ნისლი თალხივით შემოუბურავს მყინვარწვერს, გარინდული მთები თითქოსდა და-

რბაისული სიდინჯით გვიყვებოდნენ კავკასიის დამცველთა გმირულ ამბებს, ჩვენ მივაცილებდითო ქართველ ვაჟკაცებს საძულველ მტერთან საომრად, ჩვენ მივიმსხვრიეთო მკერდზე მესამე რაიხის შეჯავშნული ურდოები, ჩვენ დავულოცეთ გზა გმირებს ბერლინისაკენ.

ი ზ ჩ ო ტ რ ს კ ა ა ი ა

მოზდოკის მისადგომებთან

კარგა ხანია უკან დარჩა ქალაქი ორჯონიკიძე. მსუბუქმა ავტომანქანებმა მოასფალტებული გზიდან გადაუხვიეს.

ჩრდილო კავკასიის ნოყიერ ველებზე ზღვასავით ღელავს პურის ყანები, მწვანით ახასხასებულ საძოვრებზე აქა-იქ ნახირი შეფენილა, საიდანღაც მწყემსი სალამურს აკვნესებს, მგლის ჯიშის ქოფაკებს წინა თათებში თავები ჩაურგავთ და მხოლოდ მანქანების სიგნალზე თუ წამოიწევიან, მაგრამ მალე მიყუჩდებიან ხოლმე, ხმაურს შეჩვეულნი.

ფიქრები თემშარზე ავარდნილი ბუღივით მოდიან:

„სალამი ჩემო ნინა!

აი, დღეს 42 წლის 6 თებერვალს მივიღე შენი წერილი, რამაც ძალიან გამახარა. გავიგე, ჩემო საყვარელო დაო, პირადად შენი და მთელი ოჯახის ამბავი. მრავალჯერ მოგწერეთ და კვლავ გიმეორებთ: ყველანი მხნედ იყავით და მეტი მე არაფერი მინდა, ყოველივე კარგსა და კარგს გისურვებთ, ძვირფასებო!

იმედია, ჩემს ამბავს იკითხავთ, მე კარგად ვარ. დაე იცოდეთ, გერმანელ ფაშისტთა განადგურებამდე ასე ვიქნები, მტერი, ვფიქრობ, ჩემს სიკვდილს ვერ მოესწრება.

აბა, აქ სიკვდილზე ლაპარაკი ზედმეტია და სირცხვილადაც მიმაჩნია. ჯერ მრავალი ფრიცი უნდა მოვაშორო სამშობლოს და შემდეგ შეიძლება კაცი სიხარულითაც მოკვდე.

ძვირფასო ნინა! ახლა ჩემი მოვალეობა კიდევ უფრო გაიზარდა—საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატად მიმიღეს, ამ რამდენიმე დღის წინათ პარტკომისიამ დაადასტურა კრების გადაწყვეტილება. ასე რომ, საძულველ მტერთან ბრძოლაში დიდ ნდობას, რომელსაც მიცხადებდნენ და ახლაც გამომიცხადეს, თუ საჭირო იქნა, საკუთარი სიცოცხლის შეწირვითაც გავამართლებ.

იმედი იქონიეთ, ჩემო ძვირფასებო, სირცხვილს არასოდეს არ გაჭმევთ. სიცოცხლე და ცხოვრება მაშინაა ლამაზი, როცა ნანატრი თავისუფლება სუფევს ქვეყანაზე. ახლა ბრძოლაა და უნდა შეეგუო. მეც შევეგუე, განუწყვეტლივ ვცემ ფაშისტებს.

მეტი რა მოგწერო, გამარჯვების შემდეგ სახლში გეახლებით ჩემის ბრწყინვალებით (არ დაფიქრდეთ, არ ამოიხვნეშოთ, ეს ასე იქნება).

მისამართი ისევ ისე დაწერე, როგორც გწერ.

გკოცნით... კოლია. მოკითხვა დედას, პავლუშას, მანიას“.

და ამ ფიქრებში ისევ ეს წერილი გამახსენდა, გამახსენდა, თუ როგორ გამოგვაცილა ქალაქის ცენტრალური მოედნიდან

ჩვენი ქალაქის მკვიდრმა, მშენებელმა ქალმა ნინო კიკაჩეიშვილმა და წერილი გადმოგვცა.

ჩვენი დელეგაციის წევრმა, ქართული დივიზიის ბატალიონის ყოფილმა მეთაურმა პავლე სარალიძემ, ისე, რომ ნინას არ გაუგონია, ამოოსვრით ჩაილაპარაკა:

— კი, იქ დაიღუპა, ჩვენი კოლია, ჩინებული ქართველი ვაჟკაცი, ჩვენვე დავკრძალეთ, მივაკვლევთ, აუცილებლად მოვინახულებთ მის საფლავს. და მარტო კოლიას?

— ეხ, ეხ, ეხ, — სინანულით თავს აქნევს და ამასღა ახერხებს პოლიკარპე ჯაჯანიძე, ხოლო გიორგი ცინცაძეს თვალები ცრემლებით ენამება, ვატყობთ, რომ სათქმელი წინ აქვს...

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გადაწყვეტილებით დაიწყო ეროვნული შენაერთების ჩამოყალიბება. ერთი ასეთი შენაერთი იყო 414-ე ქართული მსროლელი დივიზია.

დივიზიის მეთაურის მოვალეობის დროებითი შესრულება დაეკისრა პოდპოლკოვნიკ ი. ქანთარიას, სამხედრო კომისრად დაინიშნა ვასილ ხუსკივაძე, შტაბის უფროსად მიხეილ კრასკოვი, ინტენდანტად — მიხეილ ნასაგანოვი, პოლკების მეთაურებად—მაიორი ალექსანდრე შავლიაშვილი, კაპიტნები ტიტე მეძმარიაშვილი და ნოე ჟორჟოლიანი, ხოლო არტპოლკის მეთაურად—კაპიტანი ნიკოლოზ ფროლოვი.

ბრძოლისათვის მზადების დღეებში ფრონტის შტაბის უფროსთან ერთად დივიზიას საინსპექტოროდ ეწვია ამიერკავკასიის ფრონტის ჯარების სარდალი, არმიის გენერალი ა. ი. ტიუ-

ლენევი. შენაერთმა კარგი შეფასება მიიღო. მთელმა პირადმა შემადგენლობამ მიიღო წმინდა ფიცი — სამხედრო ფიცი სამშობლოსა და ხალხის, პარტიისა და მთავრობის წინაშე.

ივნისის ბოლო რიცხვებში დივიზიას ესტუმრნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გიორგი სტურუა, ქართველი მწერლები შალვა დადიანი, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ილო მოსაშვილი, სიმონ მთვარაძე, როდიონ ჭორქია, ანდრო თევზაძე და ხელოვნების მუშაკთა ბრიგადა სსრ კავშირის სახალხო არტისტის აკაკი ხორავას ხელმძღვანელობით.

ერთ ადგილზე დივიზიის გაზეთის ყოფილი რედაქტორი არჩილ კოკილაშვილი იგონებს:

„დივიზია ფრონტის ხაზზე გადიოდა. ჩვენ ვთხოვეთ შალვა დადიანს შენაერთის გაზეთ „სამშობლოს დამცველის“ მეშვეობით ორიოდე სიტყვით მიემართა ქართველი მეომრებისათვის. მანაც არ დააყოვნა და გაზეთის 1942 წლის 7 ივლისის ნომერში დაიბეჭდა მისი შემდეგი წერილი:

„სალამი ჩვენი სასახელო წითელი არმიის საყვარელ ქართულ ნაწილს!

ზურგი გითვლით თქვენ ლოცვას თქვენს საგმირო გზაზე და გარწმუნებთ, რომ ზურგში ყოველივე კეთდება ფრონტისათვის, სამშობლოსათვის...

გწამდეთ, რომ ზურგში სულიერი სიმტკიცე დიდია, რწმენა ურყევი და თქვენი იმედი უსაზღვრო და წრე-შემოვლებული.

ხალხს სწამს, რომ თქვენც, როგორც თქვენი მოწინავე ძმები, ყველა ჩვენი რესპუბლიკიდან, მაშასადამე, საქართველოდანაც, იქნებით ისეთივე მამაცნი, შეუპოვარნი, გამჭრიახნი და თავისი მოვალეობის ზუსტად შემსრულებელნი, როგორც ეს თქვენ შეგფერით. რომ თქვენც გაამართლებთ ქართული ერთგულებისა და მამაცობის სახელს, გაამართლებთ ნდობას პარტიისას და სამშობლოს დაუბრუნდებით დიდების შარავანდედით მოსილნი, გმირობის დიდი სახელით დაჯილდოებულნი.

ამას უმღერის მთლიანად ქართული მწერლობაც, ამასვე გისურვებთ თქვენთან ამ დღეებში მყოფი ჯგუფი ქართველი მწერლებისა.

მათი სახელით კიდევ ერთხელ გილოცავთ თქვენი ცხოვრების დღეებს და ბედნიერი იყოს თქვენი ბრძოლების გზა!"

დიდი იყო საბჭოთა მეომრებისათვის მხცოვანი მწერლის ამ სიტყვების აღმაფრთოვანებელი ძალა. ქართველმა მეომრებმა იგი მიიღეს როგორც ქართველი ხალხის განაწესი და ბრძოლაში ჩაბმის წინ ერთხელ კიდევ შეფიცეს სამშობლოს:

— შენს წინაშე პირობას ვდებთ, რომ ამ გადამწყვეტ ბრძოლაში კიდევ უფრო მაღლა ავწევთ საბჭოთა პატრიოტის მაღალ სახელს, ჩვენი დიადი ქვეყნის სხვა ხალხების შვილებთან ერთად თავგანწირვით ვეკვეთებით გაბოროტებულ მტერს და სამშობლოსათვის სიცოცხლესაც არ დავიშურებთ.

მათ ასეც შეასრულეს სამშობლოსათვის მიცემული წმიდა ფიცი.

გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა ურდოები უკვე თარეშობდნენ ჩრდილო კავკასიის მიწა-წყალზე, მდინარე თერგის

მარცხენა ნაპირამდე. ახლა ლამობდნენ გროზნოსა და ამიერ-კავკასიისაკენ გამოჭრას; სწორედ მდინარე თერგთან სალ კლდედ აღიმართნენ მტრის პირისპირ ქართველი მეომრები. აქ დაიღვარა ამ დივიზიის მებრძოლთა პირველი სისხლი.

როცა მეოთხე ასეულის მებრძოლები მტრის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე შევიდნენ, გერმანელთა ძლიერი მცელავი ცეცხლის ქვეშ აღმოჩნდნენ. ყველაფერს სწრაფი, გაბედული მოქმედება წყვეტდა. ლეიტენანტმა გრიგოლ რუხაძემ ასეული წაიყვანა იერიშზე. ამ მომენტში ის მძიმედ დაიჭრა მარჯვენა ფეხში და სისხლით მოსვრილი დაეცა.

ასეული შეჩერდა. მტერი კი განაგრძობდა ძლიერ ცეცხლს, ერთიმეორეზე მწყობრიდან გამოდიოდნენ ქართველი ვაჟკაცები. შეიქმნა ძალზე კრიტიკული მდგომარეობა. და ამ დროს ასეულის მეთაურის მოადგილე ა. ქადაგიძე, ბატალიონის მეთაურის მოადგილესთან კაპიტან ა. ღრეულთან ერთად, გაიჭრა წინ ძახილით. „წინ, სამშობლოსათვის!“ მათ მეგობრები მიყვნენ, წინ წაიწიეს რამდენიმე მეტრით და ხელსაყრელ ზღუდეზე გამაგრდნენ. ასეული მაინც მოწინააღმდეგის მცელავ ცეცხლში იყო გახვეული. მას განადგურება ემუქრებოდა, მხოლოდ წინ გაჭრით შეიძლებოდა საშიშროების თავიდან აცილება.

წინ კი ხელისგულივით გაშლილი ერთი უბანი იყო. ამოცანა რომ მიიღო, კომკავშირელმა უმცროსმა ლეიტენანტმა შოთა ჩხაიძემ თავის მებრძოლებს მთელი ხმით გასძახა: „უკან დასახევი გზა არა გვაქვს, ჩვენს უკან თერგი და საქართველოა, არ გავუშვათ მტერი ამიერკავკასიისაკენ, სიკვდილი ჰიტლერს! მომყევით, წინ!“ და პირველი გადაეშვა ბრძოლაში, მოხერხებული მანევრით გადაირბინა პატარა მინდორი, მაგრამ ტყვი-

ამ მაინც მიაგნო. მიუხედავად მძიმე ტკივილებისა, იგი განაგრძობდა წინსვლას, გადადგა კიდევ რამდენიმე ნაბიჯი და ძალა აღარ ეყო ცხრამეტი წლის გმირს, იგი მოცელილივით დაეცა. ამ დროს მასთან დასახმარებლად მიიჭრა ასეულის სანინსტრუქტორი ოქრუაშვილი, მაგრამ მტრის ტყვიამფრქვევის ჯერმა ორივე გამოასალმა წუთისოფელს.

ქართველმა მეომრებმა ათმაგად მიუზღეს მტერს: „სისხლი სისხლისა წილ, სიკვდილი სიკვდილის წილ!"

ავტომანქანები შეუნელებლად მიიწევენ წინ. მოულოდნელად ჰორიზონტზე, ერთმანეთზე მაყრებივით გადაბმულ გორებზე აღიმართა უზარმაზარი ცეცხლის ენები.

— იწვის, ბუნებრივი გაზი იწვის. სწორედ ეს ადგილებია ბუნებრივი გაზის საბადო, სპეციალური კოშკებიც აღუმართავთ, რომ არ დაგროვდეს, — ამბობს ერთი.

— რაღაც სიმბოლიურად გამოვიდა. მოზდოკის მისადგომებთანაც ხომ ბევრი დაეცა, თითქოსდა მარადიული ცეცხლი კიაფობდეს დიდ სამამულო ომში დაღუპულ გმირთა მოსაგონებლად, — დაატანა მეორემ.

ერთ ადგილას, მოზდოკიდან 26 კილომეტრის დაშორებით გზა გაიყო. ისარმა ხელმარცხნივ მალგობეკი აჩვენა.

— ამ ქალაქისათვის ბრძოლებში დაიღუპა ჩვენი თანამემამულე ალექსანდრე ტყეშელაშვილი, რომელსაც დიდი პატივი დასდეს მალგობეკელებმა. ქალაქის მისადგომთან აღმართულ ობელისკს გმირის საპატივცემულო სპეციალური წარწერა ამკობს, — თქვა სერგო გოშხეთელიანმა და თან დაუმატა: — ამ ორიოდე წლის წინათ ვიყავით მალგობეკში გმირუ-

ლად ბრძოლებში დაცემულის ძმა სერგო ტყეშელაშვილი და მე. ძვირფასი შეხვედრა მოგვიწყეს მენავთობეებმა.

საინტერესოა ალექსანდრე ტყეშელაშვილის გმირობის ისტორია:

ქუთაისელი ალექსანდრე ტყეშელაშვილი პედაგოგიური ინსტიტუტის მეორე კურსის სტუდენტი იყო, როცა საბჭოთა არმიის რიგებში მოხალისედ წავიდა.

„ძვირფასო დაო ქეთო! სულ რაღაც რამდენიმე კვირაა დაგცილდით, მაგრამ ყოველი დღე წელიწადად მეჩვენება, მომენატრეთ, ძლიერ მომენატრეთ.

ბუნებრივია, ჩემი ამბავი გაინტერესებთ. ჯარისკაცულ ცხოვრებას კარგად შევეგუე, გულდასმით ვსწავლობ სამხედრო საქმეს“, — ასე იწყება პირველი ბარათი, რომელიც მან დას გამოუგზავნა.

„ძმაო სერგო, — ახლა ძმას სწერდა ჯარისკაცი, — რაც შეიძლება ხშირად მომწერეთ თქვენი ამბავი, ყოველი წერილის მოსვლა ჩემს მეორე დაბადებას ნიშნავს. იწერებით ფულს გამოგიგზავნითო, აქ მე ყველაფერი საყოფი მაქვს. აპრილის შუა რიცხვებში ფრონტზე გავდივარ. ვეცდები გავამართლო თქვენი იმედები“.

1942 წლის 16 მაისს, დის ქეთევანის სახელზე გამოგზავნილ ბარათში უკვე გამოცდილი ჯარისკაცი და-ძმებს არიგებს: „ცხადია, ცხოვრება მძიმე იქნება ზურგში, და მე, რატომღაც, ეს სავალდებულოდ მიმაჩნია... თუ გინდა, რომ სამშობლომ გაიმარჯვოს, შენი შრომით მეტი უნდა მისცე მას და ნაკლები მოითხოვო. გაჭირვების წინაშე ერთი ნაბიჯი უკან, დამარცხებას ნიშნავს.

ჩემზე კი არ უნდა იფიქროთ და იჯავროთ, არამედ პრაქ-ტიკული საქმიანობით ყველაფერი გააკეთოთ იმისათვის, რომ მე ღირსეულად ვიბრძოლო ფაშისტების წინააღმდეგ, რათა მოკლე დროში გამარჯვებული დავბრუნდე შინ. ნამდვილი ბედნიერება კი ის არის, რომ სიძნელეების არ შეგეშინდება და გამარჯვებული დაბრუნდები“.

მალე მამამ და და-ძმებმა შეიტყვეს, რომ ალექსანდრე გმირულად დაიღუპა, მაგრამ სად, ამის შესახებ გარკვეულ დრომდე არაფერი იცოდნენ.

ოცი წლის შემდეგ, 1963 წელს, ქალაქ მალგობეკში ნავთ-სადენი მილების გაყვანის დროს უპოვნიათ დიდ სამამულო ომში დაღუპულ მეომართა ნეშტები. მათ შორის ალექსანდრე ტყეშელაშვილიც აღმოჩნდა, რომლის ცხედრისათვის მე-დალიონით მიუკვლევიათ.

სამხედრო კომისარიატის მეშვეობით ეს ამბავი აცნობეს გმირის ძმას, პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორს სერგო ტყეშელაშვილს, რომელთანაც ერთად მალგობეკში ჩავე-დი.

გმირი მეომარი დიდი პატივით მიაბარეს საძმო საფლავს და აუგეს შესანიშნავი ობელისკი, რომლის გახსნას ჩვენც დავესწარით...

ნახევარი საათის შემდეგ მოზდოკში შევედით.

მოზდოკელები დიდი ინტერესით აკვირდებიან ავტომან-ქანებს, დელეგაციის შემადგენლობას, მოგვესალმებიან, მი-ვესალმებით.

და სხვები...

მოზდოკიდან სტანიცისაკენ გადავუხვიეთ, ორმოცი კილომეტრი მტვრიანი გზა განვვლეთ და იშჩორსკაიაში შევედით.

ჩვეულებრივი ჩრდილოკავკასიური სტანიცა პატარა ლამაზად ნაგები შენობებით არაფრით არ გამოირჩევა სხვა დასახლებული პუნქტებისაგან. ომის ვეტერანებს მათ მიერ ნაბრძოლი ადგილების დათვალიერება აინტერესებთ, სულმოუთქმელად იჩქარიან საძმო საფლავთა სანახავად.

სადაბო საბჭოში მხოლოდ მდივანი, ახალგაზრდა გოგონა დაგვხვდა.

— თავმჯდომარე რაიონულ ცენტრში, ნაურსკში თათბიზე იმყოფება, რით შემიძლია გემსახუროთ?

— ჩვენ გვაინტერესებს საძმო საფლავები, აქ ჩვენი დივიზია იბრძოდა... — უთხრა პოლიკარპე ჯაჯანიძემ და ამჯერად გოგონა მოწიწებით წამოდგა, გულთბილად მოგვესალმა.

— ახლავე შევატყობინებ რაიონულ კომიტეტს, დაბრძანდით. საძმო საფლავები ჩვენს სტანიცაში სამ ადგილზეა.

საძმო საფლავზე, რომელიც საშუალო სკოლის უკან არის მოთავსებული, ყველას ომის ვეტერანებმა დაგვასწრეს. არც თუ ისე მოზრდილ ობელისკს რუსულ ენაზე ასეთი წარწერა აქვს: „აქ დაკრძალული არიან სერჟანტი ა. ვ. შატონი, რიგოსანი მ. პ. პარხომენკო, რიგოსანი ა. გ. გუსკოვი და სხვები (60 კაცი), რომელთა გვარები უცნობია“.

— აქ არიან, აქ ჩვენი ბიჭები,—დაბეჯითებით ამბობს პ. ჯაჯანიძე, — სწორედ აქ ვიბრძოდით, აქ მივაბარეთ მიწას ომში-დაღუპულნი.

გიორგი ცინცაძემ და პავლე სარალიძემ თავი ვეღარ შეიკავეს, ცრემლები ვერ დამალეს.

ჩვენს ირგვლივ თავი მოიყარეს მოსწავლეებმა, პედაგოგებმა, მოსახლეობამ.

მხოლოდ ახლაღა მივხვდი გიორგის სათქმელს. როცა ფასანაურში ღამე გავათიეთ, მან მოკლედ მიამბო.

— არმიაში რომ გამიწვიეს, თვრამეტი წლისა ვიყავი. ქართულ დივიზიაში ჩარიცხვისთანავე არჩილ ინასარიძეს დავუმეგობრდი, მთიულების წესისამებრ ხელის თითები დანის წვერით გავიჭერით, სისხლი სისხლს შევაწებეთ და ერთმანეთს სამუდამო მეგობრობა შევფიცეთ. პირველსავე ბრძოლაში დაეცა ჩემი არჩილი. მისგან სამახსოვროდ მხოლოდ თითზე გაჭრილის ნაკვალევი დამრჩა.

ალბათ ამიტომ იყო, რომ გიორგი ცინცაძე ასე ისწრაფოდა ძმობილის საფლავის ნახვას, მაგრამ... „და სხვები“.

ვინ იგულისხმება ამ „და სხვებში“?

— საძმო საფლავი საბჭოთა მეურნეობებში „სოვეტსკაია როსიასა“ და „პობედაშიც“ არის. — გვითხრა სკოლის დირექტორის მოადგილემ საწარმოო სწავლების დარგში ივანე ალექსის ძე ვასილიევმა,—სხვადასხვა ადგილზე დაკრძალული მეომრები ერთად შევკრიბეთ და სამ ადგილას მოვათავსეთ.

—წარწერები?

— წარწერები გადაშლილი იყო, გვარები შემდგომში ვეღარ დავადგინეთ.

— ეხ, ეხ, ბიჭებო, ბიჭებო, ჩვენო არწივებო! — გულში მჯიღს იკრავს პოლიკარპე, ვატყობ, რომ ცუდად გახდა.

ჩვენთან სადაბო საბჭოს აღმასკომის მდივანმა მოირბინა

და გვითხრა: რაიონულ ცენტრში დავრეკე, მალე ხელმძღვანელები ჩამოვლენო.

მაგრამ...

ომის არცერთი მონაწილე აღარ სჩანდა, ისინი თავიანთი საბრძოლო ადგილების დასათვალიერებლად წასულიყვნენ.

ე. წ. „გრუზინსკი მოსტის“ მიღმა, სადაც ამჯერად საქართველოდან ცხვრის ფარები გადაჰყავთ საზამთრო საძოვრებზე ყიზლარში, ახლაც ნათლად ჩანს სანგრები. სწორედ ამ სანგრებს მიაშურეს დივიზიის ყოფილმა მზვერავმა სერგო გოშხეთელიანმა და ბატალიონის ყოფილმა უფროსმა პავლე სარალიძემ.

— აი, აქ იყო ჩვენი სანგრები, — ზუსტად მიგვანიშნებს სერგო გოშხეთელიანი, — აქ კი — გერმანელებისა.

— აქ დაეცა კოლია კიკაჩეიშვილი, აქ — რეზო ;ანჯარაშვილი, — დასძენს პავლე სარალიძე.

იქვე სანგრის ნაკვალევის მახლობლად მოხუცი ქალი ნახირს აძოვებს, ცნობისმოყვარეობით მიჩერებია უცხო პირებს.

— ვინ ბრძანდებით, საიდან მოსულხართ? — კითხულობს იგი.

— საქართველოდანა ვართ, დედი, ომის დროს აქ ვიბრძოდით, — ეცნობიან ვეტერანები.

მოხუცი, სტანიცის მკვიდრი, 70 წლის ალექსანდრა აკიმის ასული აბოზინა აღმოჩნდა. მან გაიხსენა ომის საშინელი ამბები, მოგვითხრო იმის შესახებ, თუ როგორ კრიბავდნენ ადგილობრივი მცხოვრებნი მინდორში დაფანტულ მებრძოლთა სხეულის ნაფლეთებს და დიდი პატივით ასაფლავებდნენ მათ.

სერგო გოშხეთელიანი უფრო შორს წავიდა, ხელი დაგვიქნია და ჩვენც მისკენ გავეშურეთ:

— ვიცანი, ეს ადგილებია, —აღელვებული ამბობს იგი,— აქედან გავიდა დაზვერვაზე მზვერავი დარჩია, მალე დანაღმულ ადგილს წააწყდა და ნაღმზე აფეთქდა.

—მკვდარს მაინც არ დაგანებებთ, რჯულძაღლნო,—წამოიძახა მზვერავმა კუტუბიძემ და მოკლული ძმობილისაკენ გახოხდა, მიაღწია კიდეც, უკან მისი გამოყვანა დააპირა, მაგრამ ისიც მოჰკლეს წყეულებმა.

მალე მოსწავლეებმა მოირბინეს და გვაცნობეს, რომ რაიონული ხელმძღვანელობიდან ამხანაგები ჩამოვიდნენო.

ისევ სტანიცის ცენტრი.

ჰხურვალედ მოგვესალმებიან პარტიის ნაურსკის რაიკომის მდივანი ანასტასია მიხეილის ასული კარაიჩევა, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე მიხეილ ივანეს ძე ტიტოვი და რაიონული გაზეთის წარმომადგენელი ნიკოლოზ პეტკაჩევი.

სკოლის უკან არსებულ საძმო საფლავზე გაიმართა სახელდახელო მიტინგი. ომის ვეტერანებმა სიტყვები წარმოთქვეს, მოიგონეს იშჩორსკაიასათვის გაჩაღებული ბრძოლის ამბები.

მშობლიური მიწა დავაყარეთ საფლავს, ცოცხალი ყვავილების თაიგულით შევამკეთ. აქვე დავამაგრეთ წარწერა რუსულ და ქართულ ენებზე: „დიდ სამამულო ომში (1941—1945 წწ.) გმირულად დაღუპულ 414-ე ანაპის წითელდროშოვახი ქართული დივიზიის მებრძოლებს. ქ. ქუთაისის მშრომელებისაგან. მაისი, 1965 წელი“.

პარტიის რაიკომის მდივანმა ა. კარაიჩევამ უბის წიგნაკ-

ში ჩაინიშნა იმ დაღუპულ ქართველ მებრძოლთა გვარები, რომლებიც მეხსიერებით აღადგინეს დელეგაციის წევრმა ომის ვეტერანებმა და აღგვითქვა, რომ სათანადო ორგანოების დახმარებით დააზუსტებს და პერსონალური აღნიშვნით სპეციალურ დაფას გაუკეთებენ საძმო საფლავს.

მდუმარედ მივემართებით საბჭოთა მეურნეობა „პობედაში“, სადაც აგრეთვე მოთავსებულია მეორე საძმო საფლავი. აქ კი უკვე არცერთი წარწერა არაა, მაგრამ ომის მონაწილეებმა ადგილმდებარეობის მიხედვით მაინც გამოიცნეს ქართველთა საძმო სასაფლაო. სახელდახელო მიტინგზე დელეგაციის სახელით შიო გვეტაძემ წარმოთქვა სიტყვა, რომელიც ასე დაამთავრა: „დაე, მტკიცდებოდეს ჩეჩნეთ-ინგუშეთისა და ქართველი ხალხების მეგობრობა, რომელიც ომის მძიმე დღეებში განმტკიცდა და შედუღაბდა“.

სტანიცაში ვენახი ხარობს

პირველად ვენახი აქ კინოოპერატორმა ოთარ ტეტელაშვილმა და ფოტოკორესპონდენტმა ბონდო მაღლაფერიძემ შენიშნეს და სათანადო კადრებიც აღბეჭდეს.

— როგორ, იშჩორსკაიაში ვენახი ხარობს? — ვეკითხებით პარტიის რაიკომის მდივახს.

— დიახ, 1954 წლიდან რაიონის მშრომელებმა მტკიცედ მოჰკიდეს ხელი მევენახეობას. ადრე ნაურსკის რაიონი, სადაც 38 ათასამდე მცხოვრებია, ძირითადად მემინდვრეობის რაიონი იყო, მაგრამ უკანასკნელ წლებში მევენახეობაზე გა-

დავედით. ახლა უკვე რაიონში რამდენიმე ათასი ჰექტარი ვაზია, ძირითადად ქართული ჯიში „რქაწითელი", რომელიც საქართველოდან გადმოვნერგეთ. ყურძნის დამუშავებას ადგილზევე ვახდენთ მეურნეობებთან არსებულ ღვინის ქარხნებში, რომელთაც, თუ დაინტერესდებით, დაგათვალიერებინებთ.

ვაზის სიყვარული ქართველ კაცს ოდითვე მოდგამს, ამჯერადაც გულგრილად ვერ ჩაეუარეთ გვერდი ვენახს და მშობლიურად მივესალმეთ.

პარტიის ნაურსკის რაიკომის პირველი მდივანი ვასილ პავლეს ძე პოჟიდაევი და რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, ადრე საბჭოთა მეურნეობა „პობედას" დირექტორი ალექსანდრე სერგის ძე სიტაკი ღვინის ქარხანაში შეგვხვდნენ და მოიბოდიშეს, გადაუდებელი საქმეების გამო დროულად ვერ ჩამოვედითო.

— მერვე წელია, — განაცხადა პირველმა მდივანმა, — რაც ამ რაიონში ვმუშაობ და ასეთ უჩვეულო დელეგაციას პირველად შევხვდი. ჩვენი რაიონის მშრომელები არ ივიწყებენ თავიანთ გამათავისუფლებლებს, მოვლა-პატრონობას არ აკლებენ საძმო საფლავებს. მაგრამ თქვენთან ერთად ჩვენც გული გვტკივა იმის გამო, რომ დღემდე არ მოხერხდა სახელობითი სიების დადგენა ამ ბრძოლებში დაღუპული პირებისა.

— საჭიროა და აუცილებელიც, — ერთხმად ვაყენებთ წინადადებას. და მართლაც, სანამ დრო არის, სანამ ამის საშუალებაა, ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაზუსტდეს ეს სიები, საძმო საფლავებზე უნდა გაკეთდეს მათი გვარების აღმნი-

იშჩორსკაია. საბჭოთა მეურნეობა „პობედას“ ტერიტორიაზე არსებული საომო საფლავი.



კალაბატკა. აი, ასეთ ლიმანებზე უხდებოდათ გადასვლა სახელოვანი 414-ე ქართული დივიზიის გმირ მებრძოლებს.

შვნელი წარწერები, რომ გამვლელ-გამომვლელმა, ჩვენმ მომავალმა თაობამ წმიდად შემოინახონ მათი სახელები.

ჩვენ ეს აზრი გამოვთქვით და მასპინძლებიც დაგვთანხმდნენ.

ქუთაისის მშრომელთა დელეგაციამ ნაურსკის რაიონის ხელმძღვანელობას გადასცა ქუთათურთა ნახელავი სურები წარწერით: „გამარჯვების 20 წლისთავის. აღსანიშნავად ქუთაისის მშრომელებისაგან“.

დიდებული მასპინძლობა გაგვიწიეს საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელებმა. ღვინის ქარხანაში გაიმართა სამახსოვრო ვახშამი და ქართული წარმოშობის იშჩორსკაიას ღვინოები დაიღვარა საძმო საფლავებზე.

ᲙᲐᲚᲐᲑᲐᲗᲙᲐ

ᲑᲐᲥᲡᲐᲜᲘᲡ ᲦᲐᲛᲔ

ღამის 11 საათია და ისევ მოზდოკში ვართ, სასტუმრო გადატვირთულია, ღამე ღია ცის ქვეშ უნდა გავათენოთ.

— ვიაროთ, — წამოაყენა წინადადება ერთმა.

— ჩვენი მებრძოლები განა ღამეს სასტუმროში ათევდნენ? ვიაროთ. — კვერი დაუკრა მეორემ.

და ასეც გადავწყვიტეთ, გეზი პროხლადნაიასკენ ავიღეთ, წინ კუკური ხანუმოვის მანქანა მიდის, ამ მხარეში ნამყოფია და გზას კარგად იცნობს.

მარჯვე ბიჭია ჩვენი კინოოპერატორი ოთარ ტეტელაშვილი, თავის საქმესაც ასწრებს და მანქანის მართვაშიც

ენაცვლება გრამიტონ ჯანელიძეს, ოთარ სილაგაძეს კი ოტია იოსელიანი შველის.

თვალწინ ისევ იშჩორსკაია წარმომიდგა. რამდენი ადამიანის სისხლი შეიწოვა ჩრდილოეთ კავკასიის მიწამ. ომის ვეტერანებმა მძიმედ განიცადეს საბრძოლო ადგილების დათვალიერება! და ჩვენთან ნათელა აბუსერიძეც რომ ყოფილიყო...

ჰო, მართლა, ნათელა აბუსერიძეს ჯერ თქვენ არ იცნობთ. იგი ქუთაისში, აბრეშუმკომბინატის პოლიკლინიკაში ექთანად მუშაობს.

— მამაჩემი ისიდორე ივანეს ძე აბუსერიძე, — მომითხრო მან, — ომის დაწყებისთანავე გაიწვიეს არმიაში. სახლში მეუღლე და ოთხი შვილი დავრჩით, შვილებს შორის უფროსი მე ვიყავი, 18 წლისა, ახალი დამთავრებული მქონდა ქუთაისის საფერშლო სკოლა.

პირველ ხანებში მამა ხშირად იწერებოდა, ფრონტზე ქალებიც ბევრი არიანო, რაღა მეშველება ჩემი ნათელაც რომ გაიწვიონო.

ასრულდა მამაჩემის წინათგრძნობა. 1942 წლის 5 ივლისს გამიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში. ჩვენი დივიზია ქ. გროზნოსათვის გაჩაღებულ ბრძოლებში ჩაება.

ჯოჯოხეთურ ცეცხლში მოვხვდით. ბევრი ვაჟკაცი დაეცა უთანასწორო ბრძოლაში. ქართველი გოგონების ჯგუფი — ქუთაისელები შურა ჭეიშვილი, ნათელა კიკვიძე და მე ძლივს გადავურჩით ქარცეცხლს. უძინარები, მშიერ-მწყურვალნი ვცდილობდით ერთმანეთი არ მიგვეტოვებინა, დღე ვიმალებოდით, ღამე კი გზას განვაგრძობდიო ქალაქის მიმართულებით.

გამიჭირდა ჩექმებისა და ზურგჩანთის ტარება. გოგონებს რატომღაც ჩამოვრჩი და სასომიხდილი ჩამოვჯექი. თავზე 30—35 წლის სამხედრო მაზარიანი მამაკაცი წამომადგა.

— ვისი ხარ გოგონი, რომელი ნაწილიდან? აქ როგორ მოხვედი?

მე დავასახელე ჩემი ნაწილის ნომერი და ისიც ვუამბე, თუ როგორ მოვხვდით აქ.

—გროზნოსთან ახლოს ქართული დივიზიის ნაწილები დგანან, იჩქარეთ და როგორმე მათ შეუერთდითო. — მითხრა და მიმართულებაც მიმანიშნა.

— თქვენ ვინ ბრძანდებით? — ვკითხე მე.

— მე? ქუთაისელი ვარ, ვაშაკიძე, — დუნედ წარმოთქვა, რატომღაც თავი გადააქან-გადმოაქანა და უმალ გამეცალა.

მას შემდეგ ვაშაკიძეს ვერსად შევხვდი, არც ის ვიცი, ცოცხალი გადარჩა თუ არა.

გახარებული წამოვეწიე გოგონებს. ვიჩქარეთ და, როგორც იქნა ქართული დივიზიის ნაწილებამდე მივაღწიეთ, იქვე წარგვადგინეს სანიტარული სამსახურის უფროსთან..

კვლავ ბრძოლები, ცრემლებით, მწუხარებით, გაჭირვებით განვლილი გზები. ფეხი-ფეხ მაქვს დავლილი ყუბანი, ბევრი ხიფათი გადამხდა თავს.

მახსოვს, ერთ დღეს საგუშაგოზე დამაყენეს, გერმანელთა თვითმფრინავების გამოჩენისთანავე სიგნალი უნდა მიმეცა. დაახლოებით ერთი საათის შემდეგ მართლაც გამოჩნდა მტრის თვითმფრინავები. შემეშინდა, თანაც პარაშუტისტების გადმოსხმა რომ დაიწყეს, კივილი მოვრთე და გავიქეცი. არ ვიცოდი საითკენ გავრბოდი ანგარიშმიუცემლად.

კაპიტანმა შემაჩერა, სიტყვა ვერ დავძარი და ხელი შემოშარტყა.

ამ დღემ განსაკუთრებული როლი შეასრულა ჩემს ცხოვრებაში, უფრო მკაცრი და საკუთარი თავისადმი მომთხოვნი გამხადა.

კალაბატკა, ანაპა, ტამანის ნახევარკუნძული, ქერჩი წვითა და დაგვით განვვლეთ, მთავრობის ჯილდო — წითელი ვარსკვლავის ორდენი და ბევრი მადლობაც დავიმსახურე. ბრძოლის ველიდან დაჭრილების მოხერხებულად გამოყვანაში ისე დავხელოვნდი, ტრაბახად ნუ ჩამომართმევთ და, ბადალი არა მყავდა.

ასეთი ეპიზოდი მახსენდება. ქართული დივიზია ქერჩის მისადგომებთან იბრძოდა. საოპერაციო გადახურულში ერთი მძიმე დაჭრილი მოიყვანეს.

— აბუსერიძე — ბჟოლიეთი (ასე მეძახდნენ, ჩემი მშობლები ჩოხატაურის რაიონის სოფელ ბჟოლიეთიდან არიან). ოპერაციისათვის მოემზადეთ! — მიბრძანა ექიმმა მაიორმა გრიგოლ მინდაძემ.

იმ წამსვე დაჭრილთან გავჩნდი. დაჭრილს თავი გვერდზე გადაეგდო და ძლივს ტოკავდა, როცა გვარი გაიგონა, ხალათში მომწვდა და მკითხა.

აბუსერიძე ხარ? ისიდორეს ქალიშვილი ხომ არა?

— დიახ, — მივუგე გახარებულმა, — საიდან იცნობთ მამაჩემს, ერთად ხომ არ იბრძოდით?

დაჭრილმა საშინელი ტკივილები როგორც იქნა დაძლია და ნაწყვეტ-ნაწყვეტად წარმოთქვა:

— ჰო, მამაშენი ჩემთან იყო, ჩემთან იბრძოდა, ელოდე, ალბათ მალე ნახავ.

ყველა ღონე ვიხმარე დაჭრილის გადასარჩენად. ჩვენთან მოყვანამდე ბევრი სისხლი დაეკარგა, ცალი ფეხი მოეგლიჯა ყუმბარის ნამსხვრევს. საკუთარი სისხლი გადავუსხი ისედაც სისხლდაცლილმა. როგორც იქნა გადავარჩინეთ.

დაჭრილი რუხაძე აღმოჩნდა ხაშურიდან. იგი მალე ზურგში გადმოგზავნეს და თან დამიტოვა მამასთან შეხვედრის იმედი, მაგრამ ამაოდ. მამაჩემი ფრონტიდან აღარ დაბრუნებულა. ვინ იცის, სად დაიღუპა, დაკრძალეს კი?

ბევრი მეომარი გამომიყვანია ბრძოლის ველიდან, ბევრისათვის გადამისხამს საკუთარი სისხლი. მათ შორის არიან ჩოხატაურელები სიხარულიძე და თევდორაძე, ქუთაისელი ჯერგაია და სხვები, ყველას გვარი სადღა მახსოვს...

დიახ, რას გაუძლეს ჩვენმა ბაბუკებმა და ქალიშვილებმა, რა ცეცხლი და სიმწარე გადაიტანეს. მანქანების სრბოლაში სწორედ ამაზე ვფიქრობდით მაშინ.

ნაშუალამევს ჩავედით პროხლადნაიაში, აქაც ამაოდ ვეძებეთ ღამის გასათევი და კვლავ განვაგრძეთ გზა ბაქსანისაკენ.

ჭკუა იხმარა მწერალმა ოტია იოსელიანმა, ტურისტული კლუბიდან სპეციალური საძილე ტომარი და გასაშლელი კარავი წამოიღო. ბაქსანშიც არ აღმოჩნდა ადგილი სასტუმროში და სწორედ მისწრება გამოდგა საძილე ტომარი.

დანარჩენებმა?

დანარჩენებმა ავტომანქანებში მოვიკალათეთ და ბაქსანური ღამე ვათიეთ.

მე სერგო გოშხეთელიანთან საუბარში გავერთვე.

ადრე ვერც კი წარმომედგინა, რომ მას, ჯერ კიდევ ახალგაზრდას, ამდენი რამ გადახდენია თავს.

ამბავი, რომელიც ქვემოთ უნდა მოგითხროთ, სწორედ მან მიამბო, მიამბო შემთხვევით, მისდა უნებურად, ჩემდა მრუდლოდნელად.

ერთხელ მასთან, სახლში, სურათების ალბომს ვათვალიერებდი. ყურადღება მიიპყრო ერთ-ერთმა ფოტოსურათმა, რომელზეც გამოსახულია ორდენებით მკერდამშვენებული ახალგაზრდების ჯგუფი, მათ შორის ჩემი მასპინძელიც შევიცანი, რომელსაც მკერდს წითელი ვარსკვლავის, ორი სამამულო ომის ორდენები და მედლები უმშვენებს.

— როგორ, თქვენ იბრძოდით?

ჩემს გულუბრყვილო შეკითხვაზე გაეღიმა და მომიგო:

— არ მეტყობა? ვიბრძოდი, ჩვიდმეტი წლის ყმაწვილი მოვხვდი ფრონტზე, წინა ხაზზე, მზვერავი ვიყავი.

— საინტერესოა.

— ახლა კი, მაშინ, ეჰ მაშინ, სულ სხვა იყო. ბავშვობისას მეგონა, რომ ომი თამაშობაა... ვინ მოთვლის რამდენი ვაჟკაცი დაიღუპა, რამდენმა დედამ ჩაიცვა თალხი, რამდენი ბავშვი დაობლდა, რამდენ ადამიანს გაუმრუდდა ცხოვრების გზა.

მოსაუბრე ერთბაშად გარდაიქმნა, მის სახეზე მხიარული გამომეტყველება გაქრა, მომეჩვენა, რომ ერთ წუთში მოტყდა და ჩემს წინ ამჯერად წარმოდგა ჭირ-ვარამისაგან გადაღლილი პიროვნება, ხაბრძოლ-ხადავიდარაბალი.

მისმა ამგვარმა სახეცვლილებამ გამაკვირვა. სკამი უფრო ახლოს მივაჩოჩე და ინტერესით დავუგდე ყური.

— ჩემმა საცოდავმა მშობლებმა, — დაიწყო მან, — ომის დაწყების პირველსავე წელს ერთიმეორეზე მიყოლებით შეიტყვეს ორი შვილის დაღუპვის ამბავი. დიახ, ჩემი უფროსი ძმები გმირულად დაეცნენ სამამულო ომში.

სახლში გული არ მიდგებოდა. ასაკით არმიაში გაწვევა არ მიწევდა. მაგრამ სოფელში რა გამაჩერებდა. დედ-მამასთან ამის შესახებ სიტყვის დაძვრაც არ შეიძლებოდა, არადა ჭაბუკურ მოზღვავებულ ენერგიას ვგრძნობდი და მთელი არსება შურისძიებისაკენ მიხმობდა.

სახლიდან გავიპარე, სამხედრო კომისარიატში გამოვცხადდი და ფრონტზე გაგზავნა ვითხოვე.

მათ, რასაკვირველია, ნება არ დამრთეს, მაგრამ მე მაინც ჩემი გავიტანე.

როგორც იქნა არმიის ნაწილში ჩამრიცხეს. სწორედ მაშინ ჩამოყალიბდა ჩვენი დივიზია.

დივიზიის შემადგენლობამ საზეიმო ვითარებაში დადო ფიცი. ფიცს რუსულ და ქართულ ენებზე ზეპირად წარმოვთქვამდი მე, რისთვისაც მივიღე პირველი წარჩინება—ოთხი სამკუთხედი საყელოზე და წითელი ვარსკვლავები მკლავებზე, დამაწინაურეს პოლიტხელმძღვანელის მოადგილედ.

დივიზია, რომლის მეთაური იყო პოლკოვნიკი იოსკევიჩი, ხოლო კომისარი ხუსკივაძე, გაემართა ფრონტისაკენ და განლაგდა ჩრდილო კავკასიაში, გროზნოს ჩრდილო-დასავლეთით, ჩეჩენთა №15 საბჭოთა მეურნეობის რაიონში.

აქ უკვე ჩვენამდე აღწევდა მძიმე ქვემეხებისა და ნაღმტყორცნების ქუხილი. აშკარად ვგრძნობდით, რომ მიმდინარეობდა გააფთრებული ბრძოლები.

გერმანელები არ იშურებდნენ ცოცხალ ძალასა და ტექნიკას, რათა ხელში ჩაეგდოთ ქ. მალგობეკი და შეტევა განეხორციელებინათ გროზნოზე, აქედან კი ბაქოს მიმართულებით. ამ ფრონტზე მათ გადმოისროლეს გენერალ კლაისტის სატანკო არმია.

დაიწყო გადამწყვეტი ბრძოლები: დაეცემოდა მალგობეკი, ვეღარ ვიხსნიდით გროზნოს. სწორედ ამიტომ იყო, რომ საბჭოთა არმიის მებრძოლები მალგობეკელ მოლაშქრე მენავთობეებთან ერთად ფოლადის მკერდით აღიმართნენ საძულველი მტრის წინააღმდეგ. მათ ღირსეულად შეასრულეს უმაღლესი მთავარსარდლის ი. ბ. სტალინის ბრძანება „არც ერთი ნაბიჯი უკან“.

საბჭოთა მეომრების მტკიცე დარაზმულობამ უზრუნველყო თავდაცვითი ბრძოლების წინასწარ შემუშავებული გეგმის მთლიანად განხორციელება, დაასუსტა მტრის ძალები და მოამზადა ნიადაგი შეტევაზე გადასვლისათვის. განსაკუთრებით თავი ისახელეს პოლკოვნიკ პირმისაშვილის არტილერისტებმა, რომლებმაც გაანადგურეს გენერალ ფონ მაკის განთქმული ჯავშანსატანკო ნაწილები, ხოლო თვით გენერალი კი სამუდამოდ დაადუმეს.

და აი, დადგა 1942 წლის ნოემბერი, შეტევით ბრძოლაში ჩაება და მდინარე თერგთან, სადგურ იშჩორსკაიას მისადგომებთან, მტრის პირისპირ დადგა 414-ე მსროლელი ქართული დივიზია.

მტერს მეტად ხელსაყრელი პოზიცია ეჭირა და ყოველი ღონისძიებით ცდილობდა მის შენარჩუნებას. ჩვენი დივიზიის წინსვლას აფერხებდა ისიც, რომ საჭირო იყო მდინარე თერგის, ამასთან ფაშისტების მიერ დანაღმული ადგილებისა და მავთულლობურების გადალახვა.

სწორედ აქ იჩინა თავი დივიზიის მზვერავების კუტუბიძის, დარჩიასა და ბულბულაშვილის თავგანწირულმა მოქმედებამ. მათ ბრწყინვალედ შეასრულეს ხელმძღვანელობის დავალება, ღამით გააუვნებელყვეს დანაღმული ველი და გააკეთეს მოხერხებული გადასასვლელები მავთულლობურებში.

დილით დივიზია შეტევაზე გადავიდა. პოლკები და ათასეულები თავგამოდებით ეკვეთენ მტერს. გაჩაღდა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, მტერი უკუქცეული იქნა. ჩვენმა დივიზიამ ჯარის სხვა ნაწილებთან ერთად დაიკავა ქალაქი მოზდოკი.

ამ დროს დივიზიის მეთაურად დაინიშნა პოლკოვნიკი სელიხოვი. ამ უშიშარი ადამიანის, პარტიზანული ბრძოლების ყველა ეშმაკური ხერხის დიდი მცოდნის მეთაურობით დივიზიამ იერიში მიიტანა მდინარე ყუბანზე სტანიცა გრივენსკაიას რაიონში გამაგრებულ მტერზე, რათა სასწრაფოდ უზრუნველეყო გამაგრებული ზღუდის გარღვევა და შემდგომში არ მიეცა მისთვის ახალი თავდაცვითი საშუალებების გამოყენების შესაძლებლობა.

ამ ბრძოლების წინა ხაზზე ყოველთვის იდგა დივიზიის მეთაური. იგი ჩვენთან — საშუალო მეთაურებთან და რიგით ჯარისკაცებთან ერთად სჭედდა გამარჯვებას. სად არ ნახავდით

შას, დაზვერვაზე თუ წინა ზღუდეებზე, ჯარისკაცებთან თუ მეთაურებთან, ყველგან მხნეობისა და უძლეველობის რწმენა შეჰქონდა მეომრებში.

...სელიხოვთან ერთად სტანიცა გრიგენსკაიას რაიონში ვარ. მეთაურმა სწრაფად შენიშნა აგურის ქარხნის ნანგრევები, შეარჩია საკომანდო პუნქტი და გასცა ბრძანება პოლკები ფრთხილად მიახლოვებოდნენ მტრის პოზიციებს.

მალე მოვიდა ერთი პოლკი და მზვერავი ასეული. მზვერავები საკომანდო პუნქტთან განვალაგე და წავედი მეთაურთან შემდგომი ბრძანების მისაღებად.

მოულოდნელად მტრის მხრიდან წვიმასავით წამოვიდა ნალმები და ჭურვები. ვიღაც ქართულად იძახის „დაწექით!" შევიცანი ჩემი ბიძაშვილის ანდროს ხმა, რომელიც ყოველთვის თან ახლდა დივიზიის ხელმძღვანელობას და ამჯერადაც მტერს უთვალთვალებდა საკომანდო პუნქტიდან.

მოწყვეტით დავეცი ძირს, პირდაპირ ჩემს თავზე გადაიწივლეს ჭურვების ნამსხვრევებმა, მიწამ დამიფარა მთელი სხეული.

ღამის წყვდიადში გაისმის ყვირილი, გინება, დაჭრილთა კვნესა. ზეწამოვიწიე, საკომანდო პუნქტთან მივირბინე და თვალწინ საშინელი სურათი წამომიდგა: მინაზე აფეთქებულიყო ჩვენი საყვარელი მეთაური.

მეთაურის დაღუპვამ წუთით არევ-დარევა გამოიწვია ჩვენს რიგებში. პოლკოვნიკმა ბერუჩაშვილმა სწრაფად მიიღო დივიზიის მეთაურობა. და გაატარა საჭირო ზომები შექმნილი მდგომარეობის შესაბამისად.

მალე წონასწორობა აღდგენილ იქნა. მზვერავთა ასეულმა,

რომელსაც მე ვხელმძღვანელობდი, პირნათლად შეასრულა ბრძანება. ჩვენი მებრძოლების განლაგებიდან 200 — 300 მეტრის წინ დავიკავეთ ახალი ზღუდე და გავანადგურეთ მტრის მეავტომატეები, ხოლო დილით საგულდაგულოდ დავზვერეთ სტანიცა გრივენსკაია, რის შემდეგ დივიზიამ გაყინულ ლიმანებზე გადასვლით განახორციელა შემოვლითი მანევრი მარჯვენა მხრიდან.

მტრისათვის ეს მოულოდნელი აღმოჩნდა. ელვის სისწრაფით დაკავეთ ხუტორი კალაბატკა, გავანადგურეთ 400-მდე ფაშისტი, ხოლო ტყვედ ჩაგვბარდა — 300.

ხანგრძლივი და გრძელი გზით, მძიმე ბრძოლებით დაქანცულმა მებრძოლებმა დაიკავეს თავდაცვითი ზღუდე, მაგრამ მალე გერმანელებმა განახორციელეს გააფთრებული შემოტევა, ხუტორში შემოიჭრნენ ჯავშოსანი მანქანები და ტანკები, რომელთა წინააღმდეგ ჩვენ არ გაგვაჩნდა საბრძოლო იარაღი, ვინაიდან არტილერიის გადატანა ლიმანებზე და ყინულზე ვერ მოვახერხეთ.

იძულებული შევიქენით ღამის უთანასწორო ბრძოლა მიგვეღო. ახალგაზრდა მეთაურები ბლიაძე, წოწორია და ნანობაშვილი არ მოშორებიან ტყვიამფრქვევებს და გმირულად დაიღუპნენ შემოსეული ტანკების მუხლუხებს ქვეშ, აქვე მამაცთა სიკვდილით დაეცა ახალგაზრდა პოეტი, რიგითი ჯარისკაცი სერგო ქღენტი.

ხელმძღვანელობა მოიშალა, ყოველი ცალკეული სახლი გადაიქცა საბრძოლო ცენტრად, ჯარისკაცები იბრძოდნენ დამოუკიდებლად. გერმანელებმა ცეცხლი წაუკიდეს სახლებს

და ზვინებს, რომელთა შუქზე ულმობლად უსწორდებოდნენ ყველას, ვინც კი გაბედავდა ცეცხლიდან გამოსვლას.

დაახლოებით ერთი წლის შემდეგ ამ ბრძოლებიდან, ქალაქ ანაპის განთავისუფლებისას, ერთმა ახალგაზრდა ქალმა მოგვითხრო ხუტორ კალაბატკაში ქართველ ჯარისკაცთა ჯგუფის თავგანწირული ბრძოლის ეპიზოდი.

ყოველივე ეს ასე მოხდა:

ანაპის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში დაიღუპნენ მზვერავები კუდრენკო და მოცნი. მეომრებმა დიდი პატივით შიაბარეს ანაპის მიწას მამაცი მზვერავები. თითქმის ყოველდღე ვიხრიდით თავს მათს საფლავებთან. ფიცს ვდებდით, რომ შური გვეძია დაღუპული მეგობრებისათვის.

ერთი ასეთი შეხვედრის დროს ჩვენთან მოვიდა ახალგაზრდა ქალი.

— ქართველები ხართ?

— დიახ, ქართველები.

— ხუტორ კალაბატკაში ხომ არ გიბრძოლიათ?

— კი, ვიბრძოდით.

— მაშ, შეიძლება იცნობდეთ იმას, — აღტაცება ვეღარ დაფარა ქალმა.

— ვინ, იმას?

ქალი მოგვიახლოვდა და მოგვითხრო:

— იმ უბედურ ღამეს სტუმრად მოვხვდი ნათესავთან ხუტორ კალაბატკაში. სახლი, რომელშიც ხუთი ქართველი მებრძოლი მოთავსდა, შედგებოდა ერთი დიდი და მეორე მომცრო ოთახისაგან. გასავათებული მებრძოლები ცოტათი შენაყრდნენ და იქვე მიწვნენ. მალე მათ ღრმა ძილით ეძინათ. დაახლოებით

ორი საათის შემდეგ ხუტორში ატყდა საშინელი სროლა, რახ-რახებდნენ ტანკები და ჯავშანმანქანები. მალე გარემო განათდა, იწვოდა სახლები, ზვინები, ნაგებობანი, სინათლეზე გამუდმებით სოცავდნენ ადგილობრივ მცხოვრებთ და ჯარისკაცებს, რომლებიც ცდილობდნენ სახლიდან გამოსვლას.

მე შეშინებული გამოვედი მებრძოლებთან და დავინახე მათი განწირული სახეები. მათ შორის ერთმა, მაგარი აგებულების შავულვაშებიანმა სერჟანტმა გასცა განკარგულება, არ გასულიყვნენ სახლიდან. მებრძოლებმა ელვის სისწრაფით დაიკავეს კარები და ფანჯრები და ავტომატებიდან ჯოჯოხეთური ცეცხლი გაუხსნეს მოძმდურებს.

უცებ კარებთან ჩახლეჩილი ხმით გაისმა ხორხისმიერი ხმა: „რუსო, ჩაგვბარდი!“ მაგრამ ეს ხმა მალე ჩაახშო ავტომატის ჯერმა. ორი საათის მანძილზე ხუთეული გმირულად იცავდა თავს, მათ სიცოცხლეს გამოასალმეს რამდენიმე ფაშისტი, მაგრამ...

— ძმებო! ტყვიები აღარაა, საქმე ცუდადაა.

— სანგარსათხრელი ნიჩბები ხომ გვაქვს, — წამოიძახა სერჟანტმა და ნიჩაბი ხელში აღმართა.

ისინი მოხერხებულად განლაგდნენ კარებთან და დაიწყეს ლოდინი.

მე გულის ფანცქალით შევყურებდი ამ სურათს, ვთხოვდი განგებას, არ დაეღუპა ეს შესანიშნავი ვაჟკაცები.

სერჟანტი, რომელიც ჩემი ყურადღების ცენტრში იყო, დინჯად და თვითდაჯერებულად გამოიყურებოდა, მისი აუღელვებლობა და სიმშვიდე სიცოცხლის გადარჩენის იმედს მისახავდა.

უეცრად გაისმა გამაყრუებელი აფეთქების ხმა. ერთბაშად ყველაფერი დაბნელდა, მაგრამ როცა გონს მოვედი, გარედან შეძოსულ სიხათლეზე დავინახე საშინელი სუოათი — ოთახში მყოფი სამი ჯარისკაცი სისხლის მორევში სცურავდა, ხოლო დანარჩენი ორი, მათ შორის მაჯამოკვეთილი სერჟანტი, ისევ კარებთან იდგნენ.

ფაშისტები ჯერ ვერ ბედავდნენ ოთახში შემოსვლას, ბოლოს მათ, ალბათ, შიში დაძლიეს და კარებთან გამოჩნდა ახმახი წითური გერმანელი. ავტომატმომარჯვებულმა მტერმა ფრთხილად შემოდგა ფეხი, მაგრამ მას მყის ხელი სტაცა დაჭრილმა სერჟანტმა და ნიჩბის ძლიერი ჩარტყმით თავი გაუპო. ასე გაუსწორდნენ ქართველები სხვა ორ გერმანელსაც.

მალე ყველაფერი აირია. ისევ ჩამობნელდა, ხელყუმბარის ნამსხვრევებისაგან მეც დავიჭერი, გულგანგმირული სერჟანტი მოცელილივით დაეცა, ხოლო დარჩენილმა ერთმა მებრძოლმა სისხლით სახე მოითხუპნა და ისიც გაგორდა.

ფაშისტები ოთახში შემოცვივდნენ, აქ ცოცხალი მხოლოდ მე აღმომაჩინეს. ისინი ველური სიშმაგით მისცვივდნენ მკვდრებს, დაუწყეს სინჯვა, მაგრამ როცა დარწმუნდნენ, რომ ცოცხლები უკვე აღარავინ იყო, მე წამათრიეს.

მიუხედავად ჩემი ნერვიული დაძაბულობისა, მთელი ყურადღება მიპყრობილი მქონდა სახლისაკენ, რომელიც თანდათან ცეცხლის ალში ეხვევოდა.

უცებ შევნიშნე, რომ ალიდან, როგორც მოჩვენება, წამოიმართა ჯარისკაცი, გადაირბინა საბძელისაკენ და გაუჩინარდა.

დავმშვიდდი, იმედი მომეცა, რომ იგი არ დაიღუპება, მიაღწევს თავისიანებამდე.

გერმანელები ხუტორში განაგრძობდნენ გადარჩენილთა ხოცვა-წამებას. ისინი უმოწყალოდ ხოცავდნენ ქალებს, მოხუცებს, ბავშვებს, ვინც შეეცდებოდა დახმარების ხელი გაეწვდინა დაჭრილი საბჭოთა ჯარისკაცებისათვის.

ჩვენს ჯგუფს იცავდა ერთი ავტომატმომარჯვებული ფაშისტი, რომელიც განსაკუთრებულ სიფრთხილეს იჩენდა, ხელის განძრევა რაა და იმაზეც ავტომატი მზად ჰქონდა.

ბავშვობაში ხშირად მომისმენია ზღაპრები და ლეგენდები, რომელთა გმირები ღამით თავს ესხმიან ურჩხულებს, სპობენ მათ და იკარგებიან წყვდიადში. სწორედ ასევე უეცრად, ყველასათვის მოულოდნელად, ავტომატიან გერმანელს თავს დაესხა ვიღაცა, ერთი დარტყმით ძირს დასცა, ავტომატი აართვა და იქვე მიაცხრილა.

— გაიქეცით! — სწრაფად წარმოთქვა და გაუჩინარდა.

ჩემს მეხსიერებას შემორჩა მისი სისხლით მოსვრილი სახე, იგი „ის“ იყო. ჩემმა გულმა უფრო მშვიდად დაიწყო ძგერა.

ეს ამბავი თქვენ იმიტომ მოგიყევით, რომ იქნებ იცოდეთ რაიმე ამ მამაცი ჯარისკაცის შესახებ. — დაამთავრა თხრობა ქალიშვილმა.

ჩვენ ერთმანეთს გადავხედეთ, კალაბატკაში მომხდარი ბრძოლების მონაწილე თითქმის ყველანი ვიყავით, მაგრამ მსგავსი რამ არ მოგვესმინა.

ომი დამთავრდა, ოცი წელი გავიდა მას შემდეგ. ხშირად მჭონია საუბარი მებრძოლ მეგობართა წრეში რუსი ქალიშვილის ნაამბობის ირგვლივ, მაგრამ მამაცი ქართველი მეომრის კვალს ვერ მივაკვლიე.

იქნებ ახლა მაინც მოხერხდეს, იქნებ იცოდეს ვინმემ მის შესახებ, იქნებ თვითონაც ცოცხალია?

ჩვენი საუბრის თემა ბაქსანში ისევ უცნობ ქართველ გმირს შეეხო.

— იქნებ რაიმე მივაკვლიოთ, — ვუთხარი სერგოს.

— ვნახოთ. ისე, ჩვენს შორის დარჩეს და მის შესახებ ფიქრი არც მე მასვენებს.

ბაქსანური ღამე კი ნელ-ნელა იწვოდა, მალე გუდა-ნაბადი აიკრიბა და ჩვენს თვლემასა და მასლაათში მთების მიღმა შეუმჩნევლად მიიმალა.

ყუბანის გული

ყოფილხართ ჩრდილო კავკასიაში?

სიცოცხლისა და სიყვარულის მხარეა, ეგ დალოცვილი.

სიმდიდრე და სიუხვე, ბარაქა და დოვლათი ყოველ ფეხის ნაბიჯზე ჩანს. ახლა კურორტებს აღარ იკითხავთ?

არ ჩამოვთვლით, მარტო კისლოვოდსკი რად ღირს!

მივდივართ შესანიშნავ გზატკეცილზე. ლარივით გაჭიმულ ფართო შარაგზაზე მანქანების ტევა არ არის, ხშირად გვხვდება ქუთაისის მარკის ავტომანქანებიც.

ერთ ადგილზე შევდექით, იქვე შემხვედრი ავტომანქანა „კოლხიდაც“ შედგა. გულმა აღარ მომითმინა და მძღოლს ვეკითხები.

— როგორი მანქანაა, ა?



კალაბატკა. შეხვედრა ეკატერინე იაკოვლევას ასულ სოკოლოვასთან.

მან გაიღიმა, კაბინიდან ხელი გადმოწია და ცერი ზეაღმართა.

— აი, აგაშენოს ღმერთმა!

სიამაყე ვიგრძენი. ახლა ნათლად შევიგრძენი, რას ნიშნავს მშობლიური ქალაქის წარმოებული პროდუქციის მარკის ღირსება.

განვვლეთ პიატიგორსკი, ნევინომინსკი, არმავირი, კროპოტკინი. გზა განშტოვდა, ერთი მხრივ როსტოვისაკენ მიემართება, ხოლო მეორე მხრივ ყუბანის გულისაკენ — კრასნოდარისაკენ.

მეწინავე მანქანა შეჩერდა, კაბინიდან ვიღაცამ თავი გადმოყო და წარწერისაკენ მიგვანიშნა — „ტბილისკაია" (ერთ-ერთ სტანიცას ყუბანში „ტბილისკაია" ჰქვია).

საღამო ხანს კრასნოდარს მივატანეთ.

მეორე დილით კალაბატკისაკენ გავეშურეთ, გზად სლავიანსკში შევჩერდით.

პირველად სამხარეო გაზეთის რედაქციაში მივედით. თბილად მიგვიღეს ყუბანელმა ჟურნალისტებმა. სლავიანსკის რაისაბჭოს თავმჯდომარეს ტელეფონით თხოვეს, ჩვენთვის დახმარება აღმოეჩინათ.

სლავიანსკელები ერთი ფაქტით გაოცებულნი დარჩნენ.

—კალაბატკა? კალაბატკა არ ვიცით.

მიიკითხ-მოიკითხეს და პასუხი როცა ვერ მიიღეს, ბოლოს ისევ რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ გაიხსენა.

დელეგაციის წევრები, განსაკუთრებით კი ომის ვეტერანები ღელავდნენ. აქაოო ჩვენი სისხლი ჩაქცეული, ასობით ქართ-

ველი გაწყდა კალაბატკაში და ნუთუ ასე უსახელოდ მოიშალა ეს ხუტორიო.

სლავიანსკის რაისაბჭოს აღმასკომში მეგზური — აღმასკომის ინსტრუქტორი, ვასილ კუზმას ძე შახოვი დაგვახვედრეს.

გეზი სტანიცა ჩერნოერკოვსკაიასაკენ ავიღეთ. გზად პეტროვსკაიაში გავიარეთ, შევჩერდით, ქუდმოხდილებმა საძმო საფლავი დავათვალიერეთ, მაგრამ ქართული გვარები ვერ შევხიშეთ.

— გამარჯობათ, მეგობრებო, საიდან, საით გაგიწევიათ, — მოგვიახლოვდა წარმოსადეგი კაზაკი.

მეგზურმა აუხსნა, თუ ვინ ვიყავით.

— ჰო, საინტერესოა, საინტერესო, — წარმოთქვა მან და გულიანად გაგვეცხო.

— ნიკალაი პიმენის ძე საფრონოვი. ადრე კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ ვმუშაობდი, ახლა საინკუბაციო სადგურის დირექტორი ვარ.

სტანიცა პეტროვსკაიასათვის ბრძოლებში დაღუპული მეომრები ჩემი ხელმძღვანელობით მოაგროვეს და ცენტრში გადმოასვენეს. ძეგლიც ავუგეთ. მათში ქართველებიც ერევნენ, ამჯერად სახელობითი სიები სამხედრო კომისარიატებიდან გადმოგზავნეს. თუ დაინტერესდებით...

სადაბო საბჭოს აღმასკომში ვათვალიერებთ სიებს და პეტროვსკაიაში დაკრძალულ მებრძოლთა შორის ორ ქართველ გვარს წავაწყდით: რიგითი გიორგი სამსონის ძე ტამარაძე და მაქსიმე იაგორის ძე მიკუდიანი. ეს უკანასკნელი (ვფიქრობთ,

უნდა იყოს მუშკუდიანი) პოლიტხელი ყოფილა, დაღუპულა 1943 წლის 20 მარტს.

მადლობა მოვახსენეთ კაზაკს, მშობლიური ქართული მიწა მოვაყარეთ საძმო საფლავს და ჩერნოერკოვსკაიასაკენ გავწიეთ, მასპინძლებს კი ვთხოვეთ შემდგომშიაც იმუშაონ პეტროვსკაიაში დაღუპულ მებრძოლთა სიების დაზუსტებაზე და შესაძლებლობისამებრ არ მოშალონ მათი სახელი.

აქ ახალი გზა გაჰყავთ და გაცხოველებული მუშაობაა, ზოგ ადგილზე ავტომანქანები ტრაქტორებით გადაგვყავს.

—დიახ, სულ ასეთი მდებარეობაა ,აქ, — იგონებს პოლიკარპე ჯაჯანიძე, -- ჭაობიანი ადგილები, ლიმანები, სისხლი გვეყინებოდა, სიცოცხლე გვიშრებოდა...

დივიზიის საბრძოლო ისტორიის* ავტორი მიხეილ ხურცილავა წერს:

შეუსვენებელმა ლაშქრობამ, ძალიან ცუდმა ამინდმა, მტრის მიერ რკინიგზების მოშლამ და დანგრევამ განაპირობეს ზურგის ნაწილების ჩამორჩენა, რამაც შეაფერხა პირადი შემადგენლობისა და მუშასაქონლის (ცხენების, ხარების) სურსათით ძომარაგება და საკვებით უზრუნველყოფა. ათასკილომეტრიანი ლაშქრობა დივიზიამ დაფარა განსაკუთრებით მძიმე კლიმატურ პირობებში. მკაცრმა ზამთარმა, ტალახიანმა გზებმა შეუძლებელი გახადა არტილერიისა და სატრანსპორტო ნაწილების მოძრაობა. ამიტომ მსროლელი პოლკების არტილერიის უმრავლესობა და მთელი 1053-ე საარტილერიო პოლკი ქალაქ

---

* ამ ისტორიის ამსახველი ნარკვევი მოთავსებულია გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ მიერ 1965 წელს გამოცემულ წიგნში „ქართული დივიზიები საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში“.

პიატიგორსკში იქნა დატოვებული. მხოლოდ სამედიცინო-სანიტარულმა ათასეულმა, რომელსაც მესამე რანგის სამხედრო ექიმი აკაკი დანელია მეთაურობდა, მოახერხა მეწინავე რაზმებთან ერთად მოძრაობა ურმებით პირადი შემადგენლობის აქტიური დახმარებით.

ამ დროს დივიზიამ ფრონტის სარდლობისაგან მიიღო ახალი საბრძოლო დავალება, გავიდეს მეწინავე ხაზზე და მთელი შემადგენლობით განლაგდეს 58-ე არმიის მარჯვენა ფლანგზე. დივიზია კვლავ ლაშქრობას შეუდგა. 11 — 13 თებერვალს დივიზიის ნაწილები განლაგდნენ რკინიგზის სადგურ სტარომინსკაიას, ტიმოშევსკაიასა და ბრიუხოვეცკაიას მიდამოებში, 14 თებერვალს დივიზია კვლავ შეუდგა ლაშქრობას და ღამით პერეიასლავსკაიაში დაბახაკდა.

15 თებერვალს ლაშქრობა გრძელდება დასავლეთის მიმართულებით. თოვლი გადნა და გზები ისე ატალახდა, რომ მიმოსვლა სრულიად შეუძლებელი შეიქნა. გახშირდა მტრის საჰაერო თავდასხმები. დივიზია იძულებული გახდა ღამით ევლო, დღისით კი შენიღბულიყო. გამუდმებული საჰაერო განგაში აფერხებდა მოძრაობას. ასეთ პირობებში დივიზიამ გაიარა პრიმორსკო-ახტარსკაია და სტანიცა ნოვო-ჟერლევსკაიას აღმოსავლეთით შეისვენა. ყველგან ჩანდა სისხლისმღვრელი ბრძოლების ნაკვალევი. ეს დასახლებული პუნქტი მხოლოდ 13 თებერვალს იქნა განთავისუფლებული ჰიტლერელებისაგან. 16 თებერვალს დივიზია შევიდა სტანიცა სტეპნაიაში, რომელიც მოქმედი არმიის ცოცხალ ზურგს წარმოადგენდა. აქ იყო მოთავსებული 58-ე არმიის ზურგის ნაწილები და საველე ჰოსპიტალი. უკანასკნელი ორი დღე-ღამის განმავლობაში 58-ე

არმიის ჯარები სასტიკ ბრძოლას აწარმოებდნენ სტანიცა გრი-ვენსკაიას გასათავისუფლებლად. ასეთ ვითარებაში დივიზია გადავიდა 58-ე არმიის შემადგენლობაში და მიღებული ბრძანებ-ების შესაბამისად დაუყოვნებლივ გაემართა გრივენსკაიაზე. დი-ვიზიამ 8 კილომეტრი მანძილი დაფარა უაღრესად მძიმე უგ-ზოობის პირობებში, ჭაობიან ლერწმნარსა და ლელიანში. ყი-ნული ტყდებოდა და შიგ ეფლობოდნენ მეომრები. ტრანსპორ-ტი, მუშა საქონელი დავარდა და მებრძოლები ზურგით ეზი-დებოდნენ საომარ საჭურველს თუ საბრძოლო მასალებს. დივიზიამ ბრძოლაში შესვლის წინაღამეს მიაღწია ლიმან კირპილსა და ხუტორ ვოლოტოვკამდე. ასე დამთავრდა 35-დღიანი ლაშქრობა.

იანვრის პირველ ნახევარში 1375-ე პოლკის მეთაური, მაიო-რი მეძმარიაშვილი გაწვეულ იქნა არმიის სარდლობის განკარ-გულებში და მის მაგივრად დაინიშნა მაიორი ნიკოლოზ გვენცა-ძე.

17 თებერვალს დილის 10 საათისათვის ქართულმა დივიზიამ დაიკავა საბრძოლო ზღუდე მეთევზეთა სოფელ სპიკოვსკაიას მიდამოებში, გრივენსკაიას აღმოსავლეთით 10 კილომეტრის მანძილზე. ზურგის ქვეგანაყოფები მოთავსდნენ კოლმეურნეო-ბა სპიკოვსკაიაში, ხოლო მთელმა საბრძოლო შემადგენლობამ პოდპოლკოვნიკ ს. ა. ბერუჩაშვილის ხელმძღვანელობით გადა-ინაცვლა წინ და შეუდგა საბრძოლო ზღუდის დაკავების თადა-რიგს. დივიზიის ქვეგანაყოფებს უკვე ნაკლებადცნობილ გეოგრა-ფიულ პირობებში უხდებოდათ მოქმედება, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ქართველ მეომრებს არ ჰქონდათ დაუსრულებელ

ჭაობიან ლელიანში საბრძოლო მოქმედების გამოცდილება, მთელმა შემადგენლობამ ჩინებულად გაართვა თავი ამ მეტად მძიმე ამოცანას, ნაწილები და ქვეგანაყოფები შეუმჩნევლად განლაგდნენ სათანადო ზღუდეზე. ახლა დივიზიას დაევალა რაც შეიძლება სწრაფად იმოძრაოს სტანიცა გრივენსკაიასაკენ, ფარულად შემოუაროს მას ჩრდილო-აღმოსავლეთიდან და გადაუკეტოს მტერს უკანდასახევი გზები. დივიზიის მთელი შემადგენლობა თითქმის 12 საათის განმავლობაში მოწინააღმდეგის თვალწინ შეუმჩნევლად ეწეოდა საბრძოლო ზღუდეების გამაგრებას, მხოლოდ 22 საათზე აღმოაჩინა მტერმა საბჭოთა ქვეგანაყოფების მოახლოება. ჰიტლერელებმა სასწრაფოდ გახსნეს ნაღმსატყორცნების ძლიერი ცეცხლი, რამაც იმსხვერპლა დივიზიის მეთაური, პოლკოვნიკი სელიხოვი. დაყოვნების დრო აღარ იყო. დივიზიის მეთაურის მოადგილე, პოდპოლკოვნიკი ბერუჩაშვილი მაშინვე შეუდგა ამოცანის შესრულებას და დივიზიის მთელი საბრძოლო შემადგენლობით მრისხანე იერიში მიიტანა სტანიცა გრივენსკაიაზე. ქართველმა მეომრებმა სასტიკად იძიეს შური მტერზე. ჰიტლერელთა გვამებითა და საომარი საჭურველით მოიფინა სტანიცა გრივენსკაიას ველები. ქართველი მეომრები ფეხდაფეხ მისდევდნენ მტერს, ავიწროვებდნენ და სპობდნენ მას. ამ ბრძოლებში განსაკუთრებით თავი ისახელეს მაიორების შავლიაშვილისა და გვენცაძის პოლკებმა.

18 თებერვალს შუადღისას ლაშქრობა დაიწყო მეწინავე რაზმეულმა, რომელსაც კაპიტანი გიორგი კინწურაშვილი მეთაურობდა. მას მიჰყვა დივიზიის მთელი საბრძოლო შემადგენლობა. გრივენსკაიაში დატოვებულ იქნენ მხოლოდ

ზურგის ნაწილები. ქართველი მეომრები გზადაგზა იგერიებდნენ მტრის გამუდმებულ საჰაერო თავდასხმებს და ბრძოლით მიიწევდნენ წინ ხუტორ კალაბატკასაკენ, სადაც გერმანელებს საგანგებოდ გამაგრებული, ბუნებრივად ხელსაყრელი ზღუდე ეკავათ.

20 თებერვალს საღამოს შემტევი ნაწილის მესანგრეთა ჯგუფები უფროსი ლეიტენანტების კაჭარავასა და პლეშკოვის მეთაურობით მოულოდნელად დაუახლოვდნენ ხუტორ კალაბატკას. მტერმა უბრძოლველად დატოვა კალაბატკა და დაიხია დასავლეთით სტანიცა პეტროვსკაიასაკენ. ამჯერად დივიზიას დაევალა ხუტორ კალაბატკისა და ჩერნოერკოვსკაიას მისასვლელების გამაგრება და დაცვა. ამ უბანს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მტრის კომუნიკაციებისათვის და საგანგებოდ იყო გამაგრებული. ამიტომ გერმანელები ვერ შეურიგდნენ მის დაკარგვას და ცდილობდნენ რადაც არ უნდა დაჯდომოდათ, უკან დაებრუნებინათ იგი. 21 საათზე, როცა საბჭოთა ქვეგანაყოფები ჯერ კიდევ არ იყვნენ სათანადოდ გამაგრებული, ჰიტლერელები იერიშზე გადმოვიდნენ. დაიწყო საშინელი ბრძოლა, რომელიც 7 საათს გაგრძელდა. ჩვენი ქვეგანაყოფები გმირულად შეებნენ მტერს. ამ ბრძოლაში თავი ისახელეს 1375-ე პოლკის მეომრებმა. განსაკუთრებული გმირობითა და სიმამაცით გამოიჩინა თავი ათასეულის მეთაურმა, უფროსმა ლეიტენანტმა შ. ბ. დავითულიანმა. თავდადებულად იბრძოდნენ 1367-ე პოლკის ქვეგანაყოფებიც. პირველი ათასეულის მეთაურის მოადგილეს სამწყობრო დარგში, უფროსი ლეიტენანტ დუმბაძეს და მეკავშირე ჯარისკაცს უკრაინელ მიხაილენკოს 10 ჰიტლერელი შეეჭრათ ოთახში. დუმბაძემ და

მიხაილენკომ ათივე ჰიტლერელი გამოასალმეს სიცოცხლეს, მაგრამ თვითონაც მამაცთა სიკვდილით დაეცნენ. ქართველ მეომრებს იერიში იერიშზე მიჰქონდათ და ავიწროებდნენ მტერს.

გერმანელებმა ვერ გაუძლეს ჩვენი მეომრების გააფთრებულ იერიშებს და 22 თებერვალს 4 საათზე უკან დაიხიეს. ბრძოლის ველზე დატოვეს ასობით მოკლული და დაჭრილი ჯარისკაცი და ოფიცერი, მრავალი საბრძოლო იარაღი. მტერს მაინც არ უნდოდა ხელი აეღო კალაბატკაზე და იმავე დღეს 13 საათზე ისევ მოიტანა იერიში, ამჯერად, მძიმე სატანკო კოლონის დახმარებით. მაგრამ ვერც ახლა მიაღწია წარმატებას, რადგან საბჭოთა ქვეგანაყოფებმა მოასწრეს ზღუდის სათანადო გამაგრება, მტერი მოიტყუეს, სასტიკი ცეცხლის ზონაში მოაქციეს და გაანადგურეს. თავგამოდებით იბრძოდნენ 1375-ე პოლკის ქვეგანაყოფები.

პოლკის ტანკსაწინააღმდეგო თოფების ასეულმა უფროს ლეიტენანტ კერესელიძის მეთაურობით ექვსჯერ მოიგერია მტრის ჯავშნოსანი მანქანების შემოტევა. გმირულად იბრძოდნენ: ემელიან წულაია, შალვა კვირკველია, ჯაფარიძე, უფროსი ლეიტენანტი ფერაძე, ლომიძე და სხვები.

ამ შემოტევის დროს გმირთა სიკვდილით დაეცა 1367-ე პოლკის პირველი ათასეულის მეთაური კაპიტანი ავთანდილ კვარაცხელია, რომლის ხელმძღვანელობით ათასეულმა შეძლო მოიერიშე მტრის ჭარბი ძალების რამდენჯერმე მოგერიება, სასტიკად დამარცხება და უკუგდება. გმირულად იბრძოდნენ ამავე პოლკის ქვეგანაყოფები ძიძავას, მამანტი კვარაცხელიასა და სხვათა მეთაურობით.

არმიის მთავარი ძალები იგვიანებდნენ და დაწინაურებული

ქართული ქვეგანაყოფების ბედი ბეწვზე ეკიდა, რადგან მტრის განლაგებაში ღრმად შეჭრილებს თითქმის აღარ ჰქონდათ სურსათი და საბრძოლო მასალები, პოლკის არტილერიას გამოელია ყუმბარები, მიუხედავად ამისა, მთელი შემადგენლობის ერთსულოვანი გადაწყვეტილება იყო არც ერთი ნაბიჯით არ დაეხიათ უკან და მტკიცედ გამაგრებულიყვნენ კალაბატკაში არმიის მთავარი ძალების მოსვლამდე.

გამძინვარებული ჰიტლერელები აღარაფერს ზოგავდნენ, ოღონდ როგორმე დაებრუნებინათ დაკარგული პოზიცია. ამ მიზნით 23 თებერვალს დილით თავი მოუყარეს გერმანელ-რუმინელებისაგან შემდგარ ერთ პოლკამდე ქვეითს, ცხენოსან ესკადრონს და მძიმე სატანკო კოლონის მხარდაჭერით ხელახლა მოიტანეს იერიში კალაბატკაზე. მტერს აშკარა უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ მაინც უძლური აღმოჩნდა საბჭოთა მეომრების სიმტკიცესა და გამბედაობასთან. ფაშისტებმა ვერა და ვერ გაარღვიეს ქართველი მეომრების შემჭიდროებული საბრძოლო განლაგება. 1375-ე პოლკის ტანკსაწინააღმდეგო თოფის ოსტატებმა დაარბიეს მტრის სატანკო კოლონა, დააზიანეს ორი ტანკი, ხოლო, როცა მთელი საბრძოლო კომპლექსი გამოელიათ, შაშხანებით ჭურჭუტანებიდან მუსრს ავლებდნენ სატანკო დესანტს. მათ არც მეტყვიამფრქვევები ჩამორჩებოდნენ. მებრძოლმა გიგუშვილმა ერთი ხელყუმბარით გადაუჭრა გზა მტრის ტანკს და ჩამოყარა მის ფერდებზე ჩაბღაუჭებული ჰიტლერელები. მის მაგალითს მიბაძეს უშიშარმა მეომრებმა კაჭარავამ, ჭანტურიამ და ჩაქვაძემ. ოთხივე მებრძოლი დაიღუპა მოიერიშე ტანკთან შერკინებაში. მებრძოლთა რიგებში უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოდნენ ამავე

პოლკის შტაბის უფროსი მაიორი თევდორე ქანთარია, მისი მოადგილე კაპიტანი პროკოფი შუბლაძე და ათასეულის მეთაური მაიორი მიხეილ მალვენიშვილი.

სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში მტრის ჭარბ ძალებთან ჩაებნენ 1371-ე პოლკის ქვეგანაყოფები. ათასეულის მეთაურმა, უფროსმა ლეიტენანტმა შალვა დავითულიანმა ამ დღეს 6-ჯერ წაიყვანა თავისი ათასეული და გაანადგურა მტრის მეავტომატეები. პირადად მან ათზე მეტი ჰიტლერელი მოსპო. გააფთრებულ ბრძოლებს აწარმოებდნენ 1367-ე პოლკის ქვეგანაყოფები. ცუდი მდგომარეობა შეიქმნა ამ პოლკის მესამე ათასეულის უბანზე, რომელსაც უკანდახევა მოუხდა ღია, ყინულით დაფარულ ჭაობიან ადგილზე. ვაჟკაცურად უმკლავდებოდნენ მოძალებულ მტერს ათასეულის მეთაური, კაპიტანი კოტე ტაბიძე და მისი მოადგილე პოლიტდარგში, კაპიტანი მაჩხანელი, რომელთაც მოულოდნელად ალყა შემოარტყეს ჰიტლერელებმა. სხვა გზა აღარ იყო, ტაბიძემ და მაჩხანელმა მტკიცედ და გაბედულად მოაწყვეს ირგვლივი თავდაცვა და სანამ საშუალება ჰქონდათ, ჟლიტეს მტერი, ხოლო შემდეგ თავგანწირულად ეკვეთნენ მოწინააღმდეგეს და ხელჩართულ ბრძოლაში გმირულად დაიღუპნენ. ამავე ბრძოლაში დაიღუპნენ უფროსი ლეიტენანტი შალვაშვილი, ლეიტენანტები მანჯავიძე, ჯღარკავა, ზემდეგი ჯიბლაძე და სხვები.

ტანკებთან ბრძოლაში თავი ისახელეს სერჟანტებმა ქოიავამ, ტაბატაძემ და სხვებმა. გმირულად იბრძოდა ტანკსაწინააღმდეგო ასეულის მეთაური კაპიტანი ეგაძე.

დივიზიამ დიდი ზარალი მიაყენა მტერს, მაგრამ მაინც იძულებული გახდა, გადაენაცვლებინა კალაბატკის სამხრეთ-და-

სავლეთით და იქ გამაგრებულიყო მაშველი ძალების მოლოდინში. დივიზიის მთელი შემადგენლობა მეტად მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა. არ იყო სურსათი. ყელამდე სველი, მშიერ-მწყურვალი ქართველი მეომრები ნამდვილი ზეკაცური თავგამოდებით იტანდნენ ყოველგვარ გაჭირვებას და ინარჩუნებდნენ სიმტკიცეს და პატრიოტულ განწყობილებას. ასეთ მძიმე პირობებში დივიზიის დროებითმა მეთაურმა, პოდპოლკოვნიკმა ბერუჩაშვილმა გადაწყვიტა მთლიანად გაენთავისუფლებინა კალაბატკა გერმანელი დამპყრობლებისაგან. 24 თებერვალს გათენებისას 351-ე მსროლელი დივიზიის ახლად მოსულ მცირე რაზმების დახმარებით დივიზია შეტევაზე გადავიდა ჩერნოერკოვსკაიას მიმართულებით. იერიშმა ისეთი სწრაფი და გამანადგურებელი ხასიათი მიიღო, რომ გერმანელები დაფრთხნენ და გაიქცნენ კალაბატკიდან, მაგრამ სასწრაფოდ გამოიყვანეს მრავალრიცხოვანი ძალები და მძიმე სატანკო ნაწილისა და მოტორიზებული ათასეულის მხარდაჭერით კონტრიერიშზე გადმოვიდნენ. მტერი ჯერ კალაბატკას მიუახლოვდა, შემდეგ ჩერნოერკოვსკაიასაკენ გაემართა, რომ ფლანგიდან შემოევლო დივიზიისათვის, ზურგში მოქცეოდა და გადაეჭრა მისთვის უკანდასახევი გზები. მძიმე მდგომარეობა შეიქმნა. ჰიტლერელებს ყოველმხრივ დიდი უპირატესობა ჰქონდათ. ქართველ მეომრებს კი არტილერია სრულებით არ გააჩნდათ, ტანკსაწინააღმდეგო თოფების ასეულებს გამოელია ვაზნები, მსროლელ ქვეგანაყოფებსაც უთავდებოდათ თოფებისა და ავტომატების ვაზნები და სხვა საბრძოლო მასალები. ასეთ ვითარებაში დივიზიამ დაიწყო უკან დახევა. მტერმა არაერთხელ სცადა ტანკებისა და არტილერიის ძლიერი ცეცხ-

ხლის გამოყენებით იერიშზე გადმოსვლა და დივიზიის ნაწილების განადგურება, მაგრამ ქართველი მეომრები გაფრთებით იცავდნენ თავს და ორგანიზებულად იხევდნენ უკან. ყველაფერი მოქმედებაში იქნა მოყვანილი და მიმართული მოზღვავებული მტრის წინააღმდეგ.

აუცილებელი იყო მოიერიშე ტანკების შეჩერება, განადგურება. მესანგრეებს მიეცათ ამოცანა დაენაღმათ მისასვლელი გზები და აეფეთქებინათ ერთადერთი ხიდი, რომელზედაც ტანკები უნდა გადმოსულიყვნენ. ამ მეტად მძიმე ამოცანის შესრულება ითავეს უფროსმა ლეიტენანტებმა კაჭარავამ და პლეშკოვმა. ტანკები მოადგნენ ხიდს, ზღუდის დასაკავებლად, მაგრამ ვერ გაბედეს, ადგილიდანვე გახსნეს ძლიერი ცეცხლი და გადმოსხეს მეავტომატეთა ჯგუფები. კაჭარავასა და პლეშკოვის მეთაურობით მესანგრეებმა გაანადგურეს მეავტომატეები. მტერი გამძვინვარდა და ძლიერი ცეცხლი დაუშინა ქართველ მესანგრეთა მცირერიცხოვან ჯგუფს ყოველი მხრიდან. მამაცი მესანგრეები არ შეუშინდნენ და ბოლომდე თავგანწირულად მოქმედებდნენ, რამაც აიძულა მტრის ტანკები უკან დაეხიათ. უფროსი ლეიტენანტი კაჭარავა და პლეშკოვი გმირულად დაეცნენ. სახელოვანი ოფიცრების გვერდით თორმეტი გმირი ქართველი მესანგრე ესვენა. მათ შორის იყო გულგანგმირული რუსი გოგონა, ნინა გალუნოვა, რომელიც მხარზე სანიტარული ჩანთით დაჭრილი მებრძოლების დასახმარებლად გაეშურა მოწინააღმდეგის ძლიერი ცეცხლის ქვეშ, მაგრამ მტრის ტყვიამ არ დააცალა და გაცივებულ ხელში შერჩა ინდივიდუალური პაკეტი.

ბრძოლა დამთავრდა. ჩვენი დივიზიის ნაწილებმა კალაბატ-

კის ჩრდილო-დასავლეთით სამი კილომეტრის მანძილზე ახალი ზღუდე დაიკავეს, რომლის შენარჩუნება საჭირო იყო არმიის მთავარი ძალების მოსვლამდე.

იმავე დღეს, 16 საათზე, დივიზია კვლავ გადავიდა შეტევაზე, მაგრამ მტერმა საშუალება არ მისცა წინ წაწევისა და იძულებული გახდა, ადგილზე გაემაგრებინა საბრძოლო ზღუდე. 25, 26 და 27 თებერვალს ორივე მხრიდან წარმოებს ძლიერი საარტილერიო ცეცხლი—დუელი. ქართველი მეომრები მტკიცედ ინარჩუნებენ დაკავებულ პოზიციას. ამ მეტად მძიმე პირობებში დივიზიის მეთაურად დაინიშნა პოლკოვნიკი ომარ მუსერიძე, პოდპოლკოვნიკი ბერუჩაშვილი კი სამწყობრო დარგში მისი მოადგილის მოვალეობის შესრულებას დაუბრუნდა.

28 თებერვალს მტერმა რამდენჯერმე სცადა შეტევაზე გადმოსვლა, მაგრამ ყოველთვის მოგერიებულ იქნა დიდი ზარალით...

ჩერნოერკოვსკაიაში გულთბილად შემოგვხვდა სტანცის სადაბო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე დანიელ სოკოლოვი. მან გაიხარა, ადრე საქართველოში ვმსახურობდი არმიაში და დიდად პატივცემულს რით შემიძლია გემსახუროთო.

კალაბატკა აღარაა ხუტორი

—კალაბატკა? იქ უკვე კარგა ხანია, ერთი კაციც არ ცხოვრობს, კალაბატკა აღარაა ხუტორი. წარმოთქვა დანიელ სოკოლოვმა და გვიამბო:

— ომის მძიმე წლებში აქ არ ვყოფილვარ, სულ სხვა ფრონ-

ტებზე ვიბრძოდი. კალაბატკის ტრაგედია ჩვენი სტანიცის მცხოვრებთათვის კარგადაა ცნობილი.

1958 წელს ხუტორში მხოლოდ ერთი მოსახლეღა დარჩა, დანარჩენები სტანიცაში გადმოსახლდნენ. დარჩენილ მოხუცს ცეცხლი გაუჩნდა და იმის სახლ-კარიც ამოიბუგა. იქ დაკრძალული მებრძოლები გადმოვასვენეთ, ნაწილი ხუტორ პროვარსკში დავკრძალეთ და ნაწილიც სტანიცა ჩერნოერკოვსკაიაში.

საიდან დავიწყოთ?

პირველად ხუტორ პროვარსკში წავედით. მეთევზეთა დასახლებულ პუნქტს გავცდით და ჩვენს წინ წამოიმართა ხუტორის ცენტრში მოთავსებული საძმო სასაფლაო. მებრძოლთა ნსოვნის ძეგლი აღმართულია, მაგრამ კვლავ არ ჩანს ომში დაღუპულთა სახელობითი სია. მაგრამ მაინც მრავლისმეტყველი წარწერა გვაუწყებს, რომ საძმო საფლავში განისვენებს კალაბატკისათვის ბრძოლებში დაღუპული 192 მებრძოლი, რომლებიც სხვადასხვა ადგილებიდან 1958 წელს გადმოუსვენებიათ.

მოულოდნელად სამღებრო ხელსაწყოებით ხელში ჩვენთან მოვიდა მოხუცი ქალი, რომელსაც თვალები ცრემლებით დანამოდა, ამბავი გამოგვკითხა და როცა შეიტყო, რომ ქართველები ვართ და დაღუპულ მებრძოლთა საფლავებს მოვაკითხეთ, აქვითინდა.

— შვილებო, შვილებო, მეც ომში დამეღუპა შვილი, მის ასავალ-დასავალს ვერ მივაკვლიე და გულს იმით ვიოხებ, რომ საძმო საფლავებს ვუვლი. მოხუცს ეკატერინე იაკოვლევას

ასულ სოკოლოვას მადლობა მოვახსენეთ და დავამშვიდეთ, რომ ალბათ მისი შვილის საფლავსაც ასე უვლიან, როგორც თვითონ უვლის ჩვენი მებრძოლების საფლავებს.

მალე ჩვენს ირგვლივ თავი მოიყარეს ხუტორის მცხოვრებმა მეთევზეებმა. ქალებმა წესისამებრ ხელები გულზე დაიკრიფეს და საფლავთან გამწკრივდნენ.

მეთევზე ილარიონ პეტრეს ძე კაპიშონი გვიამბობს:

იმ ავადმოსაგონებელ დროს, როცა ჩვენს ხუტორში გერმანელები ბატონობდნენ, კალაბატკაში დავრჩი. კარგად მახსოვს, როგორი სისხლისმღვრელი ბრძოლები გაიმართა კალაბატკისათვის, ჩვენებმა ხუტორი გაათავისუფლეს.

ჩემს სახლში დაბინავდა ქართველი კაპიტანი, რომლის გვარი აღარ მაგონდება, ვაჟკაცი იყო, ცეცხლის ალს აფრქვევდნენ მისი შავი თვალები, ვანანებთ გერმანელ ფაშისტებს, თავისას მიუზღავთ მხეცობისათვისო.

მეორე დღეს, დილით, ხუტორში გერმანელთა ტანკები და მექანიზებული ნაწილები შემოიჭრნენ. დატრიალდა მამაცი მეთაური, ერთ ტანკს შემოახტა, ვისაც ხელი მიუწვდინა, ცოცხალი არ დატოვა, მაგრამ ისიც დაეცა.

სტანიცა ჩერნოერკოვსკაიაში არსებულ ძმათა სასაფლაოზე 678 კაცია დაკრძალული, მაგრამ მათი სახელები აქაც აღნიშნული არ არის.

— რომელი ერთი უნდა მოვიგონოთ, — ამბობენ კალაბატკის ბრძოლების მონაწილეები პოლიკარპე ჯაჯანიძე, სერგო გოშხეთელიანი და გიორგი ცინცაძე, — ასობით ქართველი დაეცა აქ. თუ გნებავთ იშვიათი ვაჟკაცი, კარგი მომავლის მქონე პოეტი სანდრო ჟღენტი.

ისევე, როგორც სხვაგან, ჩერნოერკოვსკაიაშიც ცოცხალი ყვავილების თაიგულებით შეეამკეთ გმირთა საფლავი, ომის ვეტერანებმა საუბრები გამართეს ადგილობრივ მცხოვრებლებთან ქართული დივიზიის საგმირო მოქმედებათა შესახებ.

სლავიანსკის რაიონი კრასნოდარის მხარეში შედის, მისი მოსახლეობა 185 ათას კაცზე მეტს ითვლის და გაერთიანებულია 17 სადაბო საბჭოში.

რაიონული ცენტრიდან ჩერნოერკოვსკაიამდე გზად მიმავალი ქუთაისის დელეგაცია მოწმე გახდა იმ დიდი მუშაობისა, რაც აქ მიმდინარეობს. კერძოდ, დაჩქარებული ტემპით წარმოებს ლიმანების (ტბების) ამოშრობა, ათასობით ჰექტარი ნოყიერი მიწა ჩადგება ხალხის სამსახურში, ათვისებულ მიწებზე გაშენდება ბრინჯის ყანები.

როგორც გადმოგვცეს, რაიონის მშრომელებს თავიანთი ღირსეული წვლილი შეაქვთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელების საქმეში, სისტემატურად ზრდიან სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობას, აშენებენ ახალი ხეხილის ბაღებსა და სხვა კულტურებს.

საღამოს მხურვალედ დავემშვიდობეთ ძვირფას მასპინძლებს, მათ ქუთაისელთა სახელით სამახსოვრო საჩუქრები გადავეცით და გავეშურეთ ქ. ანაპისაკენ, რომლის სახელსაც ატარებს 414-ე ქართული დივიზია.

ყალაბატკა. სტალინგრადი ჩერნოერკოვსკაიაში არსებულ საქმოსაფლავში 678 ქართველი ვაჟკაცი განისვენებს.



ᲐᲜᲐᲞᲐ

ᲨᲔᲜᲡᲙᲔᲜ, ᲩᲔᲛᲝ ᲐᲜᲐᲞᲐᲨᲘ

კალაბატკიდან დამძიმებული და გულდათუთქული გამოედით. წვანან ჩვენი ბიჭები საძმო საფლავებში, ყუბანის მიწა ყრიათ გულებზე, ბევრი მათგანის სახელიც კი უცნობია, და ომუ დროზე არ უკვდავყავით მათი ხსოვნა, მომავალი თაობა არ ეკვაპატიებს.

მივდივართ ოღრო-ჩოღრო გზაზე და ძალაუნებურად მახსენდება სიმონ ჩიქოვანის სიტყვები, 1943 წლის გაზაფხულზე, ანუტორ კალაბატკასთან სამასი ქართველი საბჭოთა მეომრის საფლავის ნახვისას თქმული:

„ყუბანის ველზე ვივაკე,
განვლე ხრამი და ნაპრალი,
ვძებნე და სამარხს მივაგენ,
ვპოვე სამასი საფლავი.
ყუბანის ტრამალს ნაომარს
ქართული სითბოც ჰქონია,
ეისმენ მხედრების საუბარს,
მწუხრიც ბაასობს მგონია...
გამვლელს შეუსვამს არაყი,
პურიც გამტყდარა ყუბანის,
როგორ ჩურჩულებს ბალახი,
ყუბანში ქართლის უბანი".

პურის გატეხვაზე გაგვახსენდა, რომ მთელი დღის უჭმელ-უსმელები ვიყავით, არადა ომის ვეტერანები ჩქარობენ, რა დროც იქნება, დღეს სალამოთი ანაპაში უნდა მოვხვდეთო.

ანაპა!..

რატომღაც დიდი სიყვარულითა და პატივისცემით იგონებენ ამ სახელს ყოფილი ფრონტელები.

აქამდე შიო გვეტაძე დუმდა, ახლა კი ენა ამოიდგა და თითქოს დიდი ხნის უნახავი მშობლიური გამზრდელი ქალაქისაკენ მიიჩქაროდეს, ისე ისწრაფვის ანაპისაკენ.

სერგო გოშხეთელიანი მისი ოცეულის გმირი მებრძოლების კუდრუნკოსა და მოცნის საფლავებზე ფიქრობს, გიორგი ცინცაძე — არტპოლკის მამაც მეთაურზე ფროლოვზე, პოლიკარპე ჯაჯანიძე — ანაპისათვის დაცემულ ასეულის ლეგენდარულ უფროსებზე კანთელაძესა და მეტრეველზე, პავლე სარალიძე კი...

ანაპსკაიასათვის გამართულ ბრძოლებში მძიმედ დაიჭრა ბატალიონის მეთაური პავლე სარალიძე, ჯოჯოხეთური ცეცხლიდან ძლივს გამოიყვანეს ერთგულმა მებრძოლებმა. მაგრამ როცა ბრძოლა დამთავრდა, ვიღაცას უთქვამს, პავლე სარალიძე დაიღუპაო და საძმო საფლავზე მისი გვარიც მიუწერიათ. გვიან, მხოლოდ ომის დამთავრების შემდეგ შეიტყო პავლემ ამის შესახებ.

... შიმშილმა მაინც თავისი გაიტანა და ავტომანქანები პატარა ტბის პირად, გვერდით მივაყენეთ, სავინცობიოდ შემონახული ძეხვი და პური ერთ-ერთ მანქანაზე დავაწყვეთ და დავხაყრდით.

შიო გვეტაძე იგონებს:

— კალაბატკის ბრძოლების შემდეგ ქართული დივიზიის გადარჩენილი ნაწილები და დანაყოფები პოლკოვნიკ ვ. ჯანჯღავას ხელმძღვანელობით პრიმორსკი-ახტარსკისაკენ გაემარ-

თნენ. აქ დივიზიას შევსება უნდა მიეღო და კვლავ ესახელებინა თავი გამათავისუფლებელ ომში.

სწორედ ამ დროს მოვხვდი ქართულ დივიზიაში. არასდროს არ დამავიწყდება ახტარელების პატივისცემა, ზოგჯერ დედა შვილს, ძმა ძმას არ გაუწევს ესოდენ ზრუნვას, როგორიც მათ ჩვენს მიმართ გამოიჩინეს. მოკლე ხანში დივიზიის შემადგენლობა მოღონიერდა, მისი ნაწილები შეივსო სისხლსავსე ახალგაზრდებით, საუკეთესო ქართველი მებრძოლებით, რომელთაც ერთი სული ჰქონდათ, დროულად გასულიყვნენ ფრონტზე და შური ეძიათ საყვარელი ადამიანებისათვის, კალაბატკაში დაცემული მეომრებისათვის.

სულ მალე ეს დღეც დადგა...

ასე განსაკუთრებულად რატომ ვისწრაფვი ანაპისაკენ?

რატომ უყვარს შვილს დედა?

ჩვენ, 414-ე დივიზიის ყოფილი მეომრები, დიდი სიამაყით ვატარებთ ანაპელების სახელწოდებას. თითქოს ამ ქალაქში თავს იყრიდეს ჩვენი ყველა საგმირო საქმე, თითქოს ამ ქალაქით ცოცხლობდეს ჩვენი სახელი, ჩვენი დაკარგული სისხლი, ჩვენი წამებით გამდნარი სიჭაბუკე და მკაცრი ცხოვრებით შეძენილი სიბრძნე.

— სწორია! — წარმოთქვა პოლიკარპე ჯაჯანიძემ.

— სწორია! — ბანი დააწიეს სხვებმაც.

მოსაღამოვდა და ავტომანქანებიც დავძარით, მდინარემდე სულმოუთქმელად ვიარეთ, ტანსრული ყუბანი ბორანით გადავლახეთ და გზა გავივაკეთ.

— შენსკენ, ჩემო ანაპავ! თქვენსკენ მოვდივართ, ანაპე-

ლებო! — შემომესმა წინა მანქანიდან. მგონი, შიო გვეტაძე იყო.

წყნარი, მზიური ანაპა მრავალსაუკუნოვან ისტორიას ითვლის. ძველი ბერძენი ისტორიკოსები და ჟამთაღმწერლები, რომლებიც ამ ქალაქის ტერიტორიაზე მოხვდნენ, იმოწმებენ, რომ ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე V საუკუნეში დღევანდელი ანაპის ადგილზე გაშენებული იყო ქალაქი სინდაკი.

ამ ხნის მანძილზე ბევრმა მღვრიე წყალმა ჩაიარა ქალაქ სინდაკის ისტორიულ ქუჩებში, არაერთხელ გადაუტანია მას რბევა და აწიოკება, მაგრამ ძლიერ ქარტეხილებს გაუძლო და ხანგრძლივებიდან წამომდგარი სინდაკი, შემდგომში ანაპად წოდებული, ერთ-ერთ ულამაზეს ქალაქად დარჩა შავი ზღვის სანაპიროზე.

XX საუკუნის დასაწყისიდანვე ანაპა ცნობილი გახდა როგორც საკურორტო ქალაქი. მის გარშემო განვითარდა მევენახეობა-მეღვინეობა, აქ თანდათან ფეხი მოიკიდა ვაჭრობამ, ალებ-მიმცემობამ.

რევოლუციამდელ წლებში ანაპაში წარმატებით მოქმედებდა არალეგალური ბოლშევიკური ორგანიზაცია, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული ნოვოროსისკელ ბოლშევიკებთან. ანაპელ გლეხებთან და მეთევზეებთან პოლიციელებს ეშალებოდნენ შეუდრეკელი ნოვოროსისკელი რევოლუციონერები. წყნარი პროვინციული ქალაქი შავიზღვისპირეთის რევოლუციური ცენტრი გახდა. აქ შემოქონდათ და აქედან ავრცელებდნენ რევოლუციურ ლიტერატურას, საზღვაო პორტიდან არაერთხელ გასულან არალეგალური ლიტერატური-

თა და იარაღით დატვირთული სწრაფი ფლაგმანები შავი ზღვის სანაპირო რაიონებისა და ქალაქებისაკენ.

1918 წლის 6 თებერვალს ხელისუფლება ანაპაში რევოლუციური კომიტეტის ხელშია, მაგრამ მალე თეთრგვარდიული ნაწილების შემოტევით იგი დაეცა.

1920 წელს კვლავ აღსდგა საბჭოთა ხელისუფლება ქალაქში და ამის შემდეგ დაიწყო ანაპის ნამდვილი ზრდა-განვითარება. მოკლე დროში იგი გადაიქცა სამხრეთის საუკეთესო საბავშვო კურორტად. აქ, ზღვის სანაპიროზე, 1941 წლამდე ყოველდღიურად 50 ათასი მშრომელი და ბავშვი ისვენებდა.

დიდი სამამულო ომის წლებში გერმანელ ფაშისტთა მძიმე ბარბაროსობა განიცადა ანაპამ, მიწასთან გასწორდა ქალაქი, დაინგრა სანატორიუმები.

და აი, დარეკა ანაპის გათავისუფლების ჟამმა.

ქართველ მეომრებს სულ უფრო და უფრო გაძლიერებული იერიშები მიჰქონდათ სტანიცა ანაპსკაიას გამაგრებულ ზღუდეზე, მაგრამ მტერი იოლად როდი აპირებდა მის დათმობას. ამიტომ ამ უბანზე გერმანელებმა მრავალრიცხოვან ნაწილებს მოუყარეს თავი. მოიყვანეს „ესესელებიც“. 1943 წლის 21 სექტემბერს გაჩაღდა სასტიკი ბრძოლა. დივიზიის მეთაურმა პოლკოვნიკმა ყურაშვილმა სამივე მსროლელი პოლკი და მთელი საარტილერიო ძალები ერთდროულად ჩააბა ბრძოლაში. გაანადგურა რა მტერი სტანიცა ანაპსკაიაში, მთელი ძალები მიმართა ქალაქ ანაპაზე, სადაც ქართველმა მეომრებმა გაანადგურეს მტრის მრავალრიცხოვანი ცოცხალი ძალა, ხელთ იგდეს ტყვეები, დიდძალი ნადავლი და დაიმკვიდრეს საბრძოლო დიდებით გასხივოსნებული „ანაპელთა“ სახელი...

— გახსოვს? — ეკითხება შიო გვეტაძე გიორგი ცინცაძეს, — ერთხელ გაცხარებული ბრძოლის შემდეგ გულმა აღარ მომითმინა და ვენახში ჯერ ვაზის ძირს ვაკოცე და შემდეგ ყურძენი გეახელი. საიდანღაც თავს გრიშა მანაგაძე წამომადგა, რევოლვერის სროლა ამიტეხა.

— გაგიჟდი? შეიძლება მოწამლულია, შეიძლება დანაღმულია, თავი გინდა წააგო?

ძლივს დაამშვიდეს პოლკის მეთაური.

მაშინ მეწყინა უფროსის სიფიცხე, შემდეგ მივხვდი, თუ როგორ ზრუნავდა იგი ჩვენზე, რიგით მეთაურებსა და მებრძოლებზე.

...გვიან, ღამით, პირველი მაისის მოლოდინში გაჩირაღდნებულ ქალაქში ჩავედით, სასტუმრო მოვიკითხეთ, იქვე, ზღვის პირას გაშენებული პარკის გვერდით მიგვასწავლეს.

ზღვის ტალღების ნაზ ჩურჩულში, ნაპირზე გამოტანილი ქვიშის შრიალში ჩაგვეძინა დაღლილებს.

უცნობი ქართველი ქალი

მზიანი ამინდით შემოგვიმასპინძლდა პირველსავე დღე ანაპაში. დილას 30 აპრილს, ჩვენთან სასტუმროში მოვიდნენ პარტიის საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ივანე ალექსის ძე ტეპლიაკოვი, საზოგადოება „ცოდნას" პასუხისმგებელი მდივანი სერგი სტეფანეს ძე მოსკალიოვი, სამხედრო კომისარიატის წარმომადგენელი ნიკოლოზ ივანეს ძე კრავჩენკო, ანაპის პარტიზანული შენაერ

თის ყოფილი კომისარი, ამჯერად მუზეუმის დირექტორი ალექსანდრე ათანასეს ძე სალაშინი.

გავეცანით, გაგვიცვნეს, შინაურულად მოგვიკითხეს.

— საიდან დავიწყოთ? — კითხულობს მუზეუმის დირექტორი, რომელმაც, ეტყობა, საკუთარი ხუთი თითივით იცის ქართული დივიზიის გმირული ბრძოლის ამბები ანაპაში.

— სჯობს ქალაქის ცენტრიდან, — თვითონვე პასუხობს და განაგრძობს, — აქ რევოლუციისათვის თავდადებულ ვაჟკაცებთან ერთად არის ერთი საფლავი, გმირი ქართველი მებრძოლის საფლავი.

ავტობუსით გავდივართ ქალაქში, საზეიმო ელფერი ადევს ირგვლივ ყოველივეს, ქუჩები, მოედნები, შენობები წითელი დროშებით, ტრანსპარანტებითა და ლოზუნგებით მოურთავთ,

სალაშინი თავს ვეღარ იკავებს და გვიხსნის:

— ომისშემდგომ წლებში აღსდგა, გაიზარდა და გამშვენიერდა ჩვენი ქალაქი. იგი საბჭოთა კავშირში ბავშვთა ერთ-ერთ შესანიშნავ სამკურნალო და საკურორტო ადგილად ითვლება; საუკეთესო კლიმატით, იშვიათი პირობებით თვალს უსწორებს ცნობილ არტეკს.

თვალს იტაცებს მწვანეში ჩაფლული ლამაზი ქუჩები, პარკები, ერთიმეორეზე მიყოლებით გაშენებული სკვერები, კლუბები...

ავტობუსიდან გადმოვედით, შევედით ქალაქის ცენტრში არსებულ პარკში, სადაც აღმართულია ვეებერთელა ობელისკი.

მოულოდნელად ჩვენი ყურადღება მიიპყრო შავებით მორ-

თულმა ქალმა, რომელიც უხმოდ ტიროდა და საფლავზე მიწას აბნევდა.

ახლოს მივედით, ობელისკზე წარწერა დავლანდეთ: „ანაპის განთავისუფლებისათვის გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებთან ბრძოლაში გმირულად დაღუპული კაპიტანი კირილე ლეჟავა“.

— ვიცნობდით, ჩვენი კირილე, ბრწყინვალე მეთაური, — ერთხმად წამოიძახეს შიო გვეტაძემ და გიორგი ცინცაძემ.

ქალმა თავი წამოწია, ცნობისმოყვარეობით შეგვათვალიერა და, როცა შეიტყო, რომ ქართველები ვიყავით, აქვითინდა.

როგორც იქნა, ქალი დამშვიდდა, გავეცანით.

— თბილისიდან, ნადეჟდა ლეჟავა, დიდ სამამულო ომში დაღუპული ჩემი ძმის, კაპიტან კირილე ლეჟავას საფლავს მოვაკითხე, მეუღლე არ დარჩენია და შვილი, მოხუცი დედა კი ველარ დაიტირებს მის საფლავს.

414-ე ქართული დივიზიის ოფიცერი კირილე ლეჟავა გმირთა სიკვდილით დაეცა გერმანელი ფაშისტებისაგან ანაპის განთავისუფლების შემდეგდროინდელ ბრძოლებში, აქვე განისვენებს იგი. ხშირად აკითხავს ძმის საფლავს განათლების სამინისტროს მუშაკი ნადეჟდა ლეჟავა. იგი ახლაც, გამარჯვების 20 წლისთავის წინადღეებში ჩამოსულა აქ და ცრემლებს აპკურებს საყვარელ ადამიანს.

თავდახრილი ვდგავართ კაპიტან ლეჟავას საფლავთან.

— მადლობთ, ძვირფასებო, მადლობთ! — მადლიერების სიტყვებს წარმოთქვამს ნადეჟდა.

ქალაქის ხელმძღვანელ მუშაკებთან ერთად სპეციალური ავტობუსით მივდივართ ანაპსკაიაში, საიდანაც განხორცი-

ელდა ძლევამოსილი იერიში ქალაქის გასათავისუფლებლად. გზადაგზა ვეცნობით ანაპისათვის ბრძოლებში დაღუპულთა არასრულ სიებს, რომელიც თან აქვს სამხედრო კომისარიატის წარმომადგენელს. აი, ზოგიერთი მათგანი: ვლადიმერ იოსების ძე გაშიტაშვილი, გიორგი პეტრეს ძე არუშტაშვილი, ივანე დავითის ძე სოლოღაშვილი, ლევან ნიკოლოზის ძე მელრულაშვილი, გ. რ. პაშტაძე, გრიგოლ ნიკოლოზის ძე ქარჩხაძე, იოსებ იოსების ძე თოთუა... (აღვნიშნეთ ისე, როგორადაც წერია. დ. გ.).

სტანიცა ანაპსკაიას საძმო საფლავი.

ნაზად ირხევიან იასამნები და ყვავილები, ბალახი ბიბინებს საძმო საფლავზე, დიდხანს, დიდხანს მდუმარედ ვდგევართ აქ და ყველას თავისებური გრძნობები იპყრობს.

სერგო გოშხეთელიანს აგონდება 1943 წელი.

საბჭოთა არმია მთელს ფრონტზე — ბარენციის ზღვიდან შავ ზღვამდე — ეწეოდა გააფრთებულ ბრძოლას ჰიტლერელი ურდოების წინააღმდეგ. ეს წელი სამამულო ომის ისტორიაში შევიდა როგორც დიადი გარდატეხის წელი.

სახელოვანი 414-ე მსროლელი დივიზია მცირე შესვენების შემდეგ, 1943 წლის სექტემბერში, კვლავ ჩაება მტერთან ბრძოლაში. ამჯერად დივიზიის წინაშე დაისვა საპასუხისმგებლო ამოცანა — გაერღვია მტრის თავდაცვითი ზღუდე და გაეთავისუფლებინა სტრატეგიულად მეტად მნიშვნელოვანი ქალაქი ანაპა. ეს ამოცანა დაყვანილ იქნა თვითეულ მებრძოლამდე.

დივიზიის ერთ-ერთი მზვერავთა ოცეული, რომელსაც მე ვმეთაურობდი, ორდღიანი სადაზვერვო ოპერაციის წარმატე-

ბით შესრულების შემდეგ უდანაკლისოდ დაბრუნდა. დაქანცული მებრძოლები პირდაპირ მიწაზე მიწვნენ და მკვდრებივით ჩაეძინათ. ზუსტად მახსოვს, 21 სექტემბერი იყო. საღამოს 11 საათზე გამომიძახა პოლკის მეთაურმა პოლკოვნიკმა იოსებ გორგიშვილმა და მიბრძანა გერმანელთა საბრძოლო ძალებისა და განლაგების დაზვერვა ქალაქში და შედეგების მოხსენება პირადად, შეტევის დაწყებამდე.

ოცეული გაძლიერებულ იქნა რამდენიმე ცხენოსანი მზვერავითა და მესანგრით.

ღამე ფრთხილად გავიარეთ ქალაქის მისადგომებთან არსებული ზვრები და შევედით ანაპაში. დაზუსტდა, რომ ფაშისტებს აქ არა ჰყავთ მაინცდამაინც დიდი ძალები. სასწრაფოდ შევადგინეთ მოხსენება და პოლკის მეთაურთან ვაფრინე ცხენოსანი მზვერავი ფანჩულიძე.

მალე იგი მტერმა შეამჩნია, დაედევნენ და მოუკლეს ცხენი, მაგრამ პირადად მაინც მოახერხა ხელიდან გასხლტომოდა ფაშისტებს და პირველი მივიდა პოლკოვნიკ გორგიშვილთან.

გერმანელებმა ჩვენს ადგილსამყოფელსაც დაყნოსეს, ალყა შემოგვარტყეს და ცეცხლი გაგვიხსნეს. იძულებული შევიქენით უთანასწორო ბრძოლა მიგვეღო, რომელიც ორ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა. ამ ბრძოლაში ოცეულის ყველა მებრძოლმა დაამტკიცა სამშობლოსათვის თავდადება. მძიმედ დაჭრილები ლიუბიმოვი, ხობუა, სოროკინი მაინც განაგრძნობდნენ ბრძოლას, სწორედ აქ დაეცნენ კომკავშირელი მზვერავები კუდრენკო და მოცნი.

იძულებული გავხდით ქალაქის ცენტრიდან კიდევ უფრო

ღრმად წავსულიყავით მტრის ზურგში. მალე გერმანელთა მეორე თავდაცვითი ეშელონის წინ აღმოვჩნდით, მაგრამ მოვახერხეთ მიმალვა და დაველოდეთ დილას.

22 სექტემბერს, გათენებისას, დაიწყო საარტილერიო მომზადება, შემდეგ ჩვენი პოლკებიც გადმოვიდნენ შეტევაზე. ანაპა იერიშით იქნა აღებული. ფაშისტებმა ზარალი განიცადეს, მარტო ტყვედ ჩავიგდეთ 200-მდე ჰიტლერელი, მათ შორის ერთი მაიორი.

ხუტორი პოლიტადელი...

— სწორედ ამ ადგილებში იყო დივიზიის სამოქმედო ტერიტორია. — იგონებენ პოლიკარპე ჯაჯანიძე, გიორგი ცინცაძე და ომის სხვა ვეტერანები.

მუზეუმის დირექტორმა ა. სალაშინმა ზუსტად იცის ანაპისათვის გამართული ბრძოლების ეპიზოდები, იგი მოგვითხრობს ქართველი ვაჟკაცების საგმირო საქმეებზე, მათს მამაცობასა და თავდადებაზე.

მალე გამოჩნდა ხუტორი ბოლშევიკი. გიორგი ცინცაძემ და შიო გვეტაძემ საინტერესო ფაქტი გვიამბეს: ხუტორ ბოლშევიკში დაბანაკებული იყო გრიგოლ მანაგაძის პოლკი. ქალაქისაკენ წინსვლას წინ ეღობებოდა გერმანელთა ძლიერ გამაგრებული ზღუდეები. საჭირო შეიქნა ოპერატიული მოქმედება ამ ზღუდეების გასარღვევად.

სწორედ აქ გამოიჩინეს თავი დივიზიის ხელმძღვანელებმა, პოლკების და ქვეგანაყოფების მეთაურებმა, რიგითმა ჯარისკაცებმა. მოულოდნელი იერიშით მათ არევ-დარევა შეიტანეს მტრის რიგებში და გაათავისუფლეს ქალაქი.

— ამ ადგილზე, — გვანიშნებს გიორგი ცინცაძე, — ფაშის-

ტთა ტყვიით დაიღუპნენ ასეულის მეთაურები კანთელაძე და მეტრეველი.

პავლე სარალიძემ მიაგნო იმ ადგილს, სადაც მძიმედ დაიჭრა და მწყობრიდან გამოვიდა.

ქალაქში დაბრუნებულებმა სერგო გოშხეთელიანი მოვიკითხეთ, იგი არსად სჩანდა, თურმე ბრძოლებში გმირულად დაცემული მზვერავების კუდრენკოსა და მოცნის საფლავის მოსანახულებლად წასულა, მაგრამ ამაოდ უძებნია. ომისშემდგომ პერიოდში სხვადასხვა ადგილებში გაფანტული მებრძოლთა ცალკეული საფლავები ერთ საძმო საფლავში მოუთავსებიათ.

„მასპინძლები ჩვენ ვართ“

ანაპის დათვალიერება დავიწყეთ სამხრეთ მხარიდან, ე. წ. „მცირე ბუხტიდან“. აქ ზღვის სანაპირო მაღალია და დაქანებული, ოც-ოცდახუთ მეტრზე ეშვება ცისფრად მოლივლივე ზღვისაკენ. კლდიან ნაპირზე გამუდმებით ეხეთქებიან ტალღები.

უკიდეგანო ზღვის სივრცე იშლება მაღლობიდან, სადღაც შორს, თვით ჰორიზონტთან ამოდის ხომალდის ბოლი, უკან რჩება ქაფიანი ზოლი, მოიჩქარის თევზმჭერი სეინერი, რომელიც ეკუთვნის კოლმეურნეობა „მეგობრობას“.

სეინერებით უთენია გადიან ზღვაში, იჭერენ კეფალს, ისეთ თევზებს, რომელთაც ნაზი და გემრიელი ხორცი აქვთ.

დატკბებით რა ამ სანახაობით, მიემართებით ცენტრში.

პუშკინის ქუჩაზე მოთავსებულია აფთიაქისა და პოლიკლინიკის ლამაზი, სამსართულიანი შენობა, რომელიც დიდი პოეტის სახელობის სკვერის წინ დგას.

სკვერს უკან იწყება რევოლუციის პროსპექტი, რომელსაც ნავსადგურისაკენ მივყავართ. აქ აღმართულია პანსიონატ „დედა და ბავშვის“ ერთ-ერთი კორპუსი, მოპირდაპირე მხარეზე კი დგას ვარდისფერი, მსუბუქი შენობა, რომელიც შორიდან ფანტასტიკურ ხომალდს მოგაგონებთ ზემო გემბანზე ვრცელი ჭრილით. ეს შენობა თევზსაჭერ საოლქო სკოლას ეკუთვნის.

რევოლუციის პროსპექტი მთავრდება მოედნით. მარცხნივ, დაღმართს ნავსადგურში მივყევართ, ხოლო მარჯვნივ მოთავსებულია პანსიონატი და ვეებერთელა შადრევანი.

ანაპის ბრწყინვალე ბუხტის გასწვრივ მიემართება სანაპირო; ქალაქის ერთ-ერთი ულამაზესი უბანი. მთელი სანაპირო ჩასმულია ყვავილოვან კლუმბებში, გაზონებში, სკვერებში.

ბუხტის სამხრეთ ნაწილში არის ნავსადგომი, რომელშიც შემოდიან თევზმჭერი სეინერები და სამგზავრო ხომალდები.

ჩრდილოეთიდან სანაპირო თანდათან დაბლდება. ქვის კიბეების საშუალებით ჩადიხართ ზღვისპირა პარკში, საიდანაც იწყება სახელგანთქმული „ოქროს პლაჟი“.

ოდესღაც ამ ამაღლებულ მხარეზე გადიოდა თურქეთის სიმაგრის საზღვარი, ახლა მისი ნარჩენებიღა შემორჩენილა.

პარკის სამხრეთ-აღმოსავლეთით ყოფილი ციხის კარებია მოთავსებული. გვერდით, როგორც რელიქვია რუსული დიდებისა, დგას ორი ქვემეხი.

ფართო მონუმენტური კარების მეშვეობით პლაჟზე მოხვდებით, რომელიც რამდენიმე კილომეტრზეა გაჭიმული.

აქ მოთავსებულია პიონერული ბანაკები და სანატორიუმები.

ანაპას, როგორც სხვა საკურორტო ქალაქებს, აქვს თავისი სამრეწველო საწარმოები. მათ შორის ყველაზე მსხვილი საწარმოა ღვინის ქარხანა, რომლის ბაზას ადგილობრივი ვაზის წარმოება წარმოადგენს. ანაპელებს მოჰყავთ ისეთი მაღალი ჯიშების ყურძნის მოსავალი, როგორიცაა „რისლინგი", „მუსკატი", „ჩაუშა", „იზაბელა" და სხვ. აქაური ღვინოები განთქმულია მთელს ყუბანსა და შავი ზღვის სანაპიროზე.

საინტერესო წარმოშობისაა თვით ქალაქის სახელწოდებაც. შუა საუკუნეებში აქ თურმე ადიღური წარმოშობის ტომები ცხოვრობდნენ. მათ ქალაქ სინდაკს, შემდგომში გორგიპიას სახელი გადაარქვეს და უწოდეს ანეპე. „ანე" მრგვალ მაგიდას, ხოლო „პე" მხარეს ნიშნავს. თუ დავუკვირდებით, რუქაზეც ნათლად შეამჩნევთ, რომ ანაპა მრგვალ მაგიდასავითაა ჩასმული ზღვაში.

...პარტიის საქალაქო კომიტეტმა ქუთაისელ მშრომელთა დელეგაციის შემადგენლობა საპირველმაისო საზეიმო სხდომაზე მიგვიწვია. ქალაქის ხელმძღვანელ მუშაკებსა და მშრომელთა საუკეთესო წარმომადგენლებთან ერთად პრეზიდიუმში ადგილი ქართველმა ომის ვეტერანებმა პოლიკარპე ჯაჯანიძემ, შიო გვეტაძემ, გიორგი ცინცაძემ, სერგო გოშხეთელიანმა და პავლე სარალიძემ დაიკავეს.

დარბაზში მყოფნი მქუხარე ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის კააშტას განცხადებას რომ საზეიმო სხდომას ესწრებიან ანაპის გმირული დივიზიის მებრძოლები.

პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ივანე სტეფანეს

ძე იშენკომ მოხსენებაში ჯეროვნად შეაფასა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან ანაპის განთავისუფლებაში 414-ე ქართული მსროლელი დივიზიის დამსახურება.

საზეიმო სხდომაზე მგზნებარე სიტყვით გამოვიდა ჩვენი დელეგაციის წევრი შიო გვეტაძე, რომელსაც მხურვალე ოვაცია გაუმართეს და სიტყვა არაერთხელ შეაწყვეტინეს ტაშით.

დასასრულ შიო გვეტაძემ ქუთაისელ მშრომელთა სახელით სამახსოვრო საჩუქრები გადასცა ანაპელებს.

ქალაქის მშრომელთა სახელით ანაპელმა კომკავშირლებმა და ახალგაზრდებმა ქართველ ომის ვეტერანებს პრეზიდიუმში გაუგზავნეს ბარათი, რომელშიც მადლობას უხდიან ანაპის სახელობის დივიზიის ყოფილ მებრძოლებს გერმანელ ოკუპანტებისაგან ქალაქის გათავისუფლებისათვის.

საზეიმო სხდომა დამთავრდა, მოსაცდელში საუბარი გაიმართა.

— გეპატიჟებით ჩაიზე, — მხიარულად ამბობს ამხ. ა. კააშტა.

— პირიქით, მასპინძლები ჩვენ ვართ, ანაპის გათავისუფლების ბრძოლები ძირითადად ჩვენმა დივიზიამ გადაიტანა, ჩვენი მებრძოლების ხსოვნისათვის ჩამოვედით აქ და გთხოვთ ჩვენთან წამობრძანდეთ.., — პასუხობს შიო გვეტაძე.

მაგრამ მასპინძლები მაინც ანაპელი ამხანაგები დარჩნენ და გამართეს სამახსოვრო ვახშამი, რომელსაც ჩვენთან ერთად ესწრებოდა ანაპის ბრძოლებში დაცემულ კაპიტან კირილე ლეჟავას და ნადეჟდა ლეჟავა.

—ჩვენს თავს მოვალედ ვთვლით,—თქვეს მასპინძლებმა,—

მოვლა-პატრონობა არ დავაკლოთ საძმო საფლავებს და წმიდად შევინახოთ ანაპისათვის ბრძოლებში დაღუპულთა ხსოვნა.

მეორე დღეს გულთბილი შეხვედრა მოგვიწყვეს მეზღვაურებმა, რომლებიც ღრმა პატივისცემით შეხვდნენ ქუთაისელ ომის ვეტერანებს, მათ შორის გაიმართა გულთბილი საუბარი, სპეციალურ აღლუმზე მეზღვაურებს გადავეცით საჩუქრები წარწერით „გამარჯვების ოცი წლისთავის აღსანიშნავად, ქუთაისელი მშრომელებისაგან“.

საპირველმაისო ზეიმი...

ტრიბუნაზეა ბიწვეული დელეგაციის წევრები, მშრომელთა კოლონებში გაისმის გულთბილი შეძახილები დიადი საბჭოეთის ხალხთა მეგობრობის პატივსაცემად, სამამულო ომში დაღუპულ გმირთა სადიდებლად, ანაპის წითელდროშოვანი დივიზიის საპახსოვროდ.

ბდიდარი შთაბეჭდილებებით ვემშვიდობებით ანაპელებს, რომლებმაც გულთბილად გამოგვაცილეს და ბედნიერი მგზავრობა გვისურვეს.

ქერჩი

ქართული სარმა

სიმაღლე გირლიანაია...

მწარედ დაჭრილმა ურჩხულმა ძალა მოიკრიბა, ანაპასთან სირცხვილნაჭამი ტამანის ნახევარკუნძულის გასაღებს ჩაეჭი-



ანაპა. წინასამაისო საქალაქო სადღესასწაულო სხდომამ წუთიერი დუმილით პატივი სცა
განთავისუფლებისათვის გმირულად დაღუპულ ქართველ მებრძოლთა ხსოვნას.



ჭერჩი. სოფ. გლაზოვსკი. ობელისკზე ქართული გვარებიც აღმოვაჩინეთ.

და, ბეტონის სიმაგრეში გამაგრდა და აქედან ცდილობდა ქართული დივიზიის ძლევამოსილი წინსვლის შეჩერებას.

იდგა 1943 წლის ოქტომბერი. შურისძიებით ანთებული ქართველი მებრძოლები მტერს ფეხდაფეხ სდევდნენ, ისწრაფოდნენ ტამანის განთავისუფლებას და ქერჩზე გადასვლას.

ყბადაღებული „დრანგ ნახ ოსტენის“ გეგმით 80 დივიზია დაძრა ჰიტლერმა მარტო კავკასია — სტალინგრადის მიმართულებით. ეს დივიზიები ორ დაჯგუფებად დაიყო. დაჯგუფება „A“, რომელსაც უნდა დაეპყრო შავი ზღვისპირეთი ტამანიდან ბათუმამდე, და დაჯგუფება „Б“, რომელსაც ვოლგისპირეთი უნდა დაელაშქრა. ასეთი იყო კავკასიის დაპყრობის ფაშისტური გეგმა „ედელვაისი“, მაგრამ იგი ჩაიფუშა.

ახლა ქართული დივიზია საბჭოთა არმიის სხვა შენაერთებთან ერთად ტამანის ნახევარკუნძულისა და ქერჩისაკენ მიერეკება მტრის იმ 80 დივიზიის „A“ დაჯგუფების ნარჩენებს, რომლებმაც კრახი განიცადეს.

...ბრძოლა წუთით შეწყდა, თითქოს მოწინააღმდეგენი დაზავდნენო, ირგვლივ სიწყნარე ჩამოვარდა.

სიჩუმეს დიდი ხანია გადაეჩვია 1375-ე პოლკის მე-2 მსროლელი ასეულის მეავტომატეთა ათეულის უფროსი ოთარ სულაბერიძე, ღამის სიბნელეში გირლიანას გადახედა და მშობლიური საქართველოს მთები მოაგონდა.

გუშინ სანიტარულ ნაწილს შევსება მოუვიდა, ახალგაზრდა რუსმა, მოწყალების დამ, მორცხვად გაუღიმა და ტოლებს აედევნა.

ხვალ იერიში უნდა მიიტანონ გირლიანაზე, რადაც არ უნდა დაუჯდეთ, სიმაღლე უნდა აიღონ.

ბლინდაჟში სიწყნარეა, ყველა თავისთავზე ფიქრობს, ცდილობენ ერთმანეთს ხელი არ შეუშალონ სანეტარო ფიქრში.

მოულოდნელად ფაჩუნი გაისმა, ღამის სიბნელეში ნათლად გაარჩია ქალი, რომელიც მისკენ მოხოხავდა.

— ვინ ხარ, რა გინდა ამ დროს აქ? — ჩურჩულით იკითხა.

— მე ვარ, მედდა, შემეშინდა, ვეღარ გავძელი და...

— ძედდა?

— ჰო, ჩვენ მხოლოდ ორი დღეა, რაც წინა ხაზზე მოვედით. ჯერ ბრძოლაში არ ვყოფილვარ, ახლახან დავამთავრე საძედიცინო სასწავლებელი.

ქალი ნაწყვეტ-ნაწყვეტად საუბრობდა, ეტყობოდა დიდხანს ებრძოდა საკუთარ თავს, სანამ უცნობ მამაკაცთან მივიდოდა.

უცხობსო?

არა, ის ახლა მისთვის უცნობი არ იყო, მას მხოლოდ ერთხელ შეხედა, მაგრამ ესეც საკმარისი აღმოჩნდა ღვიძლ ძმად მიეღო, მამად, დედად... სითბო, მშობლიური სითბო მოენატრა და ახლა მისთვის სულ ერთი იყო, სისხლის სუნი იყნოსა და ვისმეს უნდა შეკედლებოდა.

— კახკალებ?

— ჰო, ძცივა.

ვაჟმა შინელი მოიძრო, ქალს შემოახურა.

არც ერთი მათგანი უკვე აღარ ლაპარაკობდა, ქალი ბედნიერების ბურანში სცურავდა.

წათვლემა ვერ მოასწრეს მებრძოლებმა, საარტილერიო მომზადება დანიშნულ დროზე ადრე დაიწყო. პირველად ფაშისტების მხრიდან აგრუხუნდნენ სხვადასხვა ყალიბის ქვემე-

ხები, მათ ბანი მისცეს ნალმტყორცნებმა, მალე ცეცხლის ენებმა მიდამო გაანათეს.

ქალს სუნთქვა შეეკრა, უფრო ახლოს მიიწია ვაჟისაკენ.

— არ გაინძრე, თავი მაღლა არ წამოწიო! — უბრძანა ვაჟმა. ამ დროს გვერდით ვიღაცამ დაიკვნესა, მედდას თავისი მოვალეობა გაახსენდა, მსწრაფლ გახოხდა დაჭრილისაკენ.

ყველაფერი ოთარის თვალწინ მოხდა, ქალს ათი მეტრი არ ჰქონდა გავლილი, რომ...

შემდეგ აღარაფერი ახსოვს, მგონი გათენდა კიდეც, შეტევაზეც გადავიდნენ, პირისპირ ეკვეთნენ მტერს.

მეავტომატეები საოცარი გამბედაობით იბრძოდნენ, პირადად ოთარიმ ორი ფაშისტი მიაცხრილა და ელვისებურად შეიჭრა მტრის ბლინდაჟში.

— ესეც შენ, ფრიცო! — დააყარა ხელის გრანატები და თან ავტომატის ჯერიც მიაშველა.

საიდანღაც მტრის სამი ცხენოსანი გაჩნდა, ერთი მათგანი ზუსტი სროლით გადმოაგდო, მაგრამ...

ავტომატი ხმას არ იღებს, ვაზნები, ვაზნები გაუთავდა.

გაიქცეს?

სხვა გამოსავალი არ არის. არადა ფაშისტები დაედევნენ, მისწვდნენ კიდეც, ხელი სტაცეს და ცემა დაუწყეს.

გუმანით მიხვდა ოთარი. მტერმა მისი ცოცხლად ხელში ჩაგდება მოიწადინა, გაბაწვრა მოუნდომეს.

ცნობილი მოჭიდავის ილუშა ბობოხიძის შუასარმა გაახსენდა, ერთი ფაშისტი მიწას ლავაშივით გააკრა, ავტომატი ააცალა და იქვე მიაცხრილა.

შეტევა გრძელდებოდა, გირლიანაზე წითელი დროშა აფრიალდა.

ტამანის ნახევარკუნძული...

აქ ყოველი დასახელებული პუნქტი, ყოველი გორა და მთა მოწმეა ქართული დივიზიის მებრძოლთა გმირული შემართებისა. სარმამ უშველა ოთარ სულაბერიძეს, იმ დღეს რუსი გოგონას გაციებული გვამის სანაცვლოდ 10 ფაშისტი გაისტუმრა მოუსავლეთში.

ასფალტირებული გზა ხელიდან გამოგვეცალა, ე. წ. „ჩუშკამდე“ ტალახი დაიწყო. ფრთხილად მიჰყავთ ავტომანქანები ჩვენს მძღოლებს, დაახლოებით სამოცამდე კილომეტრი განვვლეთ ასე, როგორც იქნა მივაღწიეთ ტამანის ნახევარკუნძულის ბოლო წერტილამდე. აქედან ქერჩში სპეციალური ბორან-გემით უნდა გადავიდეთ. ეს მით უფრო საინტერესოა, რომ სწორედ აქედან გადასხეს დესანტი ქერჩის ნახევარკუნძულზე.

ჩვენს წინ ქერჩის ნახევარკუნძულია, ქერჩი ქართველთა „სასაფლაოდ“ წოდებული.

გადაშლილი და გადაუშლელი წარწერები

ღრუბელი გადაიკრიფა, ჰორიზონტზე ჩვენს თვალწინ ქერჩის მისადგომები გადაიშალა, მაღლობზე ვეებერთელა ობელისკი გამოჩნდა.

ყირიმი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ლამაზი და დიდებული მხარეა.

ყირიმის ისტორია საუკუნეების მიღმიდან მომდინარეობს.

ძველად აქ იცვლებოდნენ ტომები და ხალხები, წარმოიშობოდნენ და იღუპებოდნენ ძლიერი სახელმწიფოები. ყირიმის მიწაზე არქეოლოგები ახლაც ნახულობენ პალეოლითისა და ბრინჯაოს ეპოქის სადგომებს, აკლდამებს, ციხე-სიმაგრეებს, მძლავრ ქალაქთა ნარჩენებს.

ყირიმის უძველეს მობინადრეებად ქიმერიელთა, თავრებისა და სკვითების მეომარი ტომები ითვლება.

ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ადგილობრივი ხალხები ჯერ კიდევ ჩვენს ერამდე ვაჭრობდნენ ეგეოსის ზღვის ახლო მდებარე ქვეყნებთან.

სწორედ მათთან ურთიერთობამ ჩაუყარა საფუძველი ბერძენთა კოლონიების დაარსებას ყირიმში. მათ მეტი რა აინტერესებდათ — ყირიმი განთქმული იყო ნოყიერი მიწებით, აზოვის ზღვის წყალი და სრუტე კი — მრავალფეროვანი თევზით.

ადგილობრივ მოსახლეობასთან ბერძნების ასიმილაციამ ხელი შეუწყო ქალაქებისა და სახელმწიფოების აყვავებას. ვაჭრობასთან ერთად აქ ვითარდება ხელოსნობა, თევზჭერა და სოფლის მეურნეობა.

ბერძნული და არაბერძნული მოსახლეობის ამ ურთიერთობაში წარმოიშვა ყირიმის კულტურა, თავისებური სახელმწიფოებრივი მმართველობა, ბოსფორის სახელმწიფო.

ძველ ბოსფორელებს ახლო ურთიერთობა ჰქონდათ ბერძნებთან. მათთან ეზიდებოდნენ თევზს, პირუტყვს, მატყლს, პურს, ხოლო შემოჰქონდათ ზეთისხილი, მოხატული კერამიკა, ძვირფასი ქსოვილები, იარაღი. ბოსფორის ანტიკაპეიში მძლავრად განვითარდა კერამიკული, ლითონის, ხისა და ქვის

დამამუშავებელი საქმიანობა, ქსოვის ხელოსნობა, გემთმშენებლობა.

მაგრამ დროთა განმავლობაში ადგილობრივ ტომებში მოხდა ცვლილებანი, ბოსფორს შემოუტიეს მომთაბარე ტომებმა, ჰუნებმა ცეცხლს მისცეს მისი მრავალი ქალაქი და სოფელი.

რომის იმპერიის დაშლის შემდეგ ბიზანტიელებმა იმძლავრეს, ყირიმი მათი ინტერესების სფეროში მოექცა. ბიზანტია არა მარტო ხმლით, არამედ ჯვარითაც გაბატონდა მის მადლიან ძიწაზე.

შემდგომ საუკუნეებში რუს-სლავთა ახალი ტალღა გამოჩნდა ნახევარკუნძულზე, იგი დალაშქრეს ნოვგოროდელებმა, აქ გაიარა კონსტანტინეპოლზე წარუმატებელი ლაშქრობის შემდეგ მთავარმა იგორმა.

მე-9 საუკუნის ბიზანტიური და არაბული წყაროები უკვე ლაპარაკობენ „რუსებზე“, როგორც თავრიდის მობინადრეებზე. ბოსფორი გახდა რუსეთის ვაჭრობის მნიშვნელოვანი კვანძი შავ ზღვაზე.

შემდეგ...

კვლავ ისტორიის ქარტეხილები, მონღოლთა შემოსევები, თურქების ბატონობა, ბრძოლები სისხლისმღვრელი, უსაზღვრო და უნაპირო.

ყირიმიდან თურქთა განდევნაში დიდი როლი შეასრულა დიდმა რუსმა მხედართმთავარმა სუვოროვმა, რომელმაც 1778 წელს შემოიარა ნახევარკუნძული.

1783 წელს ყირიმის ეკონომიურად ჩამორჩენილმა და ბრძოლებით დაუძლურებულმა სახანომ შეწყვიტა არსებობა, უკანასკნელმა ხანმა უარი თქვა ძალაუფლებაზე და ყირიმი

შევიდა რუსეთის შემადგენლობაში. ეს იყო ერთი დიდი, მნიშვნელოვანი პროგრესული აქტი.

თურქეთი ვერ შეურიგდა ყირიმის დაკარგვას. 1787 წელს, დასავლეთის სახელმწიფოების, კერძოდ, ინგლისის მიერ წაქეზებულმა თურქეთმა ომი გამოუცხადა რუსეთს. მაგრამ ვერც მისმა არმიამ და ვერც ფლოტმა ვერ შეძლეს ყირიმის მიწაზე შემოჭრა; ხმელეთზე თურქებს სუვოროვი ამარცხებდა, ზღვაზე — უშაკოვი.

ასე, შენ კვლავ დარჩი დიდი რუსეთის შემადგენლობაში.

1820 წლის აგვისტოს ყირიმში იმოგზაურა დიდმა რუსმა პოეტმა ალექსანდრე სერგის ძე პუშკინმა, ინახულა მითრიდატის გორა, პანტიკაპის ანაჩრდილი და აღფრთოვანებული წერილი მიწერა ძმას.

1853 წელს თურქეთი კვლავ წააქეზეს და ომი დაიწყო, მაგრამ მისი ფლოტი განადგურებულ იქნა ნახიმოვის მეთაურობით.

ამჯერად ინგლისელები და ფრანგები შემოესივნენ ყირიმს...

მოსვენება არ ჰქონდა, მისი შრომისმოყვარე ხალხი გმინავდა ცარიზმის ბატონობის ქვეშ, იქმნებოდა და მტკიცდებოდა ბოლშევიკური ორგანიზაციები, იზრდებოდა ხალხის მღელვარება არსებული წყობილების წინააღმდეგ.

და აი, დარეკეს თავისუფლების ზარებმა, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ აყვავდა და აღზევდა ყირიმი, ხუთწლედების მანძილზე შეიქმნა მძლავრი სოციალისტური ინდუსტრია, მაღალგანვითარებული სოფლის მეურნეობა.

ცხოვრობდა გემრ̇ვნებით, ნათელი ცხოვრების ჰორიზონტები მოსჩანდა მზით გაბრწყინებულ მის მიდამოში.

ფაქტები?

1927 წელს ჩაეყარა საფუძველი მეტალურგიულ ქარხანას, ორი წლის შემდეგ უკვე გაუშვეს პირველი ბრძმედი, რომელმაც გაშვებიდან მარტო რვა თვეში 540 ათასი ტონა თუჯი გადაადნო.

მეტალურგიული ქარხანა ოთხ წელიწადში აშენდა.

1931 წელს, ქერჩის სამხრეთით, კამიშ-ბურუნში მძლავრი რკინა-მადნის კომბინატის მშენებლობა დაიწყო, რომელიც 1939 წელს დამთავრდა მაღაროებითა და გამამდიდრებელი ქარხნით.

1932 წელს დაიწყო მუშაობა თევზსაჭერმა სადგურმა. ომის წინა ხუთწლედებში შეიქმნა ოთხი მექანიზებული თევზის ქარხანა.

მარტო 1940 წელს დაჭერილ იქნა 4 მილიონი ფუთი თევზი. თევზის პატარა მეურნეობის სადგური აზოვ-შავი ზღვების თევზის მეურნეობისა და ოკეანოგრაფიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტად გადაიქცა შესანიშნავი ლაბორატორიებით, საცდელი სადგურებით, სპეციალური ხომალდებით.

მრავალფეროვან და უხვ პროდუქციას უშვებდნენ სხვა საწარმოებიც.

წლითიწლობით იზრდებოდა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობა. აშენდა 14 ახალი სკოლა, სამი აბანო-სამრეცხაო, კომფორტაბელური სასტუმრო, გაყვანილ იქნა ტრამვაის ხაზები, მოასფალტდა ქუჩები ქალაქის ცენტრიდან მეტალურგიულ და რკინა-მადნის კომბინატისაკენ, გარეუბნები და განაპირა რაიონები რადიო-და ელექტროფიცირებულ იქნა.

სწრაფად გაიზარდა ქერჩის მოსახლეობა, უკვე 1938 წელს 104, 5 ათას კაცს მიაღწია.

1941 წელს ქერჩი სსრ კავშირის სამხრეთის მსხვილი ინუსტრიული ცენტრი გახდა.

და როცა ახალი დროის ჰანიბალებმა დაურღვიეს მყუდროება საბჭოეთის დიად ქვეყანას, ოქტომბრის მონაპოვარს განადგურების საფრთხე დაემუქრა და აღსდგა ხალხი თავისუფლების დასაცავად, ყირიმმაც საუკეთესო შვილები გაგზავნა ფრონტებზე. ისინი იბრძოდნენ მამაცურად, შეუდრეკელად. ათგზის გადაბუგეს და გადაწვეს ყირიმი კაციჭამია ჰიტლერელებმა, მაინც არ გატყდა იმიტომ, რომ ამ მიწას საბჭოთა ადამიანები იცავდნენ, მათ შორის ქართველებიც იყვნენ.

ქართველები...

ქერჩის მიწაო! ბევრი ვაჟკაცი მიიბარე შენს სისხლით მორწყულ მკერდში, ბევრი ქართველი დედა ატირდა მდუღარე ცრემლით, ბევრ ქართველ ქალს ჩაეცვა შავი, ბევრი ბავშვი დაობლდა უდროოდ. ტყუილად როდი გიწოდებენ ქართველების ყველაზე დიდ სამარხს სამამულო ომში.

ამიტომაც მოვილტვით შენსკენ, ქერჩის მიწაო! გვინდა მოვინახულოთ საძმო საფლავები, პატივი ვცეთ შენთვის მოწამებრივი სიკვდილით დაღუპულ ადამიანთა ხსოვნას, რომელთა რიცხვი რამდენიმე ათასს აღწევს.

გამარჯობა ქალაქო ქერჩო, გამარჯობა ყირიმო!

გადავდივართ ქერჩის სრუტეზე, გადავდივართ, მაგრამ მიწაზე ფეხის დაბიჯების გვეშინია. იქ ყოველი გოჯი მიწა სისხლითაა მორწყული, ყოველ ადგილზე ჩვენი ძმების ძვლები მარხია.

პირველი სოფელი, რომელშიც ქერჩის მიწაზე ფეხი შევდგით, მაიაკი იყო. სოფლის ცენტრში მოთავსებულია საძმო საფლავი.

როცა ადგილობრივმა მოსახლეობამ ჩვენი ვინაობა შეიტყო, თევზკომბინატის მუშაკმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე იშენკომ ასეთი ამაღელვებელი ეპიზოდი მოგვითხრო:

— ომისშემდგომ წლებში კატაკომბებსა და ძველ სანგრებს ვათვალიერებდით. ერთ-ერთ მათგანზე წარწერა ვნახეთ, ძლივს გავარჩიეთ. „ჩვენ ხუთი ქართველი აქ მოვხვდით გერმანელთა ალყაში, ვკვდებით, მაგრამ ფაშისტებს არ ვბარდებით“. სამწუხაროდ, მათი გვარები აღარ მახსოვს.

ტრაქტორისტი სერგო შჩერბაკოვი მაღლობისაკენ გაგვიძღვა, აქაც საძმო საფლავია მოთავსებული, დღემდე შემონახულა გერმანელი ფაშისტების მუდმივმოქმედი საცეცხლე წერტი.

— აქედან გერმანელთა გამანადგურებელი დაცვა კონტროლს უწევდა მთელ ტერიტორიას,— იგონებს პოლიკარპე ჯაჯანიძე.

კვლავ დუმილი, ქუდმოხდილებს ზღვის ნიავი თმებს გვიწეწავს.

ვოიკოვი...

რამდენს მწარე მოგონებად დარჩა ცამდე აწვდილი ვოიკოვის ქარხნის მილი, როგორც ორიენტირება დიდი ბრძოლისა.

აღარ ვაყოვნებთ, სოფელ პარტიზანში (ყოფილი აჯიმუშკაი) შევდივართ. სოფელი მოფენილია კატაკომბებით, რომლებიც ფაშისტთა საშინელი მხეცობის უტყვი მოწმენი არიან. კატაკომბებში გერმანელმა არამზადებმა ათასობით საბჭოთა დაჭრილი მეომარი და მშვიდობიანი მოქალაქე ამოახრჩვეს გაზით.

სოფლის განაპირა შემაღლებულ ადგილზე მდებარეობს საძ-ძო საფლავი, რომლის შუაგულში აღმართულია შესანიშნავი ობელისკი, მაგრამ ბრძოლებში დაცემულთა გვარებს აქ ვერ შე-ვხვდით.

სასაფლაოს ერთ კუთხეში თალხებიანი ქალი შევნიშნეთ, გამოვეცნაურეთ.

— ბედდამწვარი დედა ვარ, შვილებო, აქ განისვენებს ჩემი ერთადერთი ვაჟი. კიევის ოლქიდან დღეს ჩამოვედი, ერთ-ხელ კიდევ მოვინახულე ჩემი ვაჟკაცის საფლავი.

თვალცრემლიანი იდგა უკრაინელი დედა. „არ განმეორდეს ომი, ომმა უბედურება მოუტანა კაცობრიობას, მშვიდობა გვინდა ჩვენი შვილებისათვის, ჩვენი მომავლისათვის“, — აი რა ამოვიკითხეთ მის ნათელ სახეზე.

ლენინის რაიონის სოფელ გლაზოვსკში ვართ. ადრე ამ სო-ფელს ბაკსი ერქვა, ომის შემდგომ გადაურქმევიათ სახელი.

— აქეთ, აქეთ მობრძანდით, — ხელს გვიქნევს მოხუცი და ყველანი მისკენ მივემართებით.

მოხუცი მეთოდე პავლეს ძე იაროსლავსკი აღმოჩნდა. იგი ძმათა სასაფლაოს მომვლელად მუშაობს.

მეთოდე პავლეს ძე ხეხილისა და მწვანე ნარგავებით დამ-შვენებულ საძმო საფლავისაკენ მიგვიძღვება.

საღამო ხანია. ისმის დასაბუდრებლად გამზადებული ჩიტე-ბის გნიასი.

მეთოდე იაროსლავსკი სასაფლაოს ჭიშკარს აღებს და პირ-დაპირ სამხრეთით აღმართულ ობელისკისაკენ მიდის. ჩვენც უკან მივყვებით.

— არიან, აქ არიან დაკრძალული ჩვენი ბიჭები, — წამოიძახა ვიღაცამ. საძმო საფლავზე აღმართულ ობელისკზე ჩამოთვლილ სხვა გვარებთან ერთად შემდეგი ქართული გვარები ამოვიკითხეთ:

1. რიგითი კუტიბაშვილი ა. ი.
2. ლეიტენანტი მამალაშვილი ბ. ნ.
3. სერჟანტი ქვრივიშვილი ბ. შ.
4. რიგითი კობერიძე გ. პ.
5. რიგითი ბოგიაშვილი ნ. ს.
6. ზემდეგი ცხადაძე ვ. ტ.
7. უფროსი სერჟანტი აბულაძე ა. ტ.
8. სერჟანტი მრევლიშვილი გ. ი.
9. რიგითი ჩეჩენაშვილი (ვფიქრობთ, ჩეჩელაშვილი) ბ. ი.
10. რიგითი გრძელიშვილი დ. ნ.
11. რიგითი დიცინაშვილი (ვფიქრობთ, ბიცინაშვილი) ბ. ი.

შევუდექით ცალკეული საფლავების დათვალიერებას, ჩვენი ყურადღება მიიპყრო საფლავმა, რომლის თავში დამაგრებული წარწერა ამოკვეთილია ჯარისკაცის ქვაბუნის გაბრტყელებულ მასაზე. დროთა განმავლობაში ქვაბუნა დაჟანგულა, ზოგიერთი ასო წაშლილა, მაგრამ მაინც მოვახერხეთ წარწერის წაკითხვა. «№10. Гогоберидзе Г. П. рож. 1916. Храбр. погиб 31/I—44г. за Крим в борьбе с немецкими захватчиками.»

ამავე სასაფლაოს (სქემა ჩვენ მიერ შედგენილია ზუსტად, მინიშნებულია, ვინ სად არის დაკრძალული) ერთ-ერთ საფლავ-

ზე ვიპოვნეთ მარმარილოს ქვაზე ამოკვეთილი გვარები. ქვა გადავწმინდეთ და ამოვიკითხეთ:

1. ზემდეგი ცხადაძე ვ. ტ. დაბ. 1901 წ.
2. უფროსი სერჟანტი აბულაძე ა. ტ. დაბ. 1899 წ.
3. სერჟანტი მრევლიშვილი გ. ი. დაბ. 1899 წ.
4. რიგითი გდზელიშვილი ბ. ი. დაბ. 1904 წ.
5. წითელარმიელი ჩეჩენაშვილი ბ. ი. დაბ. 1915 წ.

(გვარები მოგვყავს ისე, როგორადაცაა დაწერილი).

მარმარილოს ქვის ნატეხი, სადაც ეს ქვა ვიპოვნეთ, საფლავზე აგებულ პოსტამენტზე მიუმაგრებელია. ჩანს, რომ აღნიშნულ მებრძოლთა სასაფლაო გადმოტანილია სხვა ადგილიდან და საეჭვოა, დაკრძალული იყვნენ ისინი აქ მინიშნებულ საფლავში.

აქვე არსებულ ბევრ საფლავზე წარწერები გადაშლილია და ვერ ამოვიკითხეთ.

სასაფლაოს მომვლელს მეთოდე იაროსლავსკის საჩუქრები გადავეცით და ვთხოვეთ მოვლა-პატრონობა არ მოაკლოს საძმო საფლავს.

შიო გვეტაძეს მივყევართ იმ ადგილზე, სადაც მან ფეხი დატოვა. ანაზდეულად ცრემლები მოადგა თვალებზე. ბუნებრივია, მან თავის სხეულის ნაწილი დატოვა აქ და ვინ იცის, შესაძლოა, სულის ნაწილიც?

დიდხანს, დიდხანს იდგა მდუმარედ, ბოლოს გამოერკვა და თვალცრემლიანმა მოგვითხრო:

— რომელი ერთი უნდა გაიხსენო, მაგრამ არასოდეს არ დამავიწყდება, ჩემს ხსოვნაში არასოდეს წაიშლება ბრწყინვალე ვაჟკაცის აბდულ წულუკიძის სახე.

აბდულ წულუკიძე 1912 წელს დაიბადა, ქობულეთის რაიონის სოფელ ლეღვაში. აქვე დაამთავრა შვიდწლიანი სკოლა და მუშაობა დაიწყო ბათუმის ნავთობგადასამუშავებელ ქარხანაში.

ქარხანა, მუშათა კოლექტივი აბდულასათვის ახალი სკოლა, მეორე ოჯახი გახდა, დიდი როლი შეასრულა მის დავაჟკაცებაში, კეთილშობილური თვისებების გამომუშავებაში.

ის მალე საამქროს უფროსად დააწინაურეს, ლენინური კომკავშირის რიგებში მიიღეს.

აბდულმა სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა კოლექტივში და, როგორც პერსპექტივიანი ახალგაზრდა, გაგზავნილ იქნა ბათუმის პარტიულ სკოლაში. სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ მუშაობდა ჯერ ქობულეთის დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის ინსტრუქტორად, მერე ლეღვას სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ, ბობოყვათის ციტრუსების ქარხნის დირექტორად, მშობლიური სოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ.

1941 წლის სექტემბერში აბდულ წულუკიძე წითელი არმიის რიგებში გაიწვიეს. მალე იგი წარმატებით დაეუფლა სამხედრო საქმეს.

414-ე ქართული დივიზიის ფორმირებისთანავე აბდულ წულუკიძე დაინიშნა 1371-ე ლეგიონის ქვეგანაყოფის პოლიტხელად.

პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა ჯარში დიდი, რთული და პასუხსაგები საქმეა. თუ პოლიტმუშაკი არ იცნობს მეომრის ბუნებას, სამხედრო საქმეს, თუ არა აქვს ადამიანების გაგებისა და მათზე ზემოქმედების უნარი, ვერ შეძლებს დანაყო-

ფის, ნაწილის ერთ მტკიცე კოლექტივად შეკვრას, ვერც სიყვარულსა და პატივისცემას დაიმსახურებს.

აბდულს ეს მშვენივრად ესმოდა და ცდილობდა მუდამ მოწოდების სიმაღლეზე ყოფილიყო. ყველა მეთაური, ვისთანაც წულუკიძე მუშაობდა და ბრძოლა უხდებოდა, დიდად აფასებდა მას, ყურადღებით უსმენდა და ანგარიშს უწევდა მის მოსაზრებებსა და წინადადებებს.

— აბდულ წულუკიძე ჩვენი ბატალიონის სული და გული იყო. — დაუმატა პავლე სარალიძემ, რომლის მოადგილედაც აბდული ითვლებოდა პოლიტნაწილში.

— აბდულ წულუკიძემ, — განაგრძო შიო გვეტაძემ, — საბრძოლო დიდებით მოსილი გზა განვლო ჩრდილო კავკასიიდან ქერჩამდე. იგი, როგორც მამაცი მეთაური, მონაწილეობდა დივიზიის მიერ ჩატარებული ყველა ბრძოლისა — იშჩორსკაიაში, მოზდოკთან, კალაბატკაში, ანაპაში, ტამანის ნახევარკუნძულზე.

სტანიცა ანაპსკაიაში ფაშისტებს კარგი პოზიციები ჰქონდათ. წინ წყლის ბუნებრივი ზღუდე იყო, ხოლო ხიდი — აფეთქებული. მტერს თვითეული მეტრი გამოთვლილი ჰქონდა, მაგრამ ჩვენი ნაწილები მზად იყვნენ ყველა სიძნელე გადაელახათ.

ბატალიონი მამაცურად ეკვეთა მტერს, ერთ-ერთი შეტაკების დროს მეთაური პავლე სარალიძე მძიმედ დაიჭრა, მდგომარეობა მეტად დაიძაბა.

წულუკიძემ უყოყმანოდ იკისრა მეთაურის მოვალეობის შესრულება. მან ბატალიონი მოწინააღმდეგის ძლიერი ცეცხლის ქვეშ გაბედულად წაიყვანა შეტევაზე, სწრაფად და საზ-

რიანად მოაწყო მდინარის გადალახვა, შეიჭრა მტრის პოზიციებში და ახალი ბრძოლით გაანადგურა ის. ამოცანა ბრწყინვალედ იქნა შესრულებული. ამ ბრძოლებში პირადად ა. წულუკიძემ 17 ფაშისტი მოსპო.

ქართული დივიზია ბრძოლებით მიიწევდა წინ და საბჭოთა არმიის სხვა საჯარისო ნაწილებთან ერთად გაათავისუფლა ანაპა, აგრეთვე სტანიცები ნატუხაევსკაია, ტარუსიევსკაია, გასტოგაევკა, ვერხნაია გასტოგაევკა, ვიშესტებლიევსკაია და სხვ. შემდეგ ტამანის ნახევარკუნძული.

1943 წლის დეკემბრის დამლევს დივიზიამ ახალი საბრძოლო ამოცანა მიიღო.

ქერჩის ნახევარკუნძულზე საბჭოთა ჯარების მიერ შექმნილ პლაცდარმს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ფაშისტებისაგან ყირიმის გათავისუფლების საქმეში. ამას კარგად გრძნობდა მტერი და ცდილობდა მის ლიკვიდაციას.

1944 წლის იანვარში ჩვენი დივიზია იბრძოდა ქერჩის მისადგომებთან. ამან მოითხოვა სამი სტრატეგიული გაბატონებული სიმაღლის დაპყრობა. მზადდებოდა დიდი ოპერაცია ყირიმის გათავისუფლებისათვის.

აბდულ წულუკიძის ბატალიონი ერთ-ერთი გაბატონებული, აი, იმ სიმაღლისათვის იბრძოდა. ბრძოლა მეტად მძაფრი იყო. მტერი გამუდმებით გადმოდიოდა კონტრიერიშზე, თუმცა მიზანს ვერ აღწევდა. ბოლოს გატეხილ იქნა მისი წინააღმდეგობა და ბატალიონმაც ხელსაყრელი ზღუდე დაიკავა.

გათენდა 28 იანვარი. ეს დღე განსაკუთრებით მძიმე იყო ჩვენი ნაწილებისათვის. დილიდანვე გაჩაღდა მძაფრი, სის-



ქერჩი. სოფ. გლაზოვსკი. ერთ საფლავზე მარმარილოს ქვის ნატეხი გადავწმინდეთ და...

ელისმღვრელი ბრძოლა. მთელი დღე არ შეწყვეტილა შეტევა, კონტრშეტევა.

დივიზიის ნაწილებმა მხოლოდ 150 — 200 მეტრით შეძლეს წინ წაწევა. ბატალიონი მთელი დღე გმირულად იბრძოდა. თვითონ ა. წულუკიძე — ორი ორდენის კავალერი — უშუალოდ საბრძოლო მწყობრში წინა ხაზზე იყო, პირადი მამაცობითა და გმირობით აღაფრთოვანებდა მეომრებს.

მე კარგად ვხედავდი, მთლიანად სისხლში მოსვრილი, როგორ იბრძოდა აბდული, მაგრამ ბრძოლის ველი მაინც არ დატოვა.

და აი, მეორე ჭრილობაც მიიღო, პირდაპირ სახეში.

— აწ კი მშვიდობით ჩემო ძვირფასო მებრძოლებო, წინ, საშშობლოსათვის! — შესძახა და სული განუტევა.

ჩვენი დივიზიის მებრძოლებმა შური იძიეს საყვარელი მეთაურის დაღუპვისათვის, მალე ქ. ქერჩი გაათავისუფლეს გერმანელი ოკუპანტებისაგან, ბრძოლის ველზე კი დარჩა ათასობით ფაშისტის გვამი.

...უკვე დაღამდა, პირველი მაისის ნადღესასწაულებ ქერჩში თვალისშომჭრელად ჩახჩახებდნენ ელექტროლამპიონები. სასტუმროში გზაზე დაწერილი პირველი ნოველა წაგვიკითხა მწერალმა ოტია იოსელიანმა.

მეორე დღეს ღრმა პატივისცემით მიგვიღეს პარტიის ქერჩის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა არკადი კუზმას ძე ეშენმა და საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ვალენტინ თედორეს ძე დუიბოვმა. მიღებას საქალაქო გაზეთის რედაქტორი ვასილ ივანეს ძე სირენინი და პარტიული და

საბჭოთა ორგანიზაციების სხვა წარმომადგენლებიც დაესწრნენ.

მათ სამახსოვრო საჩუქრები გადავეცით და ქალაქის დათვალიერებას შევუდექით.

პარტიის საქალაქო კომიტეტის შენობასთან ერთი მოქალაქე მოგვიახლოვდა, მოგვესალმა.

— ავტომახქანებზე მოთავსებული წარწერებით შევიტყვე, რომ საქართველოდან ბრძანდებით — დაიწყო მან, — ჩვენთან, პარტიზანულ შენაერთში იყვნენ ქართველები, მათ შორის ექიმი ჯანელიძე.

ახალმოსულს ვინაობა გამოვკითხეთ, იგი სალოკომოტივო დეპოს მემანქანე პავლე დიმიტრის ძე გალავალენკოა.

— გერმანელთა ტყვეობაში მოხვედრილი ექიმი ჯანელიძე შემოუერთდა არალეგალურ ჯგუფს. მისი ინიციატივით ბევრი ქერჩელი გადაურჩა გერმანელთა საკონცენტრაციო ბანაკების მძიმე ხვედრს. გამბედავი და საზრიანი ადამიანი იყო, ბოლოს დაიღუპა.

ექიმი ჯანელიძის არალეგალური მუშაობის ფაქტების შესახებ იციან კიდეც ქართველმა მკითხველებმა და ამჯერად გულწრფელად გაგვიხარდა, რომ ქერჩელები, რიგითი ადამიანები წმიდად ინახავენ მამაცი ექიმის ხსოვნას.

ქერჩის საძმო საფლავში ასობით მებრძოლი განისვენებს, აქვე არიან დაკრძალული ლეგენდარული გენერალი არშინცევი და მედდა პეტროვა. სასაფლაოს ამკობს წარწერა:

«Не плачьте!
в горле
Сдержите стоны,

Горькие стоны!
Памяти
павших
будьте
Достойны,
Вечно достойны.
Люди!
Покуда
Сердце стучится,
помните!
Какою ценой
завоевано
счастье,
Пожалуйста
помните!»

ვათვალიერებთ სამხედრო კომისარიატში არსებულ სიებს, დაღუპულთა შორის ვკითხულობთ:

1) გელაშვილი ნიკოლოზ იასონის ძე, მებრძოლი, დაბ. 1895 წ. დაიღუპა 1944 წლის თებერვალში.

2) ჩეტაშვილი გ. მებრძოლი, დაიღუპა 1944 წლის თებერვალში.

3) გოტაშვილი ნ. იოსების ძე, მებრძოლი, დაბ. 1915 წ. დაიღუპა 1943 წლის დეკემბერში.

4) გორბეშვილი ვ. ა. მებრძოლი, დაბ. 1924 წ. დაიღუპა 1944 წლის დეკემბერში.

5) ტატონაშვილი კ. ა. მებრძოლი, დაბ. 1914 წ. დაიღუპა 1944 წლის მარტში.

ავდივართ მითრიდატის გორაზე, აქედან ნათლად ჩანს მთელი ქალაქის ლამაზი პანორამა. აქ, ამ გორაზე დაკრძალული

არიან ყველაზე საპატიო მებძოლები, მათ შორის ქართველი ზემდეგი ვ. ი. ჯორბენაძე.

პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივანი გვიამბობს:

— მითრიდატის გორაზე ყოველი წლის 9 მაისს იმართება დიდი საყოველთაო-სახალხო ზეიმი. ქერჩელები, რომელთა რიცხვი 120 ათასამდე აღწევს, წმიდად ინახავენ იმ მებრძოლთა ხსოვნას, რომლებიც დაეცნენ გერმანელ ოკუპანტებთან ბრძოლებში. გადაეცით ქართველ დედებს, რომ ჩვენ ღრმა მადლიერების გრძნობითა და დიდი მოკრძალებით ვცემთ პატივს მათი შვილების ხსოვნას.

ქუდმოხდილებმა ჩავუარეთ გვერდი მამაცი პიონერის ვალოდია დუბინინის ქანდაკებას, რომელიც მას მიუძღვნეს ქერჩელმა კომკავშირლებმა და პიონერებმა, ხოლო გეროევკაში დავათვალიერეთ მეზღვაურთა გმირული დესანტის გადასხმის ადგილი, მიწის ძალზე მცირე მონაკვეთი, სადაც ორმოცი დღე-ღამე დაჰყო მეზღვაურთა მცირე ჯგუფმა და ამით დაიწყო ქერჩის განთავისუფლების ისტორია.

...ომისშემდგომ წლებში ნახანძრალიდან აღსდგა ქალაქი. აქ ახლად აშენდა მძიმე და მსუბუქი მრეწველობის საწარმოები. შრომისმოყვარე ქერჩელები დიდ ინტერესს იჩენენ მშობლიური ქალაქის გაძშვეხიერება-გალაძაზებისათვის. ქერჩი კვლავ საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი დიდი სამრეწველო ცენტრია სამხრეთში.

ჩვენ წამოვაყენეთ წინადადება, რომ ქუთაისელი და ქერჩელი მშრომელები ურთიერთ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებან. ამ წინადადებას მასპინძლები სიამოვნებით დათანხმდნენ და ჩვენი მიწვევა მიიღეს.



ქერჩი. ობელისკი მითრიდატის გორაზე.



სევასტოპოლი. 414-ე ქართული დივიზიის იმ მებრძოლთა ხაძმო საფლავი, რომლებიც დაეცნენ საპუნ-ვორას შტურმში.

და მართლაც, ფიცვერცხლნაჭამი ძმობა გვაკავშირებს ქერჩელებთან, საქართველოს მიწაზე აღზრდილმა რამდენმა ვაჟკაცმა დადო თავი მისი გათავისუფლებისათვის.

სევასტოპოლი

ქერჩიდან სიმფეროპოლისაკენ გავწიეთ. ცამ ღრუბლის საბურველი მოისხა და წვიმაც წამოაყოლა. ამინდმა კიდევ უფრო დაგვინაღვლიანა ისედაც სევდაშემოწოლილი გულები.

ვნახეთ უამრავი საფლავი, ვნახეთ ომის ნატყვიარი ადგილები, გულის ჭრილობა გაგვეხსნა, ერთხელ კიდევ ჩვენს თვალწინ გაირბინეს სიცოცხლით სავსე ნათელმა სახეებმა, რომლებიც ომამდე გვინახავს და ახლა აღარ არიან. მიწამ შეიერთა მათი ვაჟკაცური სხეულები.

ისევ უკრაინელი დედის ცრემლიანი თვალები აგველანდა, უძირო, სევდიანი თვალები, შვილის დარდით ამეტყველებული.

„მიწა შენ უნდა დაგეყარა ჩემთვის, შვილო! რას მომასწარი, რას, შენს საფლავს მე უნდა ვტიროდე?“ — ამბობდნენ ეს თვალები.

მავრამ რატომღაც მაინც ბედნიერად მომეჩვენა უკრაინელი დედა. მან იცის, სად არის შვილის საფლავი, მშობლიური ცრემლები დააპკურა მის ძვლებს, შეათბო პირმშო, ერთგვარი შვება მაინც იგრძნო. და რა ქნან დედებმა, რომლებმაც ვერ დაიტირეს თავიანთი შვილები, ისიც არ იციან, სად მიიბარა

უკიდეგანო მიწამ მათი სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი.

414-ე დივიზიის ბატალიონის ყოფილმა უფროსმა კოტე ირემაძემ დედაშვილური სიყვარულის ერთი შესანიშნავი ამბავი მომითხრო.

ფრონტზე წასულს, სოფელში მოხუცი დედ-მამა დამრჩა. რაგინდ გაჭირვებაში არ ვყოფილიყავ, სახლში მაინც იმედიან წერილებს ვწერდი. დავიჭერი და ცხენმა გადმომაგდო-თქო, ვიტყობინებოდი.

დედა მწერდა: დაანებე მაგ სამგლე ცხენებს თავი, არაფერი მოგწიონ, თვალები არ დამიბნელოო.

ვიცნობდი დედის გულს და ვფიქრობდი, ვინცობისაა მომკლან, დედა ჩემს ჯავრს ვერ გადაიტანს-თქო.

ამიტომ ასეთ ხერხს მივმართე:

მწვავე ბრძოლებში გასვლის წინ წერილს დავწერდი, დავიბარებდი, თუკი ვერ დავბრუნდე, წერილი გააგზავნეთ და გაგზავნის თარიღი დააწერეთ-თქო. დავიღუპებოდი? სახლში ცნობას გაგზავნიდნენ, მაგრამ ამ ცნობას არ დაუჯერებდნენ, რადგან ჩემი წერილი დაღუპვის შემდეგ მივიდოდა...

ასე უფრთხილდებოდნენ დედას მებრძოლები.

საღამო ხანს ჩავედით გმირ ქალაქში.

სევასტოპოლი...

სიამაყითა და დიდი სიყვარულით წარმოთქვამენ ამ სახელს საბჭოთა ადამიანები. დიდი საბრძოლო წარსულის, სახელოვანი რევოლუციური ტრადიციების ქალაქის მრავალრიცხოვანი ძეგლები მოგვითხრობენ მის გმირულ ისტორიაზე.

სევასტოპოლის გმირი დამცველების უკვდავი დიდება თა-

ობიდან თაობებს გადაეცემა და დარჩება როგორც სიმბოლო ჩვენი ხალხის ქედუხრელობისა.

ჩვენი თანამგზავრებიდან სევასტოპოლის გმირული ბრძოლის მონაწილენი სერგო გოშხეთელიანი და გიორგი ცინცაძე არიან. სერგო გოშხეთელიანი მოგვითხრობს:

1944 წლის შუა აპრილში უკვე სევასტოპოლის კარიბჭესთან ვიდექით. სამხრეთ ყირიმის ბუნება საქართველოსას წაგავს და მშობლიურ საქართველოზე დანატრებულებმა თავი უფრო კარგად ვიგრძენით.

სევასტოპოლი...

მე, რიგითი ჯარისკაცი, საბჭოეთის დიადი არმიის წარმომადგენელი, რომელმაც ბრძოლებით განვლე ცეცხლის წვიმების სისხლიანი დღეები, მონაწილეობას ვღებულობ სევასტოპოლის გათავისუფლებაში.

არის ღირსება, არის დავალება, რომლისთვისაც თავის დადება ღირს. მიუხედავად იმისა, რომ ახლოა ომის დასასრული, სიკვდილის წინყოფნის მწვავე განცდა ძნელია.

1944 წლის 5 მაისი...

მეძახიან ოცეულის მზვერავთა მეთაურს და მავალებენ, დავზვერო „საპუნ-გორას“ სამხრეთი ქედი, წარმოვადგინო „მოენე“.

ჩვენი ბიჭები ჩემთან არიან, ამოცანა განვმარტე და...

დამინული ველი ფრთხილად გავიარეთ, ფაშისტთა პოზიციებს დავუახლოვდით და ატყდა სროლა. ისვრიან გვერდით, წინ, მაღლა, ქვევით, ისვრიან ბრმად, უნიშნოდ.

ჩვენ მიწას გავეკარით, მაგრამ თვალი და ყური მაინც მტრისაკენ გვაქვს. პასუხი რომ ვერ მიიღეს, გერმანელები წინ

გადმოვიდნენ, 30—35 მეტრით არიან დაცილებულნი, სუნთქვა შევკარით, ერთი წუთი, ორი სამი, უფრო მოგვიახლოვდნენ...

— ჰკა მაგას! — შევძახეთ და წამოვენთეთ...

ალარ გავაგრძელებ, „მოენე“ ოფიცერი აღმოჩნდა, მზვერავები მ. ლაფერაშვილი,- მ. სეფერთელაძე, ა. თათარაძე და ვ. გაჩეჩილაძე ორდენებით დააჯილდოვეს, მეც დამაჯილდოვეს „სამამულო ომის“ ორდენით...

6 მაისს ახალი ამოცანა მივიღეთ — დავზვეროთ ხუტორი „ბოლშევიკი“, რომელიც „სახარნაია გოლოვკასა“ და „საპუნგორას“ შორისაა, დავაზუსტოთ, შეიძლება თუ არა მტრის პოზიციებთან ბატალიონის მიახლოვება.

და აი, იქ გავხდი დიდი საჰაერო ბრძოლის მოწმე.

იმ დღეებში ჩვენი ბომბდამშენები სისტემატურად ბომბავდნენ გერმანელ დამპყრობთა ხაზს, დიდი სიზუსტით ანადგურებდნენ რკინა-ბეტონის ხანგრძლივად მომქმედ საცეცხლე წერტს. 6 მაისს, საღამოს 4 საათზე, დაბომბეს რა მტერი, ჩვენი ბომბდამშენები უკან ბრუნდებოდნენ. ამ დროს გამოჩნდნენ გერმანული „მესერშმიდტის“ ტიპის ავიაგამანადგურებლები. ერთ-ერთი მათგანი ელვის სისწრაფით წამოეწია „ილს“ და ორი მოკლე ჯერი ესროლა, მაგრამ მიზანს ვერ მოახვედრა. ჩვენმა დატოვა მტრის პოზიცია და მთელი ძალით მიაშურა აეროდრომს, მაგრამ მტრის მხარეზე რჩებოდა უპირატესობა სისწრაფეში. ეს ყველაფერი ხდებოდა ჩვენ თვალწინ, უძლურნი ვიყავით დავხმარებოდით საბჭოთა მფრინავს. ყველაფერი დამოკიდებული იყო მფრინავის ოსტატობაზე. ისიც მოხერხებული მანევრირებით ჯერჯერობით გამარჯვებული გამოდიოდა და აი

გამოჩნდა ჩვენი გამანადგურებელი. იგი ელვის უსწრაფესად წამოეწია „მესერშმიდტს“ და სწორედ იმ მომენტში, როცა მას უნდოდა განმეორებით მიეშვა ჯერი ბომბდამშენისათვის, პროწიალით ძირს გადმოეკიდა. მტრის თვითმფრინავი ჰაერში დაიწვა, მფრინავი კი დაეშვა პარაშუტით. ჩვენ იგი მივიყვანეთ უახლოეს შტაბში.

6 მაისს ღამით შევედით სოფელ „ბოლშევიკში“. ჩვენი არტილერიისა და საჰაერო თავდასხმების შედეგად გერმანელთა თავდაცვა განადგურებული იყო. ერთ-ერთ მიწურში შევიპყარით ორი გერმანელი, მაგრამ იძულებული გავხდით გაქცევის ცდის გამო მოგვეკლა. მეორე დღეს აღმოჩნდა, რომ ერთი მათგანი „სს“-ელი ყოფილა, საფრანგეთის ლაშქრობის მონაწილე და ფაშისტთა უმაღლესი ჯილდოს — რკინის ჯვრის კავალერი.

ამ ღამით იქნა მოკლული სიმამაცით განთქმული აბაიშვილი და დაიჭრა ცნობილი მეტყვიამფრქვევე კომკავშირელი ჯოგლიძე.

7 მაისი. დილა. მოქანცული მზვერავები გაუხდელად წვანან მიწურებში. საუზმის შემდეგ ველით რაღაც უჩვეულოს, ყველანი საბრძოლო მზადყოფნაში ვართ. იწყება გენერალური შეტევა, დილის 7 საათზე დაიწყო საარტილერიო მომზადება, ეს იყო საოცარი სანახაობა. საარტილერიო კანონადა გაგრძელდა 10 საათამდე. საბჭოთა ბომბდამშენები განუწყვეტელ ნაკადად ესხმოდნენ და ბომბავდნენ მტრის თავდაცვით პოზიციებს. ჩვენი „კატიუშები“ გრძელ ჯერებად აფრქვევდნენ ცეცხლს მტრის თავზე.

მიწურები დაცარიელდა. ყველანი გამოვიდნენ; ეცქირათ თუ როგორ იწვის გერმანელთა თითქმის აუღებელი სიმაგრეები,

თუ როგორ უმასპინძლდებიან დაუპატიჟებელ სტუმრებს ჩვენი არტილერისტები და მფრინავი ბომბდამშენები. გვქონდა კიდევაც სიხარულის მიზეზი.

ეს იყო საყოველთაო შურისძიება დამწვარი და განადგურებული ქალაქებისა და სოფლებისათვის, შურისძიება ათასობითა და ათიათასობით მშვიდობიანი ადამიანის გაჟლეტისათვის.

საარტილერიო და საჰაერო მომზადების შემდეგ აღფრთოვანებული ჯარისკაცები და ოფიცრები გააფრთებით ეკვეთნენ მტერს და დაიკავეს პირველი გამაგრებული ზღუდე. ჰიტლერელები თავგანწირულ წინააღმდეგობას გვიწევდნენ, მათ ერთხელ კიდევ მოიკრიბეს ძალები და ცდილობდნენ სიცოცხლის ფასად აღედგინათ ადრინდელი პოზიცია, მაგრამ...

უარყვეს რა წინადადება დაგვნებებოდნენ, გაიცა განკარგულება განმეორებით „დაემუშავებინათ“ მტრის პოზიციების მეორე ზღუდე.

აი ეს კი იყო მართალაც განსაცვიფრებელი სანახაობა. კიდევ უფრო ძლიერად, ვინემ პირველად, დაატყდა მტერს ჩვენი ქვემეხების, „კატიუშების“, ნაღმტყორცნებისა და სხვა საარტილერიო ცეცხლის გამანადგურებელი მეხი. ჩვენი ბომბდამშენები გამანადგურებელი ცეცხლით ჟლეტდნენ მათ. ეს იყო მფრინავების სიმამაცისა და გმირობის განუმეორებელი მაგალითი.

მხოლოდ საღამოს დადგა ჩვენი რიგი. ფეხოსნებმა, გატეხეს რა მტრის წინააღმდეგობა, იერიშით აიღეს „საპუნ-გორა“, დაკავებულ იქნა ხუტორი „ბოლშევიკი“, გერმანელები გადარეკილი იქნენ ზღვისაკენ. ჩვენმა მეზობლებმა მარცხნივ საბოლო-

ოდ აღმართეს წითელი დროშა „სახარნაია გოლოვკას“ მთაზე მზვერავები, რომლებმაც იცოდნენ ყველა გასასვლელი და ხვრელი მავთულღობურებსა და ნაღმიან ადგილებში, დაყოფილ იქნენ პატარა ჯგუფებად და გადაეცნენ ათასეულის მეთაურებს. ჩემს განკარგულებაში დარჩა 10 მზვერავი. 7 მაისს, ღამით, პოლკის მეთაურის მოადგილემ, მაიორმა შალვა დავითულიანმა გვიბრძანა, დაგვემყარებინა კავშირი პირველ ბატალიონთან და დაგვეზუსტებინა, რა სიმაგრეები გააჩნდათ კიდევ გერმანელებს. ამ ამოცანის შესრულების უზრუნველსაყოფად მარჯვენა ფლანგზე მოქმედებდა მზვერავთა ჯგუფი პაპიძის მეთაურობით. ჩვენ გავემართეთ № 10 საბჭოთა მეურნეობის მიმართულებით. ამ ღამით კიდევ ერთხელ პირნათლად შეასრულეს მზვერავებმა მათზე მინდობილი დავალება. ჩვენს მარჯვნივ მოქმედი მზვერავთა ჯგუფი, როგორც მეორე დღეს გავიგეთ, ჩავიდა ხეობაში, რომელიც გერმანელებს ეკავათ. პაპიძე მივიდა ერთ-ერთ მათგანთან და რუსულად შეეკითხა, თუ რომელი ნაწილიდან არიან. შეშინებულმა გერმანელებმა უაზროდ იყვირეს. მზვერავები დაუყოვნებლივ ეკვეთნენ მტერს და მალე შეიტანეს არევ-დარევა მათს რიგებში. დაბნეული გერმანელები ერთმანეთს ჟლეტდნენ, ვერ არჩევდნენ მისიანს და სხვისიანს. მაგრამ ამ შეტაკების დროს დაიღუპა ყველა მზვერავი, გარდა პაპიძისა და დუღაშვილისა. მტერთან ბრძოლაში გმირობისა და სიმამაცის გამოჩენისათვის პაპიძეს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება, ხოლო დუღაშვილი დაჯილდოვდა ლენინის ორდენით.

აქვე საქართლიანად დაიმსახურეს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება ს. ჩხაიძემ, გ. სამხარაძემ და ს. იოდისეიმ.

...დილაა. სანტუმრო „სევასტოპოლიდან“ „საპუნ-გორასაკენ“ მივიჩქარით. ის-ის არის ავტომანქანებში უნდა ჩავსხდეთ, რომ წარმოსადეგი, შავულვაშიანი მამაკაცი თვალებგაბრწყინებული მოიჭრა და ყველასათვის მოულოდნელად ქართულად შემოგვძახა.

— ქართველები ხართ, ბიჭებო? გამარჯობათ თქვენი.

გავეცანით, იგი ქუთაისელი გოქაძე აღმოჩნდა.

ინჟინერ-არქიტექტორი ალექსი გოქაძე თხუთმეტი წელია, რაც სევასტოპოლში მსახურობს სამხედრო-საზღვაო ფლოტში და გმირი ქალაქის მშრომელთა სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობს. იგი სსრ კავშირის არქიტექტორთა კავშირის წევრია, ეწევა მეცნიერულ მუშაობას, ლექციებს კითხულობს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.

უკეთეს მეგზურს ვერც ინატრებდა კაცი. ალექსი ჩვენთან ერთად ავტომანქანაში ადგილს იკავებს და მივდივართ „საპუნ-გორასაკენ“.

ალექსი გოქაძეს დიდი ღვაწლი მიუძღვის „საპუნ-გორაზე“ 414-ე დივიზიის დაღუპულ მებრძოლთა საძმო საფლავის მოწყობაში. ძეგლის პროექტი, წყალგაყვანილობა და სხვა მთელი რიგი სამუშაოები მისი ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით ჩატარდა.

„საპუნ-გორას“ მისადგომებთან ვართ. შეფენებაზე ვენახია გაშენებული, მაღლა სჩანს ხანგრძლივი საცეცხლე მოქმედების წერტები და სანგრები, რკინა-ბეტონით გამაგრებული ეშელონირებული ზოლი, რომლითაც ფაშისტები ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ თავდაცვითი ზღუდე.

„საპუნ-გორას“ სევასტოპოლის ჭიშკარს შემთხვევით როდი უწოდებენ. სწორედ აქ მოუყარეს თავი გერმანელებმა თავიანთ რჩეულ ნაწილებს. „საპუნ-გორას“ შტურმში მონაწილეობდა სამი არმია — მე-2 გვარდიული, 51-ე და ცალკე ზღვისპირეთის არმია, რომლის შემადგენლობაში შედიოდა სახელოვანი 414-ე ანაპის წითელდროშოვანი ქართული მსროლელი დივიზია.

ომების ისტორიაში არნახული შტურმით აიღეს საბჭოთა მეომრებმა „საპუნ-გორა“. ამ შტურმში განსაკუთრებით თავი ისახელეს ქართული დივიზიის იმ პოლკებმა, რომელთაც ქანთარია და მანაგაძე ხელმძღვანელობდნენ. ამ პოლკებს დამსახურებულად მიენიჭათ სევასტოპოლის საპატიო სახელწოდება.

...ჩვენს წინ შესანიშნავი ობელისკი წამოიმართა, ქვემოთ ფარაჯიანი ქართველი ჯარისკაცის ქანდაკებაა.

ობელისკს ქართულ და რუსულ ენებზე ამშვენებს წარწერა: „სამარადისო დიდება ანაპის 414-ე მსროლელი წითელდროშოვანი ქართული დივიზიის გმირებს, რომლებიც დაეცნენ ქალაქ სევასტოპოლის გათავისუფლებისათვის ბრძოლაში. 7—12 მაისი, 1944 წელი“.

და აი, საფლავებიც...

ჩვენს ჯგუფს გიორგი ცინცაძე გამოეყო, ერთ-ერთ საფლავთან მივიდა და ცხარე ცრემლებით ატირდა.

ყველანი მასთან მივედით, საფლავის ქვაზე ამოკვეთილია წარწერა „ჯ. ნადარეიშვილი“.

როცა ტირილით გული მოიოხა, მან მოგვითხრო უახლოესი მეგობრის ამბავი.

—შესანიშნავი ქართველი ვაჟკაცი ჯუნა ნადარეიშვილი ქ. სოხუმიდან იყო. ბავშვობიდანვე ერთად ვიზრდებოდით, იგი ხელოვნებამ, მუსიკამ გაიტაცა და კარგი წარმატებებიც ჰქონდა, ბრწყინვალედ ფლობდა ვიოლინოს.

დიდი სამამულო ომის დღეებში საბჭოთა არმიის რიგებში ერთად გაგვიწვიეს, ერთ დივიზიაში მოვხვდით, სევასტოპოლამდე ფრჩხილი არ წამოტკენია. „საპუნ-გორაზე“ დაეცა გმირთა სიკვდილით.

მშობლებმა შეიტყვეს შვილის დაღუპვის ამბავი, მამა ხშირად ჩამოდის ხოლმე შვილის საფლავზე, ხოლო დედა...

— არავინ მითხრას ჩემი ჯუნას სიკვდილი, თორემ არ ვაცოცხლებ, — გაიძახის თურმე დედა და შვილის სურათს ცოცხალ არსებასავით ესაუბრება.

საფლავებზე ვკითხულობთ გვარებს: ჯავახიშვილი, ესართია, ხავთასი, ვაშაკიძე, ოდიშარია, გოცირიძე, წულუკიძე, შვანგირაძე, აბაიშვილი, გვეტაძე, ბაკურაძე, ქირია...

ბევრი ქართული გვარია აქ, ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

საუკუნო ძილით განისვენებენ აქ ქართველი ვაჟკაცები, ყვავ-ყორნებთან ნაბრძოლ არწივებს გულმკერდი დაფლეთიათ, მაგრამ ქართულ მთებზე მონატრებულებს მაინც მაღლობზე დაუდევთ სამუდამო ბინა.

ალექსი გოქაძემ გვიამბო:

— ეს მოხდა 1958 წელს. გამოსასვლელ დღეს ჩემი ოჯახის წევრებით სევასტოპოლის შემოგარენი მოვინახულეთ.

ჩემდა მოულოდნელად ქართველი ქალის გულსაკლავი ტირილი შემომესმა. ახლოს მივედით, საქართველოდან ჩამოსული გულდათუთქული დედა მწარედ მოთქვამდა შვილის საფლავზე.

სწორედ ამის შემდეგ მოგვივიდა აზრი სხვადასხვა ადგილებში გაფანტული საფლავები ერთ საძმო საფლავზე მოგვეთავსებინა. სევასტოპოლში რამდენჯერმე ჩამოვიდნენ ქართველი გენერლები ყურაშვილი და ძაბახიძე. დიდი გულისხმიერება გამოიჩინეს რესპუბლიკის პარტიულმა ხელმძღვანელებმა და საქართველოს მთავრობამ. მოქანდაკე ტ. სიხარულიძემ შექმნა მონუმენტური ქანდაკება ქართველი ჯარისკაცისა და, როგორც ხედავთ, ქართველთა საძმო საფლავიც კეთილმოწყობილი გახდა.

...„საპუნ-გორაზე“ აღმართულია მისი შტურმის მონაწილე სამივე არმიის დიდების ძეგლები, ჩამოთვლილია ის დივიზიები და ნაწილები, რომელთაც განახორციელეს ეს შტურმი. აქვე მოთავსებულია დიორამა, რომელსაც დიდი ინტერესით გავეცანით.

ქუთაისის მშრომელთა დელეგაციამ ამით დაასრულა მოგზაურობა ანაპის 414-ე მსროლელი წითელდროშოვანი ქართული დივიზიის ნაკვალევზე.

მშობლიურ ქალაქში დაბრუნების წინ დელეგაციის წევრებმა ერთსულოვნად განაცხადეს:

დიდი მადლობა პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტს, გაზეთ „ქუთაისის“ რედაქციას, ტურისტულ კლუბს და ყველა იმ საზოგადოებრივ ორგანიზაციას, რომლებმაც შესანიშნავი ინიციატივა გამოიჩინეს და შესაძლებლობა მოგვცეს გვე-

ნახა და გავცნობოდით დიდ სამამულო ომში ქართველ მეომართა გმირული შემართების სწორუპოვარ ამბებს, ქართული მიწა მიგვეტანა მათ საფლავებზე და გვეთქვა, რომ საბჭოთა ადამიანები წმიდად ინახავენ სამშობლოს დამცველთა ხსოვნას, პატივს სცემენ მათი უქრობი შარავანდედით მოსილ სახეებს.

დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლებში!

*

*

გაავდა სამხრეთის ამინდი, წვიმები დაიჭირა და ტამანით ავტომანქანების გადმოყვანა ერთობ ძნელი შეიქნა. იძულებული გავხდით სევასტოპოლიდან ზღვით გამოვმგზავრებულიყავით. ხომალდმა „ნახიმოვმა“ ოდესელ ტურისტებთან ერთად გულთბილად მიგვიღო.

ნაზად ტლაშუნობდნენ ტალღები, უნაპირო ზღვა შეუმკრთალია. კაცს მოეჩვენება, თითქოს იგი ასე წყნარია და არასოდეს არ ბრაზდება.

ვუყურებთ ზღვას და მის სიღრმეში კვლავ ნაცნობ სახეებს ვეძებთ. ვინ მოთვლის აქაც რამდენი დაიღუპა, რამდენმა ჰპოვა უსაფლავო სამარე.

მაგრამ არ ივიწყებს მათ მომავალი თაობა, არასოდეს არ წაიშლება მათი ხსოვნა. და სწორედ, ალბათ, ამან შთააგონა უცნობ ჯარისკაცს სიტყვები, რომელიც „საპუნ-გორას“ დიდების ძეგლზეა ამოკვეთილი:

ბევრი ქართული გვარია აქ.

ТКАБЛАДЗЕ РАКВИАШВИЛИ К. ГЕРГУЧА-
ШВИЛИ К. ГЕГУЧАДЗЕ А. НАНИТАШВИЛИ И.
БОСТАШВИЛИ И. ВАДАЧКОРИЯ Г. ПИЛИЕВ
ЛОРЧАШВИЛИ П. ШЕНГЕЛИЯ Г. ГЕЛАШВИЛИ С.
ПОМИДЗЕ ТАБАХМЕЛАШВИЛИ Г. АКОПИЯ П.
ХУЦИШВИЛИ ЗАДИШВИЛИ ШАМАТАВА
СИЧИНАВА ДАЛАКИШВИЛИ ЧЕДИЯ

«Слава вам, храбрые,
слава, бесстрашные,
вечную славу поет вам народ,
Доблестно жившие,
смерть сокрушившие,
память о вас никогда не умрет!»

ესტაფეტა საიმედო ხელშია. ჩვენი ხალხი შრომითი დიდებით, კომუნიზმის მშენებლობის დაჩქარებით უკვდავყოფს წინაპართა უკვდავ გმირობას.

შინაარსი

გზებსა და გზაჯვარედინებზე 7
ი შ ჩ ო რ ს კ ა ი ა. მოზდოკის მისადგომებთან 18
„და სხვები“ 27
სტანიცაში ვენახი ხარობს 31
კ ა ლ ა ბ ა ტ კ ა. ბაქსანის ღამე 33
ყუბანის გული 48
კალაბატკა აღარაა ხუტორი 61
ა ნ ა პ ა. შენსკენ, ჩემო ანაპავ! 65
უცნობი ქართველი ქალი 70
„მასპინძლები ჩვენ ვართ“ 76
ქ ე რ ჩ ი. ქართული სარმა 80
გადაშლილი და გადაუშლელი წარწერები 84
სევასტოპოლი 101

რედაქტორი ნ. კუპრავა
მხატვარი ო. ვარეარიძე
მხატვრული რედაქტორი ნ. ოსკანოვი
ტექრედაქტორი ვ. ჭიჭინაძე
კორექტორი ე. ჟვანია

ხელმოწერილია დასაბეჭდად 18/V-66 წ.
ქაღალდის ზომა 70×108 1/32. ნაბეჭდი თაბახი 5,65.
სააღრ-საგამომცემლო თაბახი 4.61.
უე 02717 ტირაჟი 10.000 შეკვ. № 3094
ფასი 27 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის, 5

№ 5 სტამბა გ. ტაბიძის სახელობისა
ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის პრ., 11.
Типография № 5 им. Г. Табидзе
г. Кутаиси, пр. И. Чавчавадзе, 11.